ალი ბეი

იყო

იოსები

თრილერი

ვახო სალიასგან

თბილისი

2012

ალი ბეი იყო იოსები

თბილისი, 2012, პირველი გამოცემა

პროექტის რედაქტორი

ქეთი კობიაშვილი

ალი ბეი, რა თქმა უნდა, იყო იოსები ...

ნაწარმოებში გამოყენებულია გალიკას ციფრული ბიბლიოთეკის რუკები, წყაროები და სოვიორ ლუზინიანის მოგონებები.

ISBN 978-9941-0-4891-3

© ვახო სალია, ქეთი კობიაშვილი

АЛИ БЕИ

ИОСИФ

ИХДЗЫН

ҚарҬ

2012

პროლოგი

1978 წელს ოჰაიოს შტატში ტყეში განმარტოებით მდგარ ჰოსპიტალს ”ფორდის” მარკის ჯავშანშუშებიანი ფურგონი მიადგა. ჭიშკარი ავტომატურად გაიღო. მანქანამ ეზოში ასიოდე მეტრი გაიარა და მთავარ შესასვლელთან გაჩერდა.

ორი დაკუნთული სანიტარი მზად იყო პაციენტის მისაღებად;

ერთ-ერთს ხელში ქათქათა გიჟის პერანგი ეჭირა.

მძღოლის გვერდით მჯომი დაცვის თანამშრომელი მანქანიდან გადმოვიდა, უკანა კართან მივიდა, გამოაღო და მშვიდი ხმით მოუხმო იქ მყოფს:

- უილიამ სტენლი მილიგან, გადმობრძანდით!

პასუხი არ იყო.

- ბილი მილიგან, გამოდი! _ ოდნავ აუწია ხმას ოფიცერმა.

პასუხი არ იყო.

- არტურ!

პასუხი არ იყო.

- რეიჯენ ვადასკოვინიჩ!

არც ამჯერად უპასუხეს.

ოფიცერმა შარვლის ჯიბიდან დაკეცილი ფურცელი ამოიღო, გადაშალა და კითხვა დაიწყო:

- ტომი, დენი, დევიდ, კრისტინ, კრისტოფერ, ადალანა! რომელი ხარ? გამოდი!

- თუ თქვენ ადალანას ეძახით, აქ ვარ! ახლავე გეახლებით. მხოლოდ, თმებს გავისწორებ და სახეს მოვიწესრიგებ. _ გაისმა ახალგაზრდა ქალის ხმა.

გაოცებულმა სანიტრებმა ერთმანეთს გადახედეს; ის, ვისაც ხალათი ეჭირა, ოფიცერს მიუბრუნდა:

- ჩვენ გვითხრეს, ოცდასამი წლის ჯანიანი მამაკაციაო?

- ნუ ღელავთ, ბატონებო! იგი მართლაც ოცდასამი წლის კაცია, მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, ყმაწვილი ქალია. ერთი წუთით; აი, წაგიკითხავთ: ”ადალანა _ ცხრამეტი წლის, აქტიური ლესბოსელი, წერს ლექსებს, ქალებთან ნაზია, სხეულს ეუფლება საკუთარი სურვილით, სწორედ იგი ხელმძღვანელობს გაუპატიურებებს.”

***

ოჰაიოს შტატის მოსამართლე საქმეში არსებულ მტკიცებულებებს გაეცნო და დარწმუნდა, რომ 1955 წელს დაბადებული უილიამ სტენლი მილიგანი რამდენიმე ძარცვასა და სამ გაუპატიურებაშია დამნაშავე.

სხდომის დამთავრების შემდეგ მილიგანი საპატიმროს ნაცვლად ჰოსპიტალში წაიყვანეს. მას შიზოფრენიის უცნაური ფორმა, გაოცდაოთხება, სჭირდა. ერთ უილიამ სტენლი მილიგანში ოცდაოთხი ალტერნატიული პიროვნება ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და დანაშაულსაც სჩადიოდა.

1991 წელს ექიმებმა მიიჩნიეს, რომ უილიამ სტენლი მილიგანი განიკურნა და საავადმყოფოდან შინ გაუშვეს;

აქ მოთხრობილი ამბები იმ დღემდე შვიდასი წლის წინ დაიწყო და სულ სხვა ადამიანის ალტერნატიული პიროვნებების თავგადასავალია;

მას ერქვა იოსები, ხოლო მეტსახელად ”ალი ბეი აბხაზეცს” ეძახდნენ.

წელი 1291

წმინდა მიწა

თიბო გოდინი, ალ-აშრაფ ხალილი,

სერჟანტი გი, ალ-ჰაკიმი ...

ტამპლიერთა ორდენში იერარქიით მეოთხე კაცი, კომანდორი თიბო გოდინი სენ-ჟან დ'აკრის ციხესიმაგრის სათვალთვალო კოშკიდან აკვატორიაში მყოფ გემებს ყურადღებით აკვირდებოდა.

ღუზაზე მდგარი ოთხივე ნიჩბებაკეცილი გალერის ქიმზე და კიჩოზე შავ-თეთრი დროშები ფრიალებდა.

ორიოდე საათის წინ ზღვაში გასული მეხუთე ხომალდი უკვე ჰორიზონტს შერწყმოდა და ახლა მის დიდ ანძაზე გაშლილ თეთრ იალქანზე გამოსახული წითელი ჯვარი შავად მოეჩვენა.

ეს არ იყო კარგი ნიშანი.

ორდენის ყველა გემი თიბო გოდინს ემორჩილებოდა; კომანდორი მათ მომავალ ბედზე ფიქრობდა.

საზრუნავი სხვაც ჰქონდა.

ტამპლიერთა წესდების მიხედვით იგი ხაზინადარიც იყო და ალყაშემორტყმულ ტაძარში დარჩენილი სალარო და სხვა ძვირფასეულობა უნდა გადაერჩინა. სევდიანი მზერა ზღვას მოსწყვიტა და ქალაქისკენ გადაიტანა.

სენ-ჟან დ'აკრი გუშინ დაეცა.

ამ მხრიდან იგი მხოლოდ ცუდ ამბებს ელოდა.

ქალაქის გალავნის მარცხენა ფრთაზე მდებარე წმინდა ანტონის კარიბჭით ორი ადამიანი ჯორს შემოუძღვა. ერთს ძოწისფერი მოსასხამი ემოსა; მის თანმხლებს თავზე მუზარადი ჩამოეცვა, ხოლო გულ-მკერდს, მუცელს და მუხლქვეშ ფეხებს ჟანგისფერი რკინის ჯავშანი უფარავდა; აღკაზმულობით ეს მეორე კაცი მამლუქი მეომარი იყო.

გეზი ტაძარში შემოსასვლელი ასაწევი ხიდისკენ აიღეს. თიბომ სულ მალე შეამჩნია, რომ ურჯულოებს, ჯორზე გადაფარებულ თეთრი სუდარის მთელ სიგრძე-სიგანეზე, ხორცის წითელი

ნაჭრებით უშველებელი ჯვარი გამოესახათ; თვინიერი ცხოველის ერთ-ერთი თანმხლებიც იცნო; იგი ტამპლიერთა ორდენის სერჟანტი გი იყო. საცოდავს გაბურძგნულ თმებსა და წვერულვაშზე ნახევრადშედედებული სისხლის კოლტები ეკიდა. ახლოდან შესამჩნევი გახდა, რომ მისი ერთ დროს წითელჯვრიანი თეთრი მოსასხამი სისხლით იყო ძოწისფრად შეღებილი.

პროცესია სენ-ჟან დ'აკრის დაპყრობილ ნაწილსა და ალყაში მოქცეულ ტამპლიერთა ციხესიმაგრის გამყოფ თხრილს მიუახლოვდა და გაჩერდა. მუზარადიანმა ხანჯალი ამოიღო, გის უსულოდ ჩამოკიდებული ხელებიდან მარცხენას მისწვდა და სწრაფი მოძრაობით მაჯაზე დაუსვა. ვენიდან სისხლმა იფეთქა. მამლუქი მშვიდად შეტრიალდა და დინჯი ნაბიჯით უკან გაბრუნდა.

- სასწრაფოდ დაუშვით ხიდი! _ გაისმა ტამპლიერთა მარშალ პიერ დე სევრის მჭექარე ხმა, რომელსაც იმწამსვე ჯაჭვის ჭრიალი მოჰყვა.

თიბო გოდინი უკვე კოშკის დახვეულ კიბეზე ჩარბოდა.

თავქუდმოგლეჯილმა გაირბინა ეზო, ტაძრის კარში ისარივით გავარდა, ჯორთად ერთად ხიდის შუამდე მოლასლასებულ სერჟანტ გის ხელში სწვდა და უკვე მომზადებული თოკი მაჯის ზემოთ გადაუჭირა.

სისხლდენა შეწყდა.

თიბომ გის თვალები მოძებნა.

ის, რაც მან იქ ამოიკითხა, ჯობდა, არასოდეს გაეგო.

გიმ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და კომანდორს ბოლო ანგარიში ჩააბარა:

- ეს ხორცის ნაჭრები ტამპლიერი რაინდების ტრაკების ანათლებია. სარაცინებმა შემოგვითვალეს: სხეულის ამ ნაწილით გამოსახული ჯვარი და ბერწი ჯორი ძალიან უხდება თქვენს სარწმუნოებასო. ჩვენი ძმების თავები კი მძივებად აკინძეს, ცხენებს კისერზე ჩამოჰკიდეს და დიდი კაიროს მოსახლეობას გაუგზავნეს გასართობად.

სერჟანტ გის მეტის თქმა უკვე აღარ შეეძლო და არც უნდოდა.

ამ კაცმა გმირულად იცხოვრა, მისმა სულმა კი ლაჩრულად მიატოვა გათახსირებული სხეული და გაქცევით უშველა თავს.

***

იმავე დღის საღამოს სენ-ჟან დ'აკრის წინ მდებარე გორაკზე გაშლილ წითელ კარავში განსაკუთრებული ამბავი მოხდა; იქ დაბინავებულ

სულთან ალ-აშრაფ ხალილს ხალიფა ალ-ჰაკიმი ესტუმრა.

ეს კარგი ნიშანი იყო.

***

1290 წლის ნოემბერში გარდაიცვალა მამლუქთა წინა სულთანი ქალაუნი, რომელსაც ყურანზე ჰქონდა დაფიცებული, რომ ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლას არ შესწყვეტდა, ვიდრე უკანასკნელი ლათინელი არ დატოვებდა აღთქმულ მიწას. ტახტზე ახალასულმა ალ-აშრაფ ხალილმა კი გადაწყვიტა, მანამდე არ დაესაფლავებინა მამის ნეშტი, სანამ მის ანდერძს არ აღასრულებდა.

უმწიფარი გამოდგა ეგვიპტის ტახტის მემკვიდრის საქციელი. მამის სხეულის დაუმარხაობით, მისი სული რამდენიმე თვით მოუსვენრობისთვის გაწირა. ყველა მუსლიმმა იცის, რომ ვიდრე სხეულს პატივით არ მიაბარებენ მიწას, სული ვერ დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს ალაჰის სამეფოში.

ნოემბერიც გავიდა, დეკემბერიც, ახალი წლის: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი მიილია და მაისის ბოლოც დადგა. უდაბნოს ქვიშაში შენახული მამლუქთა სულთან ქალაუნის გვამი უკვე მუმიად იქცა, მაგრამ დასაფლავება ჯერაც არ ეღირსა;

მხოლოდ მისი სული გრძნობდა სიხარულის მოახლოებას.

აღთქმულ მიწაზე ჯვაროსნების უკანასკნელი დასაყრდენი ქალაქი სენ-ჟან დ'აკრი სისხლისგან დაიცალა; ალ-აშრაფ ხალილის მეომრებს ქრისტიანი მოსახლეობა უკვე გაეჟლიტათ, ქონება დაეტაცებინათ და ახლა ორმაგი გალავნის შვიდივე კოშკიდან ხალისით ადევნებდნენ თვალს მათი არმიის კუდში მდევნელი ლეშიჭამია ბინძური მათხოვრების მიერ გაპარტახებული ქალაქის ნანგრევებში ნადავლის ნარჩენების ძებნის პროცესს.

ალ-აშრაფ ხალილის მამის სული უკვე ვეღარ ითმენდა, ბორგავდა და მოუთმენლად ელოდა, როდის განდევნიდნენ სენ-ჟან დ'აკრის განაპირას აგებულ ტამპლიერთა ტაძარში რაინდებთან ერთად გამაგრებულ ქრისტეს არმიის ნარჩენებს და მშვიდობიან მომლოცველებს. შემდეგ სიდონის, შატო-პელერენის რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი მიწა დარჩებოდა გასათავისუფლებელი და რამდენიმე ათასი ურჯულო ამოსაწყვეტი. ხარკის ეს წილიღა რჩებოდათ გადასახდელი ქრისტიანებს, რათა ქალდუინის სულს შვება ეგრძნო.

არ იყო ლათინელების საშველი წმინდა მიწაზე.

***

ხალიფა ალ-ჰაკიმმა კარვის ღია კარებში შეაბიჯა, ხელები გაშალა და ტახტზე მჯდომ ხალილს მოწიწებით მიესალმა:

- სულთანთ სულთანო, მეფეთ მეფეო, მბრძანებელო, უძლეველო, მეამბოხეთა მრისხანე დამსჯელო, ლათინელთა, თათართა და სომეხთა მუსრის გამვლებო, ალ-აშრაფ-ხალილ, ჯანმრთელი და დღეგრძელი გამყოფოს ალაჰმა.

- ნილოსის უკუსვლას დავიჯერებდი, შენს აქ გამოჩენას კი _ ვერა, მასწავლებელო! განა რა მოხდა ისეთი, რომ ბრძოლის ველზე მობრძანდი? _ უნებლიეთ ფეხზე წამოდგა ალ-აშრაფ ხალილი და მანაც გაშლილი ხელები მიაგება ხალიფას. ვერაფრით დასძლია ბავშვობიდან შემორჩენილი მოწიწება გამზრდელის მიმართ, თორემ, წესით, მაღალ ტახტზე მჯდომ სულთანს ქედმაღლურად უნდა მიეღო ეგიპტელების სულიერი ხელმძღვანელი.

- მოდი, ჯერ მე გკითხავ და პასუხსაც შენგან დაველოდები! _ მკაცრი იყო ალ -ჰაკიმი. _ სულ ცოტა ხნის წინ გზაზე მეომრები შემომხვდნენ; წვერებიან კაცთა თავებით შეკაზმულ ცხენებს მიერეკებოდნენ. რადგანაც ჩვენი მოსისხლე ლათინელები სახეს იპარსავენ, ვიფიქრე, ალბათ მოღალატეები დასაჯეს-მეთქი; მაგრამ მამლუქებმა გამაგებინეს, რომ ეს თავები თქვენთან მძევლად

გამოგზავნილ ქრისტეს რაინდ ტამპლიერთა ორდენის წევრებს წააცალეს და ახლა დიდი კაიროს მოსახლეობისთვის ძღვნად მიჰქონდათ. ამ ამბავმა შემაშფოთა და ნაბიჯს ავუჩქარე; მინდოდა, რაც შეიძლება მალე მენახე. სულთანთ სულთანო და მოწყალეო, ახლა მე გეკითხები: განა რა მოხდა ისეთი, რომ უიარაღო მძევლებს თავები დააყრევინე?

- მასწავლებელო, ქრისტიანთა საყრდენი ქალაქი სენ-ჟან დ'აკრი ავიღეთ, მაგრამ ურჯულოები მათი გამოცდილი ხუროთმოძღვრების მიერ აგებულ მიუვალ ციხეში გამაგრდნენ. ჩვენი ქვamტყორცნები მის კედლებს ვერაფერს აკლებენ. უაზრო მსხვერპლს მოვერიდე და მტერს ციხის ღირსეულად ანუ იარაღით ხელში დატოვება შევთავაზე. სამშვიდობო ხელშეკრულების სიმტკიცის ნიშნად მძევლები გავცვალეთ. მათ თავისი საუკეთესო მეომრები, ტამპლიერთა ორდენის თორმეტი რაინდი, გამოგვიგზავნეს. მე ჩემი ერთგული სენ-ჟან დ'აკრის ემირი და მისი ასი კაცი მივართვი. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. შუადღისთვის ქრისტეს მიმდევრებმა მოსახლეობის ნაწილი და დაჭრილები პატარა ნავებით გემზე გადასხეს. კიდევ ოთხი ხომალდი ღუზაჩაშვებული ელოდა დარჩენილებს, როდესაც უპირო ურჯულოები მძევლებს დაერივნენ და დახოცეს.

- მიზეზად რას ამბობენ.

- ურცხვად გაიძახიან, თქვენი წარგზავნილები ქალებს და ბიჭებს აუპატიურებდნენო!

- ტყუილია! ყურანი ძალადობას კრძალავს! ურწმუნოები შარშან აგვისტოშიც აბრალებდნენ ჩვენს მებრძოლებს ქრისტიანი ქალების და სასულიერო პირების შეურაცხყოფას. ამ საბაბით გაჟლიტეს ჯვაროსნებმა ქალაქში სავაჭროდ შესული მუსლიმი გლეხები და, რადგანაც საცოდავი სირიელი ქრისტიანები და ნესტორიანელები წვერს ატარებენ, ისინიც ზედ მიაყოლეს. სწორედ მაშინ დაიფიცა მამაშენმა, ბოლო კაცამდე განედევნა ლათინელები აღთქმული მიწიდან. ურჯულოების სიცრუე და ორპირობა ახალი არ არის, მაგრამ უიარაღო მძევლების მოკვდინებას მაინც ვერ მოგიწონებ.

- კარგი ამბავიც მაქვს შენთვის, პატივცემულო ალ-ჰაკიმ. მესანგრეები უკვე რამდენიმე დღეა, მაგათი ციხისკენ გვირაბს თხრიან. ამაღამ თუ არა, დილით კოშკს საძირკველს გამოაცლიან, კედელი ჩამოინგრევა და ჩვენს მებრძოლებს გზა გაეხსნებათ. პირობას გაძლევ, ხვალ მზის ჩასვლამდე სენ-ჟან დ'აკრის მიწაზე ლათინელის ფეხი აღარ იქნება. მერე ჯვაროსნების ხელში დარჩენილ ორიოდე უმნიშვნელო სიმაგრესაც მიწასთან გავასწორებ, მამაჩემის სხეულს პატივით დავასაფლავებ და მისი

სულიც დამშვიდდება. _ ამაყი და თავდაჯერებული იყო ხალილი.

- ახლა უბრძანე შენს ვეზირს, მარტო დაგვტოვოს. _ კიდევ უფრო მკაცრად განაცხადა ხალიფამ.

ალ-აშრაფ ხალილმა ხელით ნიშანი მისცა. ფარდის უკან შრიალი გაისმა, ქურდულად მოყურადებული ვეზირი ფეხაკრეფით გაიძურწა და რამდენიმე წამში კარავში მართლა ორნიღა დარჩნენ.

- რასაც ახლა გეტყვი, თუ უცხომ გაიგო, შენთვისაც, ჩემთვისაც და, რაც მთავარია, მუჰამედის დიდი საქმისთვისაც ცუდი იქნება. მამაშენი ქალაუნი არ იყო შორსმჭვრეტელი და არც შენ გიჭრის მაინცადამაინც ჭკუა ...

ალ-აშრაფ ხალილს სისხლი სახეზე მოაწვა, თვალები გაუფართოვდა, გონება დაებინდა, მარჯვენა ხელი უნებლიეთ ხმლისკენ გაექცა, მაგრამ ბოლო წამს გაახსენდა, რომ მის წინ სულიერი მამა იდგა და ვერაფერს გაუბედავდა; იგრძნო, როგორ ესიამოვნა გამშრალ ყელს ნერწყის ყლუპი და თავისი მშვიდი ხმის გაგონება თავადვე გაუკვირდა:

- მზად ვარ, ჩემი გამზრდელი ხალიფას მწარე სიტყვები მორჩილად მოვისმინო.

- ლათინელები პირველად ორასიოდე წლის წინ გამოცხადნენ იერუსალიმში და მუსლიმი მოსახლეობა მთლიანად გაწყვიტეს. სალადინმა

ასოთხი წლის შემდეგ შეძლო ქალაქის დაბრუნება და ახლა მან ამოხოცა ლათინელები. სამოცდაორი წელი არ გასულა, ურჯულოები ისევ დაბრუნდნენ; მამაშენს მათი სენ-ჟან დ'აკრიდან გაყრის იმედი ჰქონდა, მაგრამ სული განუტევა და ახლა შენ დებ პირობას, რომ მალე ურჯულოების ხსენებაც არ იქნება აღთქმულ მიწაზე. სამწუხაროდ, სალადინის და ქალაუნის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ეს გამოცდილება მარწმუნებს, რომ შენი ბრძოლაც ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს. ქრისტეს მიმდევარი ჯვაროსნები ჯიუტი და თანმიმდევრული ხალხია. ბოლო ლაშქრობა რიგით მხოლოდ მესამეა. დარწმუნებული ვარ, ამ დამარცხების შემდეგ ისინი კვლავ დაბრუნდებიან. იქნება ჯვაროსანთა: მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე _ ლაშქრობები. მუსულმანთა თაობები განწირული იქნებიან ურჯულოებთან საბრძოლველად და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლათინელების ცოდნა უფრო სწრაფად ვითარდება, ის დღეც დადგება, როდესაც იმგვარი საბრძოლო იარაღით მოვლენ, რომელსაც ჩვენ ვერ დავუპირისპირდებით და სულ წიხლისკვრით გაგვყრიან.

- აბა არ ყოფილა ჩვენი საშველი!

- არის ერთი გზა! ახლა აქედან რამდენიმე ასეულ მეტრში, ტამპლიერების მიერ აგებულ ციხეში თავმოყრილია ქრისტიანთა მთავარი სიწმინდეები;

დაახლოებით ისეთი, როგორიცაა ჩვენთვის: შავი ქვა ან მუჰამედის ბეჭედი. მხოლოდ შენ გეუბნები იმ ნივთების სახელებს: ერთი ჯვარზე გაკრული ქრისტესთვის ცენტურიონ ლოგინის მიერ ფერდში ნაძგერები რკინის შუბია, ხოლო მეორე _ ქრისტეს მიერ მოწაფეებთან სუფრაზე შესმული ღვინის თასი, რომელშიც ჯვარცმის შემდეგ მისი სისხლი ესხა და რომელსაც ურწმუნოები წმინდა გრაალს ეძახიან. დანამდვილებით ვიცი, ეს რელიკვიები სპეციალურად ოქროს მონეტებთან და ძვირფას თვლებთან ერთად ინახება, რომ მპოვნელი ფულს დახარბდეს და მთავარ განძს ყურადღება არ მიაქციოს; ხედავ, რა ჭკვიანები არიან?

ახლა რაც მთავარია!

მთელს საქრისტიანოში ღრმად სწამთ, რომ შუბზე და თასში მიმხმარი ქრისტეს სისხლის შერწყმით უკვდავებას ეზიარებიან. ხომ მიხვდი, რა მნიშვნელოვანია იმ ნივთების ხელში ჩაგდება?

- მასწავლებელო, ნუთუ ქრისტეს სისხლს მართლა აქვს მარადიული სიცოცხლის მონიჭების ძალა? დავიჯერო, მე და შენ შევძლებთ მის გამოყენებას?

- ო, როგორ წყალში ჩამიყრი-ხოლმე შენს აღზრდაში დახარჯულ შრომასა და გარჯას. არათუ ქრისტეს, არამედ თვით ჭეშმარიტ მოციქულ მუჰამედის სისხლს არ ძალუძს ამქვეყნიური უკვდავების მონიჭება.

- მაშინ რა თავში ვიხლით იმ შუბსა და თასს?

- პირობას დავუდებთ ქრისტიან მეფეებს. თუკი მათი თუნდაც ერთი ჯარისკაცი ფეხს დაადგამს აღთქმულ მიწაზე, ამ ნივთებს გავანადგურებთ. ქრისტიანები. უწმინდესი რელიკვიების გაქრობის შიშით, მუდმივ მორჩილებაში გვეყოლებიან. ახლა მხოლოდ შენს ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული მთელი სამუსულმანოს მომავალი და მადლიერი შთამომავლობა არასოდეს დაგივიწყებს ამ სამსახურს. ეს კი ჭეშმარიტი სულიერი უკვდავების საწინდარია და, ვინ იცის, იქნებ ალაჰის სასუფეველში თავად მუჰამედის გვერდით დაიმკვიდრო ადგილი. აი, რა არის შენი დანიშნულება და არ ვნანობ, რომ ასეთი კაცის აღზრდაში ამდენი დრო და ენერგია დავხარჯე. ყოვეთვის ვგრძნობდი, განსაკუთრებული მიზნით მოევლინე ქვეყანას.

”მე კიდევ ამ ალაჰის მსახურს რამდენიმე წუთის წინ კინაღამ თავი გავაგდებინე”. _ გაიფიქრა ალ-აშრაფ ხალილმა:

- მიბრძანე, მასწავლებელო, და იმ შუბის და თასის მოსაპოვებლად ახლავე შევსწირავ ყველა ჯარისკაცს. უკვე მივდივარ ტამპლიერთა ციხისკენ.

ეგვიპტის ხალიფა კმაყოფილი იყო. მან ისიც იცოდა, რომ ტამპლიერებთან რკინის შუბისა და უბრალო თასის გარდა სხვა რელიკვიები:

იერუსალიმის სამეფო გვირგვინი, სახარების ავტორთა ოთხი ოქროს ფიგურა _ ინახებოდა, მაგრამ მათ შესახებ მოწაფისთვის არაფერი უთქვამს; მოერიდა ალ-აშრაფ ხალილის ხარბი ფანტაზიის გაღვივებას.

”ბრიყვია ეს საცოდავი. რა უცებ დაიჯერა, რომ მე უბრალო ცენტურიონის ნაქონი რკინის შუბი და ღატაკთა სუფრიდან იაფფასიანი ღვინის თასი მაინტერესებს და არა ტამპლიერთა ნაგროვები ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები”. _ გაიფიქრა ალ-ჰაკიმმა.

ყველა სიკეთესთან ერთად, ჭკვიანი კაცის სახელიც ჰქონდა გავარდნილი ეგვიპტის ხალიფას.

***

1291 წლის 28 მაისს სენ-ჟან დ’აკრის ტამპლიერთა ტაძრის საკურთხეველში უკანასკნელად შესრულდა ღვინის და პურის ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდასახვის საიდუმლო ლიტურგია.

საღამოს, რაინდების ზიარების შემდეგ, ძმა-კაპელანი სწრაფი ნაბიჯებით გავიდა კელიაში განსამარტოებლად.

მას ახლა ლოცვა ევალებოდა.

დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისი საქმე ბრძოლა იყო.

უკვე ათი დღე გავიდა, რაც სწორედ ამ საკურთხევლის ფერხთით მიაბარეს მიწას მამლუქებთან შეტაკებაში დაღუპული დიდი მაგისტრის გილიომ დე ბოჟეს ნეშტი. ტაძრის შუა ნაწილში შეკრებილი ტამპლიერთა ორდენის ჯერ კიდევ ცოცხალი რაინდები გულის სიღრმეში მკვდარი მეთაურის ბედს შეჰნატროდნენ.

არავინ იცოდა, სიკვდილის შემდეგ ეღირსებოდა თუ არა დამარხვა.

ტამპლიერთა ციხესიმაგრის დაცემამდე სულ ცოტა დრო რჩებოდა.

შანდლებში ჩამაგრებული ჩირაღდნების მკრთალი შუქი და კვამლი ტრაპეზის უკან მდგარ ორდენის მარშალ პიერ დე სევრის სახეს განსაკუთრებული იდუმალების ბურუსში ახვევდა.

მას ხვალ სენ-ჟან დ'აკრის გენუელების უბნის მოედანზე, ტამპლიერთა ციხე-სიმაგრეში შეხიზნული ქრისტიანების თვალწინ, არგაგონილი სისასტიკით ამოხდიან სულს ჯვაროსანთა მიერ დღეს მოკლული ემირის ნათესავები; მარშლის წამების მაყურებელი ლათინელები მიხვდებიან, რომ ძვლებჩამტვრეულმა და შემდეგ

ვენაგადახსნილმა სერჟანტმა გიმ შედარებით უმტკივნეულოდ დატოვა წუთისოფელი.

დღეს კი მარშალი პიერ დე სევრი დიდი მაგისტრის როლშია და ამ წოდების რაინდისთვის შესაფერისად იქცევა.

- ძმებო! ტამპლიერთა ორდენის ერთ-ერთი მოწოდებაა: ”MOMENTO FINIS”, რაც ნიშნავს: ”გახსოვდეს დასასრული”. _ დინჯად მიმართა მარშალმა რაინდებს. _ დასასრული, როგორც ხედავთ, კარზე მოგვადგა და მას ღირსეულად უნდა დავუხვდეთ. საღამოს სულთან ალ-აშრაფ ხალილს კარავში ესტუმრა ლათინელთა დაუძინებელი მტერი ხალიფა ალ-ჰაკიმი; რაც მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ხარბმა მუსლიმმა ლეშის სუნი იყნოსა და მის განაწილებაში სურს მონაწილეობა. ეს ლეში ჩვენი საძმოს საგანძურია. მუსლიმთა სულიერ მამას მისი ყველაზე ღირებული ნაწილის მითვისება სურს და ამიტომაც გამოცხადდა ბრძოლის ველზე. ახლა კიდევ ერთხელ წარმოვთქვამ: ”MOMENTO FINIS” და შეგახსენებთ, რომ ამ ფრაზას მეორე მნიშვნელობაც აქვს: ”გახსოვდეს მიზანი.” ჩვენი მიზანია ტამპლიერთა ფასდაუდებელი საიდუმლო საგანძურის გადარჩენა. ხალილს შევუთვალე და მალე ვეახლები! ვიცი, ვერაგია; მოსალაპარაკებლად მისულს სიცოცხლეს ისევე გამომასალმებს, როგორც

დღეს დახოცა ჩვენი მძევლები. სამაგიეროდ, სულ ცოტა, ამ ღამეს მოვიგებთ.

ხვალინდელი დღის მოსაპოვებლად თქვენი სიცოცხლე იქნება საჭირო. ამასობაში კი საგანძური სამშვიდობოს გააღწევს.

ჩემზე ნუ იდარდებთ! უკვე თქვენი ჯერია, ღმერთთან შესახვედრად მოემზადოთ!

ახლა კი დაიშალეთ; მხოლოდ კომანდორ თიბო გოდინთან მსურს საუბარი.

***

- ძმაო თიბო! _ საკურთხევლის გვერდზე მდებარე სადიაკვნოში განმარტოვდნენ თუ არა, კომანდორს მიმართა პიერ დე სევრიმ. _ მდგომარეობა ბევრად უფრო საგანგაშოა, ვიდრე მეგონა. ციხე-სიმაგრის სარდაფში ყრუდ ისმის წერაქვის ხმები. მტერი გვირაბს თხრის და მიწისქვეშეთიდან გვიახლოვდება. სასწრაფოდ უნდა ვიხსნათ ორდენის საგანძური.

- მარშალო, საბუთები, სალარო და ძვირფასეულობა სკივრებშია ჩალაგებული. თქვენი ერთი სიტყვა და საქმეს შევუდგებით. ღვთის შემწეობით, ხელს ვერაფერი შეგვიშლის.

- ძმაო თიბო! ყველაფერი არ იცი. _ ოდნავადაც არ შეუცვლია ტონი მარშალ პიერ დე სევრის. _ ცოტაც მოითმინე; ახლა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია მოსაგვარებელი.

- გისმენ, ძმაო პიერ!

- გახსოვს, სასიკვდილოდ დაჭრილი დიდი მაგისტრის გალერაზე გადაყვანა ზღვაზე მაღალი ტალღების გამო ვერ შევძელით? იგი ტაძარში დავაბრძანეთ. საღამოვდებოდა, როდესაც ბრძოლის ველიდან გამოქცეული ადამიანების ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია, დუმილი დაარღვია და იკითხა: რა ხდებაო? ვუპასუხე, რომ ხალხი ბოლომდე იბრძვის. ”ნუ დრტვინავთ”. _ თქვა და დადუმდა. რამდენიმე წამში ძალა მოიკრიბა, კვლავ ”ნუ დრტვინავთ”-ო გაიმეორა და სულიც ამოხდა.

- ნუთუ დიდი მაგისტრისთვის გამხელილი საიდუმლოს გადმოცემა ვერ მოასწრო? _ ცუდი უგრძნო გულმა თიბო გოდინს.

- სიკვდილის წინა ღამეს, როდესაც გადაწყვიტა, რომ ჯვაროსნებს მხოლოდ მტერზე იერიში გადაარჩენდა, თავისთან მიხმო და დიდხანს ვისაუბრეთ. კარგ ხასიათზე იყო. ბევრი რამ გაიხსენა. რას ვიფიქრებდი, თურმე სამუდამოდ მემშვიდობებოდა. მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, მერე დავფიქრდი: თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მითხრა და ვერ მივუხვდი. თუმცა

ერთი რამ ცხადად ბრძანა. ჩემი ვალია, გადმოგცე გილიომ დე ბოჟეს დანაბარები. მან პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე განმიცხადა, რომ მე _ მარშალი პიერ დე სევრი _ კი არა, არამედ შენ _ კომანდორი თიბო გოდინი _ უნდა გახდე ტამპლიერთა ორდენის მომავალი დიდი მაგისტრი.

თიბო მიხვდა, რომ ამ სიტყვების მოსასმენად იცხოვრა აქამდე.

ღირდა.

ტამპლიერთა ლოზუნგი გაახსენდა: ”MOMENTO FINIS”. ამჟამად ზუსტად იცოდა: ორმნიშვნელოვან ფრაზას დასასრულთან კავშირი არ ჰქონდა. თიბო გოდინი ასე ახლოს არასოდეს ყოფილა მიზანთან.

- ვერ დავიჯერებ, რომ ჩემი მემკვიდრედ დასახელება არის ორდენის მაგისტრის საიდუმლო. _ თიბოს ხმა სიხარულისგან არც კი შეტოკებია. იგი დიდხანს ემზადებოდა ამ დღისთვის და შეძლო აღტაცების შენიღბვა. არ ენდობოდა ემოციების მიმიკისა და ხმის ტემბრით გამოხატვას. ტამპლიერთა ორდენის მომავალი მაგისტრისთვის არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, მის ბედნიერებას სხვები გაბრწყინებული თვალებით მიეგებებოდნენ, თუ სახეზე შურის ალების მოთოკვის მცდელობით და მარშლისთვის არ შეუხედავს.

- ძმაო თიბო! წესდების მიხედვით ორდენის დიდ მაგისტრს ფორმალურად ირჩევენ: თორმეტი რაინდი და ერთი ძმა-კაპელანი. არჩევნები საჯაროა და თანასწორობის პრინციპს ეფუძნება. თუმცა მას აქვს ერთი პატარა საიდუმლო. თუ გახსოვს, წესდების მიხედვით, ასე ხდება: დიდი მაგისტრის გადადგომის ან დაღუპვის შემთხვევაში მარშალი იწვევს ორდენის ჩინოსნებს; ისინი ირჩევენ დიდ კომანდორს; დიდი კომანდორი ნიშნავს არჩევნების კომანდორს, რომელსაც აჰყავს თანაშემწე; ეს ორი ირჩევს კიდევ ორს და ხდებიან ოთხნი; ეს ოთხი ირჩევს კიდევ ორს და ხდებიან ექვსნი და ასე გრძელდება, ვიდრე ამომრჩეველთა რაოდენობა არ გახდება თორმეტი; თორმეტი მოციქულის დარად. შემდეგ ეს თორმეტი ირჩევს ძმა-კაპელანს, რომელიც განასახიერებს იესო ქრისტეს. ამრიგად ძმები გახდებიან ცამეტნი; მათგან რვანი უნდა იყვნენ ძმა-რაინდები, ოთხნი _ სერჟანტები და ერთი ძმა-კაპელანი. ამომრჩევლები აუცილებლად სხვადასხვა ქვეყნების და ხალხების წარმომადგენლები არიან. ეს რთული სქემა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ საძმოს წევრებს თავისუფალი არჩევნების ილუზია შეექმნათ. სინამდვილეში კი ყველაფერი მარშლის და ორდენის ჩინოსნების ნებაზეა დამოკიდებული. ისინი წამოაყენებენ არჩევნების კომანდორად ძმას, რომელსაც დიდი მაგისტრის კანდიდატურას დაუსახელებენ და ისიც თავისი მეგობრების

მეშვეობით აკოწიწებს ცამეტძმიან ამომრჩეველთა ჯგუფს, რომელიც გამარჯვებულად გამოაცხადებს მარშლის და ჩინოსნების მიერ შეთავაზებულ პიროვნებას. მთელ მრავალეროვან ორდენს კი ჰგონია, რომ დიდი მაგისტრის არჩევაში მონაწილეობდა. აჰა, ძმაო თიბო, ეს პატარა საიდუმლო დაგეხმარება მაგისტრ გილიომ დე ბოჟეს ანდერძის აღსრულებაში. ხვალიდან, როდესაც სულთანი ალ-აშრაფ ხალილი ჩემს მოკვეთილ თავს შუბზე წამოაგებს და სენ-ჟან დ"აკრის ტამპლიერთა ტაძარზე უკანასკნელი შეტევის დაწყების ნიშნად მაღლა აღმართავს, შენ იქნები ორდენის მარშალიც, კომანდორიც და მხოლოდ შენს მოხერხებულობაზე იქნება დამოკიდებული, გახდები თუ არა დიდი მაგისტრი.

- ნდობისთვის მადლობა, ძმაო პიერ. ახლა ერთი სული მაქვს, ვიდრე ორდენის მთავარ საიდუმლოს ვეზიარები.

- გილიომ დე ბოჟეს ჩემთვის ტამპლიერთა საიდუმლო არ გაუმხელია.

- ნუთუ სამუდამოდ დაიკარგა იგი? _ გულდაწყვეტის დამალვას აზრი არ ჰქონდა და არც უცდია თიბო გოდინს.

- ვერაფრით ვინუგეშებთ თავს. კიდევ ერთი საკითხი დამრჩა მოსაგვარებელი. გილიომ დე ბოჟემ მითხრა, რომ ძმა თიბოზე უკეთ არავინ იცის

იერუსალიმში მცხოვრები ქრისტიანების თავგადასავალი ...

- ლათინელებს სალადინი იქ 1187 წელს დაერია. ზოგი დევნილი გახდა, ზოგი _ მონა, ზოგმაც მუსულმანობა მიიღო. მხოლოდ 1229 წლიდან ფილიპე მეორეს შემწეობით შეძლეს კათოლიკებმა წმინდა ქალაქში დაბრუნება ...

- ეგ ჩემთვისაც ცნობილია. შენ მითხარი, იერუსალიმში მუსლიმების გაბატონების შემდეგ, რა ბედი ეწიათ სხვა ქრისტიანებს?

- სალადინის დროს იქ დარჩნენ ქრისტიანული სექტების მიმდევრები: სირიელები, გეორგიანელები, ბერძნები, სომხები, იაკობიტები. სარაცინები მათ არ ერჩოდნენ. ფილიპე მეორის დროს კი იერუსალიმის ქრისტიანული საძმო გაფართოვდა. ქრისტეს საფლავზე თავის წესს შემდეგი იერარქიით აღასრულებდნენ: პირველნი _ ლათინელები; მეორენი _ ბერძნები, მესამენი _ სირიელები; მეოთხენი _ სომხები; მეხუთენი _ გეორგიანელები; მეექვსენი _ იაკობიტები; მეშვიდენი _ ნუბიელები; მერვენი _ იოანიტები და მეცხრენი _ მარონიტები. ქრისტეს საფლავის მომლოცველებს, რასაკვირველია, იცავდნენ ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები.

- ამათგან გილიომ დე ბოჟეს განსაკუთრებით გეორგიანელები აინტერესებდა. ისინი ჩვენს წესს

ძალიან არ დაშორებულანო. წუხდა, ახლა მაგათ უჭირთ და ტამპლიერთა ორდენის ვალია, დახმარების ხელი გაუწოდოსო.

- გეორგიანელთა შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცი. ეგენი კაბადოკიელი წმინდა გეორგის თაყანისმცემლები არიან. ტამპლიერებივით: ერთი _ ატარებენ წვერს; მეორე _ ღვთისმშობელი მიაჩნიათ მფარველად; მესამე _ კარგი მეომრები არიან; მეოთხე _ სახარებები ჩვენნაირად აქვთ დალაგებული; მეხუთე _ მათი სახარების კანონი ჩვენსავით სვეტებადაა განაწილებული. გეორგიანელები 1054 წელს ქრისტიანულ ეკლესიაში განხეთქილების შემდეგ დიდხანს აღიარებდნენ კათოლიკურ წესს. ამას წინათ ქრისტეს საფლავის ტაძრის წარმომადგენლები იყვნენ მაგათ სამშობლოში და ძალიან მცირედი შესაწირით დაბრუნდნენ. იქ ნამდვილად რაღაც ვერ არის კარგად. გეორგიანელების ტამპლიერებისგან გარეგნულად განსხვავება თავზე ამოპარსული ტონზურით შეიძლება. საეკლესიო მსახურებს მრგვალი ტონზურა აქვთ, მრევლს _ ოთხკუთხა. კანონიკურად ჩვენგან იმით გამოირჩევიან, რომ ბოლო დროს მხოლოდ ქრისტეს ხორცით ეზიარებიან ანუ ლიტურგიის დროს ღვთისმსახურები მხოლოდ პურს იყენებენ. გეორგიანელები მექასთან ახლოსაც ბინადრობენ, მაგრამ ძირითადად კავკასიის მთებსა და შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა,

რომ სხვადასხვა ტომებს და სამთავროებს წარმოადგენენ, ერთ ენაზე ლოცულობენ და დამწერლობაც მხოლოდ იმ ენაზე აქვთ. გამახსენდა, ერთ-ერთი ჩვენი ძმა გეორგიიდანაა და, თუკი ცოცხალია, ბევრ სხვა საინტერესო ამბავსაც მოგვიყვება.

- ესე იგი, გილიომ დე ბოჟეს უკანასკნელ სურვილსაც ავუსრულებ. სასწრაფოდ მოუხმე იმ გეორგიანელს და ჩვენი საგანძურიდან ორი პეშვი ოქროს მონეტები და ძვირფასი თვლები გამოაყოლე ხელს. დიდმა მაგისტრმა მითხრა, იმდენი საგანძური გაატანეთ, რამდენიც სალიტურგიო თასში ჩაეტევაო. _ მარშალ პიერ დე სევრის ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის გახსენებას ცდილობდა. _ რა ჰქვია ჩვენს გეორგიანელს?

- ძმა იოსებს ვეძახით, მაგრამ სინამდვილეში რაღაც უცნაური სახელი აქვს. თუ არ ვცდები სოთი თუ შოტა. რომელიღაც დიდი წინაპარის მოსაგონრად დაურქმევიათ მშობლებს. ის კაცი პოემებს წერდა თურმე.

- მართალია! დიდი მაგისტრი მაგ სახელს ახსენებდა, ოღონდ, მე მგონი, შოთას ეძახდა. დიახ, ახლა ზუსტად გამახსენდა. ასე თქვა: შოთამ იცის, რაში უნდა გამოიყენოს ტამპლიერთა ძღვენიო.

თიბო გოდინი გეორგიანელის მოსაყვანად გავიდა.

მარშალმა პიერ დე სევრიმ ტამპლიერთა ციხესიმაგრის კარიბჭესთან დღეს მოკლულ სერჟანტ გის სულის მოსახსენებლად ასი ”მამაო ჩვენოდან” დარჩენილი უკანასკნელი ათიც ხმამაღლა წაიკითხა და სადიაკვნოდან საკურთხეველთან გავიდა.

გულზე და მარცხენა მხარზე წითელი ჯვრებით დამშვენებულ თეთრ მოსასხამში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი და კომანდორი ტაძრის დარბაზში შემოვიდნენ. თიბო გოდინი მარშალს მიუახლოვდა და თასად შეტყუპებულ ორ პეშვში ჩაყრილი ოქრო და ძვირფასი თვლები სატრაპეზოზე ფრთხილად დაახვავა.

- ძმაო შოთა! _ მშვიდად დაიწყო პიერ დე სევრიმ. _ დიდი მაგისტრის დავალება ალბათ გახსოვს?

- დიახ, მარშალო!

- გიბრძანებ, აიღე ეს ძვირფასეულობა, შეუერთდი კომანდორის რაზმს და სასწრაფოდ დატოვეთ სენ-ჟან დ’აკრი. სიდონში ჩახვალთ თუ არა, ჯგუფს გამოეყოფი. მოქალაქესავით ჩაიცვამ, ადგილობრივ მოსახლეობას შეეკედლები და წმინდა მიწაზე დროებით დარჩები. სარაცინები გეორგიანელებს არ ერჩიან. როდესაც ვნებათაღელვა ჩაცხრება, შენს სამშობლოში გაემგზავრები და ტამპლიერთა ძღვენს იქაურ ღვთისმსახურებს გადასცემ.

- ბრძანებას ვემორჩილები, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ თქვენთან ერთად სიკვდილზეც არ ვიტყოდი უარს. _ მშვიდი და გულწრფელი იყო ახალგაზრდა კაცი.

მარშალმა ორივე ხელით აკრიფა ტრაპეზზე დახვავებული ძვირფასეულობა. წამით უხერხულად იგრძნო თავი. მიიხედ-მოიხედა, ზიარების ბარძიმი დაინახა, ოქრო და ძვირფასი თვლები შიგ ჩააჩხრიალა და სავსე თასი ახალგაზრდა კაცს გაუწოდა. შემდეგ თიბო გოდინს მიუბრუნდა:

- მშვიდობით ძმაო, ორდენის საიდუმლო ვერ გადმოგეცი. მაგრამ მჯერა, რომ მუდამ გემახ-სოვრება ტამპლიერის მთავარი დანიშნულება _ თავისი ხმალი და სიცოცხლე ქრისტიანების და ქრისტიანული საიდუმლოებების დაცვას მიუძღვნას.

***

ერთი საათიც არ გასულა. სენ-ჟან დ'აკრის ტამპლიერთა ციხის პორტში მდგარმა პატარა მსუბუქმა ხომალდმა დიდი თეთრი აფრა გაშალა და გეზი ღუზაზე მდგარი გალერებიდან მარჯვნივ, ზღვის სიღრმისკენ აიღო. არ გასულა ორიოდე წუთი და ნაპირს ოთხი სწრაფმავალი ნიჩბებიანი ნავი მოსწყდა და მამლუქთა საბრძოლო ყიჟინით გაეკიდა იალქნიანს. დევნა დიდხანს არ გაგრძელდა.

ის-ის იყო ნიჩბოსნებმა კაუჭიანი თოკები მსუბუქ ხომალზე გადაყარეს, რომ იქ რაღაც აფეთქდა და აფრა ცეცხლის ალში გაეხვია. პატარ-პატარა კასრები ნავებშიც ჩაცვივდა; რამდენიმე წამში დევნილი იალქნიანი და მდევნელი ნიჩბებიანი ნავები აგუზგუზდა.

ნაპირზე მდგომი მამლუქები გაოცებულები უყურებდნენ წყალზე ნავებისა და კაცებისგან გაჩაღებულ კოცონს. ნავები უდრტვინველად, ამაყად იწვოდა, ღირსებადაკარგული ალმოდებული ადამიანები აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ, ფართხალებდნენ და ზღვაში ჩახტომით ცდილობდნენ თავის გადარჩენას.

სენ-ჟან დ’აკრის ტამპლიერთა ციხესიმაგრის საიდუმლო გასასვლელიდან კი თერთმეტმა აჩრდილმა ყუთები ნავში ჩატვირთა და გეზი ყურეში მდგარი გალერებისკენ აიღო.

სულ მალე ოთხივე გალერამ სხვადასხავა მიმართულებით დატოვა სენ-ჟან დ’აკრი.

ზღვა იწვოდა.

წმინდა მიწაზე ქრისტიანებისთვის ქვეყანა იქცეოდა.

თიბო გოდენისთვის კი ყველაფერი ახლა იწყებოდა;

იგი გალერის კიჩოზე იდგა და უსასრულო სიბნელეში იყურებოდა.

არც იმ უკუნში ჩანდა ტამპლიერთა საიდუმლო, რომლის ცოდნის გარეშეც დიდ მაგისტრად ყოფნას აზრი ეკარგებოდა.

თენდებოდა, როდესაც გემბანზე ჩაძინებულ ახალგაზრდა გეორგიანელ რაინდს გაეღვიძა; წამოდგა, ზღვას გახედა და მარჯვენა მხარეს სიდონის ციხის კონტურები დალანდა. ხელი გულზე დაიდო. თეთრ ლაბადაზე გამოსახული ჯვრის უკანა მხარეს საგანგებოდ მიკერებულ ჯიბეში ხის სალიტურგიო თასი, ოქროს მონეტები და ძვირფასი თვლები ეგულებოდა.

წელი 1773

ეგვიპტე

ალი ბეი, იუსუფი, ყადი,

ბადრუ, ბუბუ, ბაქარი ...

მამლუქების ეგვიპტეში ცუდი ამბები ხდებოდა.

ნათესავები ერთმანეთს გადაემტერნენ.

ნაშვილებმა აღმზრდელზე, მწყალობელზე, ცოლის-ძმაზე და კაცად გამომყვანზე აღმართა ხელი.

აბუდაჰაბის და ალი ბეის დაპირისპირებამ ადგილობრივებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებს ბრწყინვალე პორტას დედაქალაქ კონსტანტინოპოლშიც ყურადღებით აკვირდებოდნენ.

მიადგებოდა აბუდაჰაბის არმია თავის გამზრდელ ალი ბეის ერთგულ ქალაქს; შეუთვლიდა იქაურ მმართველს, თუ ჩემს მხარეს გადმოხვალ, თანამდებობას და ქონებასაც შეგინარჩუნებო და ყველაფერი მშვიდობიანი გარიგებით მთავრდებოდა. რადგანაც ეს დაუჯერებელი ამბავი მოხდა და აბუდაჰაბი ალი ბეის განუდგა, ერთი უფროსის მეორეთი ჩანაცვლება ღალატად რად უნდა ჩათვლილიყო?

ომი იყო და ბეგებს ზნეობისთვის სად ეცალათ.

ერთ დღეს კი მთელი აურზაური ისევე ჩვეულებრივად დასრულდა, როგორც ასეთი ამბები მთავრდება ხოლმე: დაკრძალვით ცერემონიალით.

სეირის მაყურებლები ელოდნენ, რომ გარდაცვლილის გვამს თავს წააცლიდნენ, ტრაკქვეშ ამოუდებდნენ და ამგვარად შემოატარებდნენ კაიროს ქუჩებს;

იმედი გაუცრუვდათ.

***

იმავე ღამეს შვიდი პირამიდის ფონზე დაბანაკებულ ქარავანს უჩუმრად შეეკედლა წელში მოხრილი, ძოწისფერმოსასხამიანი კაცი, რომელიც წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელჯოხს საკმაოდ

მოუქნელად ხმარობდა. უცნობს თავს წითელი ქუდი, პირსახეს კი დოლბანდი უფარავდა და მხოლოდ თვალები უჩანდა. ცხვირ-პირზე ნაჭრის აფარება მტვრიან გზაზე მოხეტიალე მგზავრებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო და ეს ადამიანი საეჭვოდ არ მიუჩნევიათ. თანაც მოყანყალებული ხეიბარი ვერაფერი ქურდი იქნებოდა, ვაჭრები მისგან საფრთხეს არ მოელოდნენ და ყურადღება ამიტომაც არ მიუქცევიათ.

არც დაღლილ-დაქანცულმა აქლემებმა, ცხენებმა და ჯორებმა იუცხოვეს სტუმარი.

იისფერს ოქროსფერი შეერია; მშვიდობიანად თენდებოდა.

ქარავანი აიყარა, ბაბ-ელმედ-ბაჰის კარიბჭის გასავლელად დაწესებული ხარკის მხოლოდ მცირე ნაწილის გადახდის შემდეგ ქალაქში შევიდა და ინსტაკ-სელაჰის ქარვასლისკენ მიმავალ მთავარ გზას აქლემების სიდინჯით გაუყვა.

დღე ბარაქით დაიწყო: ვერცხლის მონეტების დაზოგვის გამო კარგ ხასიათზე დამდგარი სოვდაგრები მხიარული შეძახილებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. კმაყოფილი იყო საბაჟოს უფროსი ბერძენი ქრისტიანი მიქაელ ფარჰა; იმ თანხის ნახევარი, რომელიც საფაშოს ხაზინას დააკლდა, ახლა მის ქისაში ჩაჩხრიალდა და იქ ისე გაიტრუნა, როგორც ყველა მოპარულ ფულს სჩვევია; იგი მერე

დაიხარჯება, ძირითადად, აღვირახსნილი განცხრომისთვის.

ვაჭრებს მიტმასნილ წელში მოკაკულ უცნობს ძოწისფერი მოსასხამი გაეხადა და რიგითი ეგვიპტელივით ეცვა ლურჯი კაბა, რომელზედაც ერთი მტკაველი სიფართის აბზინდიანი ქამარი შემოერტყა. იგი ოსტატურად ცდილობდა, ჯანიზარების თვალებს და მზის ჯერ კიდევ სუსტ სხივებს წოპწოპა საპალნით დატვირთული ჯორის ჩრდილში დამალვოდა;

დილის სტუმრებს პატარა უბნის ბაბ-ენ-ნასრის კარიც უკან დარჩათ თუ არა, ჯოხიანი მოულოდნელად სხარტად გამოეყო ქარავანს და მიხვეულ-მოხვეულ ლაბირინთებში გაუჩინარდა.

იგი ახლა გოლიათური აღნაგობის, სრულად ჯანსაღი კაცი იყო.

***

1773 წლის გაზაფხულზე პაპანაქება სიცხეები დაიჭირა ნილოსის დელტის სიახლოვეს გაშენებულ ლამაზ ქალაქში, რომელსაც ადგილობრივები მასრის უწოდებენ, ხოლო საყოველთაოდ დიდი კაიროს სახელითაა ცნობილი; არხები დაშრა და ალაგ-ალაგ

შემორჩენილ გუბეებში გამომწყვდეული უამრავი თევზი და ბაყაყი მწველი მზისგან გაცხელებულ წყალში ჯერ ცოცხლად მოიხარშა და სულ მალე საშინლად აყროლდა. სწორედ ეს სურნელი აიტაცა აპრილის დილის გზააბნეულმა ქარმა და ხან ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ შვიდი კილომეტრის სიგრძეზე გაჭიმულ მთავარ ქუჩებში დაანავარდებდა, ხანაც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ თითქმის ხუთი კილომეტრის სიგანეზე ლაბირინთებად გაბნეულ პატარ-პატარა შუკების მეშვეობით სურდა ქალაქის მკვიდრ ცხრაასი ათასი ადამიანიდან ვინმე არ გამორჩენოდა; მონდომებით ცდილობდა, თითოეულთან მიეტანა შარშანდლიდან უკვე მივიწყებული ოხშივარი, რომელიც ბლომად შეიცავდა შავი ჭირის ჩხირებს და ყოველ წელიწადს ბრწყინვალე პორტას იმპერიაში ჟამიანობის გავრცელების მიზეზი ხდებოდა. ოდესღაც აქაურობის ბატონ-პატრონები, ახლა კი სამადლოდ თითებზე ჩამოსათვლელად შემორჩენილი კოპტები ერთმანეთს ჩურჩულით უმტკიცებდნენ: შავი ჭირი გამაჰმადიანებული ეგვიპტის მეთერთმეტე სასჯელიაო;

დამპყრობლებთან დამარცხებულები უკვე იმდენად დაუძლურებულიყვნენ, რომ შურისმაძიებლად მხოლოდ ღმერთი ეგულებოდათ.

იმ დილით დიდი კაიროს მცხოვრებლების უდიდეს ნაწილს ამ სურნელისთვის ცხვირი არ აუბზუებია

და არც ათასობით სიცოცხლის მსხვერპლად გამტაცებელი ავადმყოფობის შეშინებია. მათ ამქვეყნიური საზრუნავი დროებით მიევიწყებინათ და მუხლებზე, პირით მექისკენ, დავარდნილები დილის ნამაზს აღასრულებდნენ.

ქუჩებში, ეზოებში, ჯამეებში, მოედნებზე, ოთახებში ადამიანები ერთხმად, ერთი მიმართულებით ლოცულობდნენ და ერთი ქალაქის ზღვა ხალხის ამგვარი სინქრონული მოქმედება არც იყო საკვირველი, რადგან თუ მეჩეთებში ლოცვისთვის განკუთვნილი ადგილები ისედაც მონიშნული იყო, ამა თუ იმ საპატიო მიზეზით მეჩეთს გარეთ დარჩენილ თითოეულ მლოცველს წინასწარ ჰქონდა შეგულებული პალმა, სახლი, მინარეთი თუ სხვა ორიენტირი, რომელთა მიხედვითაც ზუსტად იცოდა, სად მდებარეობდა მექა და დადგებოდა თუ არა ლოცვის ჟამი, ყველანი პირს იქითკენ იქცევდნენ.

საოცარი იყო მხოლოდ მურისტანის ჰოსპიტლის მკვიდრთა ამგვარივე ქმედება. აქ სამადლოდ შეხიზნული თოთხმეტი ათასამდე ბრმა ადამიანი ერთდროულად, ერთი მიმართულებით იჩოქებდა და ლოცულობდა. არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი ნამაზი, რომ უსინათლოთაგან რომელიმეს მხარი ეცვალა.

აპრილის იმ ლამაზ დილას მურისტანის ბრმათა თავშესაფრის ჩრდილოეთის კარებთან კედელს აკრულმა, ქარავანს ჩამოცილებულმა, ახოვანმა, ყავისფერთმიანმა, დიდთვალა, ლამაზი პირსახის ორმოცდახუთი წლის კაცმა უცნაური რამ იგრძნო: აქაურობა მართლაც მოჯადოებული იყო.

კი ამბობდნენ, ზოგჯერ ბრმების კოლექტიური ლოცვა გამოჰყოფს სიწმინდეს, რომელიც არხებში დამპალი თევზის სუნს სრულიად ანეიტრალებს და აქაურ ჰაერს სიმხნევის ძალით ავსებსო, მაგრამ გადასამოწმებლად არასოდეს მოუცლია. იმ დილით ამ ადამიანმა ლამის ნახევარი დიდ კაირო მოიარა და თავად დარწმუნდა, რომ მხოლოდ მურისტანის ჯამე არ ყარდა.

სიმართლეს ვერსად გაექცევი; იგი მრავალფეროვანია და თითოეული ადამიანი, ადრე თუ გვიან, მის მხოლოდ ზოგიერთ ნაწილს შეიცნობს ხოლმე.

მუჰამედის რწმენის ჭეშმარიტებაში ეჭვშეპარული კაცისთვის ეს მოვლენა ერთობ საინტერსო აღმოჩნდა და საფიქრალსაც ჰმატებდა; თუმცა ამისთვის არ ეცალა, დარწმუნებული იყო, რომ მუჰამედზე და ალაჰზე მსჯელობისთვის მერეც დიდი დრო ექნებოდა. ახლა კი სულ სხვა საზრუნავი აწუხებდა.

წინ დიდი გზა ჰქონდა გასავლელი: აქედან ძალიან შორს, პორტას იმპერიის ლამის კიდეზე არსებული ბუნებრივი პირამიდების _ კავკასიის მთების _ ძირში, მდინარე კოდორთან მდებარე დრანდის ტაძრის სიახლოვეს საიდუმლოდ დაფლული, ტამპლიერთა ორდენის მიერ გეორგიანელთა სექტისთვის ნაზიარები, უწმინდესი ქრისტიანული რელიკვია ეგულებოდა.

ამ კაცმა ზუსტად იცოდა ის ადგილი.

თურმე იმ განძს მთელი სამყარო გაფაციცებით დაეძებს და მის მპოვნელს ევროპის უდიდესი სახელმწიფოების მეფეები ნებისმიერ სურვილს შეუსრულებენ.

ქამარში შენახული ქისიდან ზეითუნის ზეთით გაპოხილ პაპირუსში გახვეული ცხვრის ნაწლავის ორი სიფრიფანა ნაჭერი ამოიღო. ჯერ მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით მარცხენა თვალის ქუთუთოები ბოლომდე გაშალა და მარცხენა ხელის დახმარებით ნაწლავის თხელი ნაჭერი თვალზე გადაიკრა, იგივე მოქმედებით აპკი მარცხენა თვალზეც აიფარა, შემდეგ კედელთან მიყუდებულ ჯოხს ფათურით ადვილად მისწვდა და ქვაფენილზე ჩუმად დააკაკუნა.

წითელმოსასხამიანი მზად იყო მურისტანის თოთხმეტ ათას ბრმას მათიანად შერეოდა.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თორემ, წესით, არათუ ჰოსპიტლის რამდენიმე ასეული თვალხილული მოსამსახურე და მოლა, არამედ მთელს ეგვიპტეში უკვე აღარავინ უნდა დაეძებდეს.

დილის ნამაზი დასრულდა; თოთხმეტი ათასი ბრმა მლოცველი ფეხზე წამოდგა და თოთხმეტი ათასი ხელჯოხი ერთდროულად აკაკუნდა. მალე საუზმის ჩამორიგებაც დაიწყო და ჯოხების კაკაკუკს ქვაბების კიდეებზე სარაცინული ფეტვის ფაფის ნარჩენების დასაფერთხად ჩამორტყმული ხის დიდი ჩამჩების ბრახუნი და ჯამების რაკარუკი დაემატა.

დიდი კაიროს იდუმალი სტუმარი უკვე ჰოსპიტლის ეზოში იყო და ხელჯოხის ცეცებ-ცეცებით მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა მურისტანის დილის გამამხნევებელ ჟღარუნ-რიწკინში.

დღის გატარებას ასე ვარაუდობდა: ახლა ეგვიპტეში მომხდარ აქამდე არგაგონილ ღალატზე ხალი-სიანად მოსაუბრე ბრმების ჯგუფი უნდა შეერჩია, მათ მიტმასნოდა და გულმოდგინედ მოესმინა ტყუილ-მართალი. დაბინდებამდე დიდი დრო ჰქონდა და როგორმე ხომ უნდა მოეკლა?! ხოლო ღამით, როდესაც დიდი კაიროს ქუჩები კვლავ დაცარიელდებოდა, ასევე უჩუმრად გაიპარებოდა აქედან და კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ

ვაჭრების ქარავანს გაჰყვებოდა. იმ საოცარი ქალაქიდან კი ადამიანი კავკასიაშიც ადვილად მოხვდებოდა.

ხოლო იმის შესახებ სინამდვილეში როგორ განლაგდებოდნენ ცაზე ვარსკვლავები, ამ კაცმა არაფერი უწყოდა.

***

იუსუფი თოთხმეტი ათასი ბრმის თავშესაფრის დიდი საიდუმლოს მცველი იყო.

უკვე ერთ კვირაზე მეტი გავიდა, რაც მურისტანის აბანოს სარდაფში განსაკუთრებული თიხით გალესილ ღუმელთან ფუსფუსებდა და საფაშოში ბოლო დღეებში მომხდარი გულისშემძვრელი ამბების შესახებ არაფერი გაუგია. მარტოკაცისთვის ხუმრობა საქმე როდია, უზარმაზარი ჰოსპიტლის მკვიდრთა მიერ მთელი ერთი წლის განმავლობაში ნაგროვები ქოქოსის ნაჭუჭებისგან სპეციალური ნახშირის მიღება. მაგრამ დრო იყო ახლა ასეთი და მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვდა.

დიდ კაიროში მყრალი დღეების სეზონი დაიწყო.

მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ქოქოსის ნაჭუჭის ნახშირი მურისტანის მეჩეთის დარბაზებში, სენაკებში, დერეფნებში, ეზოებში, გალავნის გასწვრივ უნდა ჩამოერიგებინა. სწორედ იგი შეიწოვდა დამპალი თევზის აქოთებულ სუნს.

ჰაერის გაწმენდის ამ ხერხის შესახებ დიდი ხნის წინ სრულიად შემთხვევით გაიგო აქ შეკედლებული ვენეციელი მოხუცისგან, რომელსაც მაშინ თავისი გასაჭირი შესჩივლა. ბებერმა ბრმამ გულისყურით მოუსმინა და ასე დაუყვავა: ”შენ რომ სუნის გაქრობის ჩემეული მეთოდი გცოდნოდა, ეგ უბედურება არ შეგემთხვეოდა.”

არც იმ კაცმა დაიჯერა მისი უდანაშაულობა.

იუსიფი თავის თავს გაუბრაზდა და გადაწყვიტა: არასოდეს, არავისგან დალოდებოდა თანადგომას, სიბრალულს, შეწყალებას. ადამიანებისგან თანაგრძნობის ცრუ მოლოდინი იმედგაცრუებას შობს და გულისტკივილს იწვევს. მერე ბავშვურმა ცნობისმოყვარეობამ თავისი ქნა, დაინტერესდა ცუდი სუნის გამქრობი ნივთიერებით; მალე, ვენეციელი მოხუცის დახმარებით, აბანოს სარდაფში ერთი პატარა ღუმელი გამართა, ქოქოსი გამოწვა და აღმოჩნდა, რომ მიღებული ნახშირი მართლაც იწოვდა ხრწნადი ხორცის სიმყრალეს.

შემდეგ გაზაფხულზე დიდი კაიროს გუბეებში თევზი კვლავ დალპა და მთელი მურისტანის

მეჩეთი ააყროლა; იუსუფმა გადაწყვიტა, ქოქოსის ნახშირის მეშვეობით შვება მოეტანა აქაური ბინადრებისთვის და ჩენჩოს შეგროვებას მიჰყო ხელი. ბრმებმა იფიქრეს, ამ ბიჭს ალბათ სიგიჟე სჭირს; ზედმეტად არ გავაღიზიანოთ, ქოქოსის ნაჭუჭი შევუნახოთ, ჩვენგან რა მიდისო.

მორიგ გაზაფხულზე, როდესაც მთელი დიდი კაირო ამყრალდა, მურისტანის მეჩეთში სასიამოვნო სურნელი იდგა. იუსუფი კმაყოფილი იყო. კმაყოფილი იყო მურისტანის მოლაც, რომელმაც სიმყრალის გაქრობა ალაჰის მიერ ბრმების ლოცვის შესმენის ნიშნად ჩათვალა და ასე განუცხადა თავის მრევლს:

- ალაჰმა თქვენი ერთგულების საფასურად ეს სასწაული მოგივლინათ. მთელი მასრი ყარს, აქ კი გაზაფხულის სურნელი ტრიალებს. მადლიერების ნიშნად რწმენა უნდა განვიმტკიცოთ და უფრო მხურვალედ ვილოცოთ მის სადიდებლად. დიდება ალაჰს. მხოლოდ ალაჰია ჭეშმარიტი ღმერთი და მუჰამედი მოციქულია მისი.

იუსუფს მოლის ნათქვამი ეწყინა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. იგი თანდათან შეგუებოდა წუთისოფლისთვის დამახასიათებელ უსამართლობას.

სამაგიეროდ, ეამაყებოდა, რომ, ვენეციელი მოხუცის გარდაცვალების შემდეგ, გაწკრიალებული ჰაერის საიდუმლო მხოლოდ მან იცოდა.

გაზაფხულის იმ ლამაზ დილას კი ქოქოსის ნაჭუჭის ნახშირის ბოლო ნატეხები ეზოში მიმოაბნია და, ვიდრე ლოცვას დაიწყებდა, გუმანით მიხვდა, რომ დღეს რაღაც გაუხარდებოდა.

***

იუსუფმა ტანი ადრე აიყარა, უშნოდ აიწოწა, თანატოლებს სიმაღლეში საგრძნობლად გაუსწრო და ამის გამო უხერხულობას გრძნობდა.

თანასწორობის აღსადგენად ბეჭებში მოხრილი დადიოდა.

ზაფხულის ის წყეული შუადღეც დადგა, როდესაც მამამ პირველად და, როგორც მალე გაირკვა, უკანასკნელად გადააბარა გასაყიდი ხორცი.

დახლთან მარტო დარჩენილი ცამეტი წლის ყასაბი იმდენად ამაყი გახდა, რომ ბეჭებში გაიმართა და სიმაღლის უკვე აღარ რცხვენოდა. მილეთის ხალხი ირეოდა, ხორცი კარგად იყიდებოდა, ვერცხლის

ფარა და სპილენძის ჯიდითები ქისაში ჩხრიალით ჩაედინებოდა.

რა ადვილი, სასიამოვნო და სახალისო ყოფილა მოხვეჭა?!

დიდი კაიროს ყადიმ დახლქვეშიდან მოულოდნელად ამოყო ქოსა პირსახე; იგი ჯუჯა იყო; ცერებზე შედგა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი არტალის მოზრდილ ნაჭერს სტუცა, ”ამიწონეო”, ბავშვის ხმით დაიწრიპინა და ბოროტი თვალებით შესციცინა აწოწილ ყმაწვილს.

უსიამოვნებები მას შემდეგ დაიწყო, რაც იუსუფმა ყადის მიერ გაოცებული სახით მოწოდებული მონეტები ქისაში დაიგულა. ზედამხედველს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ხორცში ფული გადაახდევინეს. მისმა თანმხლებმა კაცებმა ჯერ სასწორი შეათვალიერეს, მერე გირები გასინჯეს; ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა. უკმაყოფილო ქონდრისკაცმა ახლა არტალის ნაჭერი დაყნოსა, დაიჯღანა და გარშემო მყოფთ მიუბრუნდა:

- ამ არამზადამ დამპალი ხორცი მომყიდა! აი ნახეთ! მე რომ ამას მიბედავს, თქვენ, უბრალო ხალხს, ჩვეულებრივ ადამიანებს, რაც გიზამთ?! _ მერე ამალის წევრებს მიუბრუნდა. _ სასწრაფოდ ძელზე!

მამა რომ მოვიდა, იუსუფი მოედანზე აღმართულ ბოძზე იყო გაკრული და ცხვირთან ეკიდა ხორცის

ნაჭერი, რომელიც მცხუნვარე მზისგან უკვე მართლა ლპებოდა და ქოთდა. შვილმა იმედით სავსე თვალები მიაგება; მამის მზერაში განწირული უძლურებაღა დახვდა და მიხვდა, რომ იგი ვერაფრით დაეხმარებოდა. არ ახსოვს, რამდენ ხანს ჰქონდა მშობლისთვის თვალი თვალში გაყრილი; მოედანი თანდათან ცარიელდებოდა; სეირის ყურებით გამძღარი ადამიანები თავიანთ საქმესა თუ ოჯახებს უბრუნდებოდნენ, როდესაც ვიღაცამ ხმამაღლა შესძახა:

- ალი ბეი! ალაჰი შეეწიოს! ჯანმრთელი იყოს და ბედნიერი ჩვენი პატივმოსილი ალი ბეი!

მამის თვალებში ნაპერწკალი გაკრთა, მზერა ცხენზე ამხედრებულ ბეგზე გადაიტანა, მისკენ გაემართა, ორიოდე მეტრში გაჩერდა, მუხლებზე დაეცა და სახით მტვრიან ქვაფენილზე დაემხო:

- ჩემო მბრძანებელო! მატლი ვარ და სიტყვას ვერასოდეს გაგიბედავდი, მაგრამ შვილის ტანჯვას ნუ მაყურებინებ! შეიბრალე და შეიწყალე, იგი ხომ, მიუხედავად სიმაღლისა, ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისაა!

ალი ბეიმ თანმხლებ მამლუქს ხელით ნიშანი მისცა. ისიც ჩამოქვეითდა, დამხობილ კაცს მხრებში სწვდა; წამოაყენა. მამამ ეგვიპტის მმართველს ერთი კი შეხედა და კვლავ დაჩოქება სცადა, მაგრამ არ დაანებეს. რამდენიმე წამი იყვნენ ასე: ცხენზე

ამხედრებული მბრძანებელი და აკანკალებულ ფეხებზე მდგარი მამა. იუსუფს მოეჩვენა, რომ ორივე ამაყი იყო: ალი ბეი იმიტომ, რომ ქვეშევრდომს ღირსება შეუნარჩუნა და მის წინაშე ფეხზე დგომის უფლება მისცა, ხოლო მამა იმიტომ, რომ შვილის გამო მიმართავდა თხოვნით ბეგთაბეგს.

ალი ბეიმ მარჯვენა ხელი აღმართა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა. პაუზა ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ”მარჯვენით აკურთხებენ, ცაციით _ სწყევლიან”. _ იუსუფს ჰოჯას ნათქვამი გაახსენდა და იმედით აივსო.

ალი ბეიმ სეფე სიტყვა ბრძანა:

- წესი წესია! დამნაშავე უნდა დაისაჯოს!

იუსუფმა ალი ბეის აღმართული ხელის თითები ჩურჩულით გადათვალა:

- ერთი, ორი, სამი, ოთხი! _ არ დაიჯერა. ალი ბეის გაშლილი მტევნის მხოლოდ ოთხ თითს ხედავდა. თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. _ ერთი, ორი, სამი, ოთხი! _ მეხუთე თითი ახლაც არ გამოჩნდა.

”პირველი _ რწმენა, მეორე _ ლოცვა, მესამე _ ჰაჯი, მეოთხე _ მარხვა! მეხუთე - მოწყალება სად დაკარგე, ალი ბეი?” _ მხოლოდ გაიფიქრა ცამეტი წლის ცილისწამების მსხვერპლმა და მზერით კვლავ მამას დაუბრუნდა.

მამა მუხლებზე დაეცა.

***

მესამე დღეს ლეშის მატლები ცხვირწინ დაკიდებული ხორცის ნაჭრიდან იუსუფის სახეზე გადაცოცდნენ, ნესტოებში, ყურებში, ჩაუძვრნენ; ქუთუთოებზე და წამწამებზე აფუსფუსდნენ. მთელს სხეულზე მათი გადანაწილება ვერ დაინახა, მხოლოდ იგრძნო. ჯერ ეგონა, რომ მატლები უბინდავდნენ მხედველობას, მაგრამ ერთი კვირის თავზე, როდესაც ბოძიდან ჩამოხსნეს და დაბანეს, თვალის ჩინი აღარ დაუბრუნდა.

იუსუფი დაბრმავდა.

მას შემდეგ იგი ძველებურად მხოლოდ მეხსიერებაში ანუ წარსულში ხედავდა. განსაკუთრებით დაამახსოვრდა სამი რამ: ცხენზე ამხედრებული ძლევამოსილი ალი ბეი, მოედანზე მდგარი სასოწარკვეთილი მამის ცრემლიანი თვალები და სიხარბისაგან გაშმაგებული ადამიანების მიერ დახლზე დარჩენილი ხორცის დატაცების სცენა. წესი კი, რის შესახებაც ბრძანებდა ალი ბეი, ასეთი იყო: თუ ყასაბი წონაში

მოიტყუებოდა ან გაფუჭებულ ხორცს გაყიდდა, მას ძელზე გააკრავდნენ, ხოლო ჩამორთმეულ ხორცს ღატაკებს ურიგებდნენ. იუსუფისთვის დღემდე გაუგებარია, თუ ხორცი საკვებად უვარგისი იყო, იგი ღარიბებისთვის რატომ უნდა მიეყარათ?! მერე ამგვარი წესის შემომღებზე გაბრაზდა: რად არ გაითვალისწინა, რომ ბრბო, ოღონდ რამეს გამორჩეს, ახლადდაკლულ ბატკნის ხორცზეც იტყვის: დამპალია და ნახეთ, აგერ პატარა მატლებიც კი ასევიაო?! დამშეული ადამიანები ხომ კუჭის მონები არიან და რაში დაგიდევენ ყასბის უსამართლოდ ტანჯვა-წამებას?! ამ წესის შემომღები დიდი ხნის წინ გარდაიცვალა და მისი სახელიც კი არავის ახსოვდა. ყადისთან თავისი ანგარიში ჰქონდა; ბოლოს იუსუფი იმ ბეგს მისწვდა, ვისაც ძალუძდა, მაგრამ არ გააუქმა საშინელი კანონი და მასთან გასაუბრების მწველი სურვილი შეეყარა; პირისპირ შეხვედრას გულისხმობდა, თორემ წარმოდგენებში ალი ბეისთან კამათითაც ჰქონდა გული ნაჯერები და ლაზათიანადაც ჰყავდა ნაცემ-ნაწამები.

დაბრმავებულ იუსუფს ხეირის მოტანა არ შეეძლო და მძიმე ტვირთად დააწვა ოჯახს; იგი სულ მალე მურისტანის მეჩეთში ჩააბარეს.

თავიდან ხან დედა აკითხავდა, ხან _ მამა; მალე უმცროსი და წამოიზარდა, ბიჭად გადაცმულმა ერთიორჯერ მანაც ინახულა. თანატოლებიც

შემოირბენდნენ ხოლმე. მერე და მერე მნახველების რაოდენობამ იკლო. იუსუფი თანდათან საბოლოოდ დაივიწყეს თვალხილულობის დროინდელმა ნაცნობებმა. მისი გონებიდანაც გაჰქრნენ ისინი და დარჩა მხოლოდ ბრმა მეგობრებისა და ყოვლისმხედველი ალაჰის ამარა.

ღმერთი მოედანზე შვილის წამების შემყურე მამის აცრემლებული თვალების სახით წარმოედგინა და ყოველ ცისმარე დილას შესთხოვდა ალი ბეისთან შეხვედრას. აწი თვითონ არაფერი ეშველებოდა, მაგრამ შურიძიების წყურვილი არა და არ ცხრებოდა. პირიქით, რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო მძლავრობდა და სულს ათასნაირად იარად აჩნდებოდა.

***

ლოცვა დასრულდა. იუსუფს სიხარულის განცდა არ განელებია. ”ალბათ გაზაფხულის ბრალია, სწორედ მან იცის უმიზეზო სასიამოვნო მოლოდინი”. _ გაიფიქრა ბოლოს და მურისტანის ჩრდილოეთის კარიბჭისკენ გაემართა. იქ პალმების ჩრდილში იკრიბებოდნენ ეგვიპტის ბედ-იღბლით დაინტერესებული ყველაზე სარწმუნო

ინფორმაციის მქონე ბრმები და საფაშოში მომხდარ ამბებზე მსჯელობდნენ.

იუსუფს მურისტანის სარდაფში ღუმელთან გატარებულ დღეებში მონატრებული ცხელ-ცხელი ჭორები უნდა მოესმინა.

- მაპატიე, პატივცემულო, მგონი რაღაც გატკინე! _ ერთი ბრმა ბოდიშს უხდიდა მეორეს.

მურისტანის მკვიდრნი ხშირად ეჯახებოდნენ ერთმანეთს და ყოველთვის მზად იყვნენ ურთიერთპატივისცემის გამოსახატავად, მაგრამ ჩვეულებრივი წინადადება მეხის გავარდნასავით გაისმა იუსუფისთვის. ეს ჟღერადობა არასოდეს დავიწყებია; მთელი კაცობრიობა ერთდროულად რომ ალაპარაკებულიყო, ამ ტემბრს მაინც გამო-არჩევდა. სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. მისგან ორიოდე მეტრში ალი ბეი უნდა მდგარიყო. იუსუფი გაიყურსა და კიდევ უფრო დაიძაბა. მხოლოდ ბრმებისთვის დამახასიათებელი სითბოს შეგრძნების ჯადოსნური უნარით განსაზღვრა უცნობის მდებარეობა და მისი კვალი აიღო. ის კაცი კი ნელა დაიძრა. იუსუფმა იცოდა, იგი უკვე აღარასოდეს დაკარგავდა დიდი ხნის ნანატრ სტუმარს. რამდენიმე წამში ამოცანა კიდევ უფრო გაუადვილდა: ახალი ბრმა ჯოხის ცეცებ-ცეცებით ფრთხილ, განსაკუთრებულ, ახალდაბრმავებულთათვის დამახასიათებელ

ხმოვან კვალსაც ტოვებდა და დინჯად მიუყვებოდა პალმების სალაყბოსკენ მიმავალ ბილიკს. ”მისი საქმე კარგად რომ ვერ იყო, ერთი კვირის წინაც ვიცოდი, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, ამის შესახებ არაფერი გამიგია. ნუთუ ისიც დაბრმავდა და ბედმა მურისტანის ჰოსპიტალში მოახვედრა? რა დიდია და სამართლიანი ალაჰი”. _ გაიფიქრა იუსუფმა. საოცარი შვება იგრძნო. _ ”აი, თურმე, რა უნდა გამხარებოდა.”

სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა.

***

იუსუფს თავიდან მოეჩვენა, რომ სამყარო გაშავდა, მაგრამ მერე კარგად დააკვირდა; სიბნელე შავი კი არა, მუქი ლურჯი აღმოჩნდა. საკმაო ხანი გავიდა, ვიდრე ამ ყოვლისმომცველ სილურჯეში სოსნის-ფერი მკრთალი ნათების გარჩევა შესძლო. ეს საგნების და ადამიანების სილუეტები იყო. თანდათან მათ მიერ გამოყოფილი სითბოც შეიგრძნო და მიხვდა: აწი იგი ასე ხედავდა.

ახლაც ლურჯ უკუნში მოძრავი ალი ბეის ჟალი გამოსახულების წინ გამოჩნდა პაპირუსის ლერწმის, ინდისხურმის და ბანანის პალმების ტევრის მოცისფრო კონტურები. სამი მუხლმორთხმული

ადამიანის იისფერი ნათების და ჰაერში გაფანტული სასიამოვნო არომატის მიხედვით მიხვდა, რომ ცნობილი მოლაყბეების: ბადრუს, ბუბუს და ბაქარის _ ყავის სმის იდუმალი რიტუალი ჯერ არ დამთავრებულა და, შესაბამისად, სიტყვიერი პაექრობაც არ დაწყებულა.

- ვინც ალაჰის გზიდან გადაუხვევს, ყველას საკადრისად მიეზღვება. ალი ბეიმ რაც დაიმსახურა, ის მიიღო. ჯანმრთელი იყოს ჩვენი ბედნიერი და დიდსულოვანი აბუდაჰაბი! _ ყველას დაასწრო ეგვიპტის ახალი კანონიერი მმართველისადმი ერთგულების გამოხატვა ბადრუმ, მუდამ მშვიდმა და თვითკმაყოფილმა მოხუცმა; თან ენით პირის ღრუში დარჩენილი ყავის ნალექი შეაკოწიწა, დააგემოვნა, გადაყლაპა და კმაყოფილმა ტუჩებსაც წკლაპუნი გაადენინა.

- რამდენი წლის ბრძანდებით ბადრუ აღა? _ დაშაქრული ხმა ბუბუს ეკუთვნოდა.

- ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გასული ყურბანბაირამი, მე მგონი, ოთხმოცდამეცხრამეტე იყო ჩემთვის. ერთიც და ასის გავხდები.

- მურისტანის უხუცესი ბრძანებულხარ, ჩვენო სასიქადულო ბადრუ აღა! სიბრძნეს და ქცევის წესებს შენგან ვსწავლობთ. კარგად მახსოვს, ალი ბეის შეიხ ბელედად არჩევასაც ხალისით შეხვდი. სხვებისგან გამიგია, რომ მისი წინამორბედის

მოსვლაც გაგხარებია. ნუთუ ასეთივე წარმავალი იქნება აბუდაჰაბისადმი შენი ერთგულება ეგვიპტის მომავალი მბრძანებლის გამოჩენის შემდეგაც? და ბარემ ამ კითხვაზეც მიპასუხე: ბოლო რამდენიმე წელია, ასი წლის ვხდებიო, გვიმტკიცებ და რით ვერ გადააბიჯე საუკუნეს? _ ფრთხილად უკბინა ბუბუმ.

- ყველაფერი ალაჰის ნებით ხდება და ყოველ ცვლილებას სიხარულით უნდა შევხვდეთ. _ არ აღელვებულა ბადრუ. _ ახლა აბუდაჰაბია ჩვენი წინამძღოლი და მას უნდა ვეთაყვანოთ.

- და ძველს წიხლი მივაზილოთ! ხომ მართალი ვარ, ბადრუ აღა? _ საუბარში ბაქარის ჩახლეჩილი იქედნური ხმა ჩაერთო.

- ქრისტეს მიმდევარი კაცი ყოფილა ალი ბეი, წყეულიმც იყოს მისი სახელი. რუსების სარდალთან ჰქონია საქმე და ურჯულოების ჩამოსახლებას აპირებდა ჩვენს წმინდა მიწაზე. _ მტკიცედ დადგა თავის სიტყვაზე მოხუცი ბადრუ.

- ამ ბოდვას აბუდაჰაბისგან მოისმენდი. მისნაირ კაცებს ახასიათებთ ასე: თუ მოწინააღმდეგეს ვაჟკაცობით, ჭკუით და ხმალში ვერ ჯობნი, ისეთი სიბრიყვე უნდა დააბრალო, რაც ხალხს დიდხანს დაამახსოვრდება და ვერავინ ვერაფრით უარყოფს. სისულელის უარყოფა ხომ შეუძლებელია. ამგვარად გაიკაფავ გზას მისი ქურდულად,

მოტყუებით დასამარცხებლად. ალი ბეი მამლუქის წესით აღიზარდა და ბეგთაბეგის წოდება მუჰამედის რწმენისადმი ერთგული სამსახურით მოიპოვა. _ ბაქარის ხრინწიან ხმას სიმტკიცე მოემატა.

- მეც მანდ ვარ, ჩემო ბაქარ. _ ეშმაკურად დაუკრა კვერი ბადრუმ და მაშინათვე ჯიუტად განაგრძო თავისი მოსაზრების გავრცობა. _ ეგ ალი ბეი, თურმე, ქრისტეს მიმდევარ გეორგიანელების რწმენის ყოფილა; თვალთმაქცურად მიუღია მუჰამედის რჯული და დრო რომ მოუვიდა, კვლავ ქაფირების სამსახურში ჩამდგარა.

- ისედაც ბრმებს თვალში ნაცარს გვაყრი და არც ალი ბეის ამბები გცოდნია კარგად, ბადრუ აღა. _ არც აცია და არც აცხელა ბუბუმ. _ ალი ბეი თვალთმაქცი და მოღალატეაო, ამბობ! თვალთმაქცი და მოღალატე აბუდაჰაბისნაირი უნდა. თექვსმეტი წლის მონა ალი ბეიმ იშვილა; ბეგად გახადა, შემდეგ საკუთარი უმცროსი და მიათხოვა და მუდმივად რჩეულთა შორის ჰყავდა. უმადურმა კი, ყველამ კარგად იცით, როგორ გადაუხადა მადლობა. ახლა რაც შეეხება ალი ბეის ქრისტიანობას! ბეგები ქრისტეს მიმდევარი ტომების ვილაიეთებიდან ტყვედ წამოყვანილი ბიჭები არიან. დაბადებიდან თავისუფალ ადამიანს არ აქვს უფლება ბეგი გახდეს, ეს წოდება მთელს ეგვიპტეში მხოლოდ მონების ხვედრია. ალი ბეიც თავის დროზე მონა იყო. იგი

ბავშვებზე მონადირე ყაჩაღებს აბაზას ვილაიეთში მოუტაცნიათ, სტამბულის ბაზარზე გაუყიდიათ და შემდეგ მოხვდა ეგვიპტეში ტომით გურჯ მუსლიმ იბრაჰიმ ქიაჰაიასთან; მიიღო მუჰამედის რწმენა, შეისწავლა ყურანი და დროთა განმავლობაში თვით რაჰიპ მაჰომედ ფაშას რჩეული გამხდარა. კაიროს დივნის მიერ ალი ბეის ეგვიპტის შეიხ ბელედად არჩევის შემდეგ აყვავდა ჩვენი ქვეყანა და შენ გვიმტკიცებ, იგი ურჯულო და მოღალატეაო. ადამიანი საქმით უნდა შეაფასო და არა მის შესახებ გავრცელებული ჭორებით. შენი განსჯით, ყველა ბეგი ქრისტიანი გამოდის.

- რატომ ყველა? აი აბუდაჰაბი მუჰამედის მიმდევარი ჩერქეზეთიდანაა. _ ახალი მმართველის მაამებლობა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მრავალჭირგამოვლილ ფრთხილ ბადრუს.

- აბუდაჰაბი დაბადებით მუსლიმი ანუ თავისუფალი ადამიანი რომ ყოფილიყო, მას მონად ვერ გაყიდნენ; ალი ბეის კუთვნილება და შემდეგში შვილობილი ვერ გახდებოდა; მით უმეტეს, ვერც ბეგის წოდებას მოიპოვებდა. ეს ხომ მარტივი ჭეშმარიტებაა. ისე, სხვათა შორის, დიდი ხანია ალი ბეის სამშობლო აბაზაც პორტას იმპერიის ვილაიეთია და იქაური მოსახლეობის ნაწილიც მუჰამედის რწმენისაა. არადა წინათ აბაზები და ჩერქეზები მხოლოდ გეორგიანელები ყოფილან. _ ბუბუ წყალგაუვალი არგუმენტებით მაგრად დადგა.

”ესენი ამ სულელურ კამათს საღამომდე გააგრძელებენ, მე კი სასწრაფოდ მაინტერესებს, რატომ დაბრმავდა ალი ბეი. თუკი, რა თქმა უნდა, ეს ახალბედა ბრმა მართლაც იგია”. _ გაიფიქრა იუსუფმა და გადაწყვიტა საუბარში მიეღო მონაწილეობა:

- პატივცემულებო, იუსუფი გახლავართ, ქოქოსის ჩენჩოს შემგროვებელი. ეს დღეები შეუძლოდ ვიყავი, სარდაფიდან არ ამოვსულვარ და არაფერი ვიცი ალი ბეის და აბუდაჰაბის დაპირისპირების შესახებ. გამაგებინეთ, რა მოხდა? რა ბედი ეწია ალი ბეის?

- რა ბედი უნდა სწეოდა, შვილო?! ალი ბეი მძიმედ დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა, ციხეში მოკვდა და გუშინ დაასაფლავეს. _ სხაპასხუპით უპასუხა ბუბუმ.

იუსუფი თითქოს ცივ ჭაში ჩავარდა. მისი მთავარი ოცნება ბუბუს რამდენიმე წინადადებამ წამებში დაამსხვრია, თუკი ალი ბეი მოკვდა და დაასაფლავეს, იგი მურისტანის საავადმყოფოს სტუმარი დღეს ვერ იქნება. მწარედ შეცდა. როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო ალი ბეის აქ ნახვის სურვილი, რომ უცხო ადამიანის საუბარი მის ხმად მოეჩვენა. ასე ადრეც მოსვლია.

პალმის ბადისებრი ქერქის შრაშუნი გაისმა. ეს ალი ბეად მოჩვენებული კაცი მიეყრდნო ინდისხურმას. სასოწარკვეთილი იუსუფი ინერციით მისკენ

დაიძრა. გაახსენდა აქ გატარებული თავისი პირველი დღე; როგორი მიუსაფარი, დაღლილი მარტოსული იყო. ალბათ მურისტანის დღევანდელი სტუმარიც ახლა იგივე მდგომარეობაშია. იცოდა იუსუფმა, უცხო გარემოში ჩავარდნილი კაცისთვის მოულოდნელი მხარდაჭერით მისი უსაზღვრო ერთგულების ადვილად მოპოვება შეიძლ;ებოდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა. ძალიან მოინდომა, ახალბედასთვის დაეყვავებინა, მეგობრული სითბო ეგრძნობინებინა. იუსუფის ჯოხი უცნობის ხელჯოხს შეეხო; თავისუფალი მარცხენა ხელი უცნობის მარჯვენისკენ გასწია:

- კეთილი იყოს შენი მობრძანება ბრმების ჯადოსნურ სამყაროში, ჩემო მეგობარო. ნუ შეგეშინდება. ჩვენ გამოუცდელ ახალბედას ფრთხილი ნაბიჯისა და ჯოხის ხშირად დაკაკუნების ხმაზე ვცნობთ. ნება მიბოძე, მეგზურობა გაგიწიო. აქ ჩემთვის ყველა კენჭი, კუნჭული ცნობილია და პირველ ხანებში რომ არ გაგიჭირდეს, ჩემს ცოდნას გაგიზიარებ, მეგობრად მიგულე. _ საოცრად თბილად აჟღერდა იუსუფის ხმა. შემდეგ მარცხენა მტევნით ფრთხილად შეეხო უცნობის ჯოხზე დაყრდნობილ ხელს, ოდნავ ძლიერად მოუჭირა და შეეცადა ამგვარად გადაეცა გულწრფელი კეთილგანწყობა, თანადგომა.

იუსუფი ახლა უკვე ნამდვილად არ შემცდარა. მურისტანის სტუმარს მარჯვენა ხელზე მხოლოდ ოთხი თითი ჰქონდა.

***

ცოცხალი და საღ-სალამათი ალი ბეი მურისტანის ჰოსპიტლის ეზოში პალმის ჩრდილში იდგა. თვალის კაკლებზე აპკად გადაკრული ცხვრის ნაწლავის ნაჭრების გამო ირგვლივ მხოლოდ ბუნდოვან ჩრდილებს ხედავდა და გულისყურით ისმენდა ბრმა მოლაყბეების საუბარს. ”საწყალი აბუდაჰაბი!” _ გაუელვა თავში და მაშინათვე თავის ბედზეც ჩაფიქრდა. _ ”თურმე, ვიდრე არ მოკვდები, ვერ გაიგებ, სინამდვილეში რა აზრის არიან შენზე ქვეშევრდომები.”

- რა ბედი უნდა სწეოდა, შვილო?! ალი ბეი მძიმედ დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა, ციხეში მოკვდა და გუშინ დაასაფლავეს კიდეც. _ ერთ-ერთი მოპაექრის ეს სიტყვები მალამოდ მოეფინა ალი ბეის გულს.

ესე იგი, ყველაფერი ისე იყო, როგორც დაიგეგმა. თუკი მისი და აბუდაჰაბის დაპირისპირების ამბავს მურისტანის ჰოსპიტალში ამგვარი სახით ჰყვებიან, სავარაუდოდ, სხვებიც ასე ფიქრობენ და ლაპარაკობენ. პორტას დიდი ვეზირის მეჰმედ-

ფაშას ყველგანმყოფი ჯაშუშები ალი ბეის სიკვდილის ოფიციალურად გამოცხადებულ ვერსიას ასეთი მითქმა-მოთქმებითაც გაამყარებენ და პატრონს მისი უტყუარობის დასტურს მისცემენ. ვეზირი სულთან მუსტაფა მესამეს აცნობებს მოღალატე ალი ბეის სიკვდილისა და აბუდაჰაბის ერთგულების შესახებ.

აი, სად გამოადგა ალი ბეის მაალიმ რისკის სიბრძნე. სწორედ ამ კოპტმა მრჩეველმა მოიფიქრა მარცხის შემთხვევაში უკანდახევის ეს ეშმაკური გეგმა: თუ მოვლენები ეგვიპტის დამოუკიდებლობის საზიანოდ განვითარდებოდა, საქმე ისე უნდა წარმოეჩინათ, თითქოს ბრწყინვალე პორტას მხოლოდ ალი ბეი განუდგა თავისი კაცებით და რუსებს სწორედ ისინი დაუკავშირდნენ, ხოლო აბუდაჰაბმა სულთნის ერთგულება ბოლომდე შეინარჩუნა; მიუხედავად იმისა, რომ ალი ბეი მისი გამზრდელი, ცოლის ძმა და მწყალობელი იყო, გაანადგურა იგი.

მოღალატე ალი ბეის სიკვდილით კმაყოფილ სულთანს ეგვიპტელებზე ჯავრის საყრელი მიზეზი აღარ ექნებოდა. შესაბამისად, მთელი საფაშო გადაურჩებოდა პორტას რისხვას.

ალი ბეის გაახსენდა, რა უცნაურმა გარემოებამ გამოაფხიზლა და მიახვედრა, რომ იჩქარა გრაფ ორლოვთან მეგობრობა.

ეს ამბავი 1772 წლის აპრილის ბოლოს მოხდა სენ-ჟან დ'აკრის ყურეში, ქალაქ ჰაიფასთან ახლოს. იქ დაბანაკებულ ალი ბეის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის კაცები ესტუმრნენ.

ელჩები მაღალი რანგის ოფიცრები იყვნენ: კავალერი გიორგი რიზო, კავალერი კონსტანტინე პსარო და რუსების საზღვაო ფლოტის ადმირალ გრაფ ალექსეი ორლოვის ფავორიტი იოსები. მათი დანახვა თვალს უხაროდა; ახავონი, პირმშვენიერი ვაჟკაცები ჩაცმულობით და ქცევით ევროპელ არისტოკრატებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. ალი ბეი ორი დღე სიამოვნებით მასპინძლობდა რუსებს; გადასცა თხოვნა ზარბაზნების, საბრძოლო საჭურვლის, სამი ათასი ალბანელი მებრძოლის გამოგზავნის შესახებ; ელჩები პირადად დაასაჩუქრა, ორლოვთან გასაგზავნად კი თავისი სამი საუკეთესო ცხენი და სწრაფმავალი ცალკუზიანი აქლემი მიართვა.

დიპლომატებმა ალი ბეის გრაფ ორლოვისგან სრული მხარდაჭერა აღუთქვეს, ხოლო გამოსამშვიდობებელ ვახშამზე მასპინძლის მიმართ პირადი სიმპათიების გამოხატვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. გულუხვი ალი ბეის სადღეგრძელო წითელი ღვინით რამდენჯერმე დალიეს; სულ ეგვიპტის ლომი ეძახეს. ვახშამი ქეიფში გადაიზარდა; ბოლოს კი იქამდე მივიდა, რომ რუსების ერთ-ერთი შეზარხოშებული ელჩი

მოუახლოვდა ალი ბეის, ხელმკლავი გამოსდო, გვერდზე გაიხმო და:

- ძვირფასო ალი ბეი! გავკადნიერდები და განმარტოებით შეხვედრას გთხოვ. _ დაბალ ხმაზე დაიწყო ოფიცერმა. _ მოვალე ვარ, ორიოდე სიტყვა გითხრა და ნუ გამაწბილებ.

ალი ბეის არც უცერემონიო ხელმკლავი გაჰკვირვებია, არც ის, რომ სტუმარს მისთვის გასაგები ენა სცოდნია. უბრალოდ მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი წარსულშიც მომხდარა, რამდენიმე წამი გაოგნებული იდგა და უცებ მიხვდა: იმპერატრიცა ეკატერინე მეორის კაცი, სახელად იოსები იმ ენაზე ელაპარაკებოდა, რომელზედაც შორეულ ბავშვობაში დრანდის და ილორის ეკლესიებში საუბრობდნენ, ლოცულობდნენ, სახარებას კითხულობდნენ და გალობდნენ.

ეს ენა ქართული იყო.

- გირჩქილექ, პატენ! (მეგრული) სიუზიძირუეთ აპატინ! (აფხაზური) გისმენ, ბატონო! _ დაბნეული ალი ბეი ბავშვობის სამივე ენაზე ერთდროულად ალაპარაკდა და საბოლოოდ ქართულზე შეჩერდა. _ რამდენიმე წუთში ჩემს კარავში შევიკრიბოთ.

***

მაგიდას ორნი უსხდნენ. ზეთის ლამპის შუქი ალი ბეის და იოსების სახეებს მკრთალად ანათებდა.

- ძვირფასო ალი ბეი! ნურავინ იტყვის, რომ გეორგიანელებს ღვთაებრივი ძალა არ გვაერთიანებს. _ დაიწყო იოსებმა, რომელიც ახლა ისე გამოიყურებოდა, თითქოს მთელი საღამო ღვინის ნაცვლად შარბათს სვამდა.

- ღმერთი ჭეშმარიტად ერთია, აი გეორგიანელები კი, როგორც ჩანს, ბევრნი ვართ.

- სიბევრის რა მოგახსენო, მაგრამ ერთნაირად კი ვმოქმედებთ თურმე.

- რას გულისხმობ, პატივცემულო იოსებ?

- რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო თუ არა, სულთანს განუდგნენ და ეკატერინე მეორეს დაუკავშირდნენ: კავკასიაში ქართველთა მეფე ერეკლე, ხოლო ეგვიპტეში აქაური მმართველი ალი ბეი. ორი გეორგიანელის ამგვარი საქციელის შემთხვევითობით ახსნაც შესაძლებელია, მაგრამ მე მაინც მინდა ვიფიქრო, რომ ამ საქმეში სხვა ხელი ურევია.

- ყველაფერი ღვთის ნებაა და წინასწარაა განსაზღვრული.

- ეგ მაჰმადიანთა სარწმუნოებით. ჩვენებურად კი, რა თქმა უნდა, ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ საკუთარი ბედი მეტწილად ადამიანის ხელშია და მის ქმედებებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

- მიკიბულ-მოკიბული საუბარი სხვების თანდასწრებითაც შეგვეძლო. ალღო მკარნახობს, რომ მხოლოდ ჩვენს ენაზე სალაპარაკოდ არ განვმარტოვდით. სასიამოვნოდ გამაოცე შენი ქართულით და იდუმალი რჩევების მოსმენის მოლოდინი გამიჩინე.

- ვიცოდი, ალი ბეი გურჯი მამლუქი იყო, მაგრამ ასეთ დახვეწილ მოსაუბრეს ნამდვილად არ ველოდი.

- მიძინება სცოდნია ენას. მართალია, აქაური ბეგები გურჯისტანის, ოდიშის, იმერეთის და აბაზას ვილაიეთებიდან ვართ, მაგრამ ერთმანეთთან ძირითადად არაბულად ვლაპარაკობთ. ბოლოს ჩვენებურად საუბრით ექვსი წლის წინ მამაჩემის სტუმრობისას ვიჯერე გული. ახლა ზოგიერთი სიტყვის გახსენება მიჭირს.

- პატივცემულო ალი ბეი! შენ ეგვიპტის მმართველი ხარ, მე რუსი იმპერატრიცას სამსახურში მყოფი კაცი, მაგრამ ორივენი იმ ქვეყნის შვილები ვართ, რომელიც ოდესღაც ღირსეულად ცხოვრობდა, გამორჩეულიც იყო და სხვების პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებდა. ვინ იცის, იქნებ ოდესმე

გამოვადგეთ სამშობლოს?! ამიტომაც, სადაც არ უნდა ვიყოთ, მაგრად უნდა ვიდგეთ ფეხზე და ერთმანეთს გავუმართოთ ხელი. ასე სხვა ქვეყნის შვილებიც იქცევიან და დასაძრახი არაფერია. პირდაპირ გეუბნები: რუსების იმედი ნუ გექნება. ისინი ბევრს დაგპირდებიან, ცოტას შეგისრულებენ და საქმეს მხოლოდ საკუთარი სარგებლის მიღებისთვის გააკეთებენ.

- რუსეთი ევროპის სახელმწიფოებისგან თანადგომის მისაღებად მჭირდება; ეგვიპტის დამოუკიდებლობის სამხედრო მხარდაჭერის შემთხვევაში მზად ვარ, ყველა მათგანს გავუღო ქვეყნის კარები და ვაჭრობისთვის საუკეთესო პირობები შევთავაზო.

- ვაჭრობის უფლების მიღებისთანავე, სავაჭრო ფაქტორიების გახსნას მოგთხოვენ, შემდეგ დასახლებებს ააშენებენ. თუმცა ეს არ არის მათი მთავარი მიზანი. თანდათან თანამემამულეებს ჩამოასახლებენ და ეცდებიან თავიანთი განათლება და კულტურა დანერგონ.

- მერედა, რა არის ამაში ცუდი? ჩემი მრჩევ-ლებისგან ვიცი, საფრანგეთში დიდი საგანმანათლებლო მოძრაობა იწყება ვინმე ვოლტერის ახალი იდეების დასამკვიდრებლად. გონიერი და ნაკითხი ადამიანები ხომ უმჯობეს

ურთიერთობებს დაამყარებენ და, შესაბამისად, უკეთესად იცხოვრებენ.

- ძვირფასო ალი ბეი! ჩემდა საუბედუროდ მაგ ვოლტერს მხოლოდ საჯაროდ გაცხადებული იდეებით არ ვიცნობ და ვიცი, რა მამაძაღლიცაა. ერთ დროს იმპერატრიცა ეკატერინეს ფავორიტი ვიყავი. ჩვენი ურთიერთობა იმდენად თბილი იყო, რომ დედოფალი პირად წერილებსაც მაკითხებდა ხოლმე. ვოლტერის ნამდვილი სახე იმ ეპისტოლეებში დავინახე. ეს ადამიანი სინამდვილეში კაცთმოძულე აღმოჩნდა. კონკრეტულად ეგვიპტელებზე არაფერი მოუწერია, მაგრამ ტუნისელებს და ალჟირელებს აფრიკელ ცხოველებს ეძახის. შენ რომ ცალი თვალით დაგანახა რას ჯღაბნის ეს ევროპელი განმანათლებელი ქართველ ქალებზე, არასოდეს მიგიბრუნდება მისკენ გული.

- გურჯ ქალებთან რაღა ესაქმება ვოლტერს?

- მახსოვს, ეკატერინემ მისწერა, რომ ქართველებმა ოსმალეთის სულთანს უარი განუცხადეს ჰარამხანისთვის ყოველწლიურად განსაზღვრული გოგონების გაგზავნაზე. წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანას თავსდატეხილ ამ უბედურებას ბოლო ელებოდა და ვიფიქრე, როგორც იქნა, გავბედეთ და ღირსება დავიბრუნეთ-მეთქი. მეგონა, ევროპელი განმანათლებელი სიხარულით

შეხვდებოდა ამ ცნობას. მან კი ეკატერინეს, იცი, რა მოსწერა? _ ”მინდა დავიჯერო, რომ ეს სიმართლეა და ამიერიდან ქართველთა ლამაზი ქალები სულთნის ნაცვლად თქვენი ოფიცრების ხელში მოხვდებიან.”

- იქნებ იხუმრა. კაცებს უყვართ ხოლმე ქალებზე ოხუნჯობა.

- ის წერილი 1770 წლის იანვარში მოვიდა, ხოლო 2 თებერვალს გამოგზავნილ უსტარში ვოლტერი მოძალადე ტოტლებენის აღვირახსნილი ქმედებებით იყო აღტაცებული. გონებაში სამუდამოდ ჩამრჩა მისი სიტყვები: ”მარწმუნებენ, რომ ტოტლებენი სასწაულებს სჩადის ჩერქეზ და მეგრელ ქალებთან.” ამას იმიტომ გიყვებით, რომ რეალური წარმოდგენა შეგექმნათ ევროპელებზე და რუსებზე. მათი სახელმწიფოები, თუკი ეგვიპტეში შემოიჭრებიან, თანდათან აქ ისეთ წესრიგს დაამყარებენ, როგორც ამჟამად ინდოეთშია. ერთი სიტყვით, კოლონიურ ქვეყნად გადააქცევენ ეგვიპტეს და შენი გადასაწყვეტია, კონსტანტინოპოლის მონა იქნები თუ, ვთქვათ, ლონდონის. ახლა რაც შეეხებათ უშუალოდ რუსებს. მათი შესაძლებლობები შეზ-ღუდულია და მიმდინარე ომში ოსმალეთისგან მხოლოდ დუნაის სამთავროების, ყირიმის, ჩერქეზეთის ნაწილის დათმობას გასწვდება. ეკატერინე ეცდება სამხრეთ კავკასიაზე თავისი მფარველობის გავრცელებას.

- მაშ რას მივაწეროთ რუსული ფლოტის მიერ ხმელთაშუა ზღვაში რამდენიმე კუნძულის დაპყრობა, აქაურ ქალაქებზე გალაშქრებები?

- ბრწყინვალე პორტას წყალზე დამარცხება რუსების ერთ-ერთი ამოცანაა; მნიშვნელოვანია აგრეთვე საზღვაო ძალების ძლიერების ჩვენება ევროპის სახელმწიფოებისთვის. ეს გაცხადებული მიზნებია; თუმცა კარგად ვხედავ, რომ ამ ლაშქრობას ექსპედიციის ფუნქციაც აქვს. რუსები სწავლობენ აქაურობას, ადგენენ რუკებს; ერთი სიტყვით, მომავლისთვის ემზადებიან. და კიდევ ერთი რამ. გრაფ ორლოვის გარემოცვაშია მეცნიერების ჯგუფი, რომელიც დაჟინებით მოითხოვს სამხედროებისგან გარკვეული კუნძულებისა და სანაპიროზე მდებარე ციხე-სიმაგრეების დაკავებას. ჯერ ვერ გავიგე, რა ამოძრავებდათ, მაგრამ, როდესაც დავუფიქრდი იმ ადგილების დასახელებებს, მივხვდი, ჯვაროსნების ნაკვალევს მისდევენ; ხალხში მოარულ ლეგენდებს იწერენ; გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მთელს ევროპაში ამ ბოლო დროს განსაკუთრებულად გააქტიურდნენ ალქიმიკოსები, ვინც უკვდავების ელექსირის შექმნას ჰპირდებიან მონარქებს. ამბობენ, ამ სითხის მისაღებად წმინდა გრაალია საჭიროო. ვფიქრობ, რუსების ეს ჯგუფი სწორედ საიდუმლო სერობის თასს დაეძებს.

- სხვათაშორის, ერთი ალქიმიკოსი მეც მყავს. უცნაური კაცია; ბოლოს დაიჩემა, შარდისგან ოქრო

უნდა მივიღოო და დიდი წვალების შემდეგ თეთრი ცვილი გამოუვიდა. ოქრო ნამდვილად არ არის, მაგრამ ღამით ანათებს და გამოსადეგი ნივთია. ახლა თქვენს ევროპელ ალქიმიკოსებს დავუბ-რუნდეთ. იმედი მაქვს, ისინი უფრო მეტად განსწავლულები არიან. ნუთუ მართლა ასე მნიშვნელოვანია ის ბარძიმი? _ ალი ბეის მეხსიერებაში წამოტივტივდა ეს ლამაზი სიტყვა და ილორის ტაძარში ნანახი სალიტურგიო თასის სიმშვენიერეც თვალწინ დაუდგა. მაშინ ვერაფრით აეხსნა პატარა ბიჭს, რატომ განსხვავდებოდა ასე მკვეთრად ოქროსგან დამზადებული ილორის ჭურჭელი და დრანდის ეკლესიაში ზიარების რიტუალისთვის გამოყენებული ხის უბრალო ფიალა.

- ისევე მნიშვნელოვანია, როგორც უკვდავება. ამ ქვეყნის მბრძანებლები, რომლებსაც ყველაფერი აქვთ, ჩუმჩუმად მარადიულ ახალგაზრდობაზე ოცნებობენ და თუკი ეს მიზანი წმინდა გრაალის მოპოვებით განხორციელებადია, რატომაც არ უნდა სცადონ? _ იყო იოსების პასუხი.

***

მურისტანის ეზოში პალმას მიყრდნობილი ალი ბეი მოგონებების ბურუსიდან რეალურ სამყაროში ხელჯოხზე მოკაკუნებამ დააბრუნა:

- კეთილი იყოს შენი მობრძანება ბრმების ჯადოსნურ სამყაროში, ჩემო მეგობარო. ნუ შეგეშინდება. ჩვენ გამოუცდელ ახალბედას ფრთხილი ნაბიჯისა და ჯოხის ხშირად დაკაკუნების ხმაზე ვცნობთ. ნება მიბოძე, მეგზურობა გაგიწიო. აქ ჩემთვის ყველა კენჭი, კუნჭული ცნობილია და პირველ ხანებში რომ არ გაგიჭირდეს, ჩემს ცოდნას გაგიზიარებ, მეგობრად მიგულე. _ საოცრად თბილად ჟღერდა უცნობის ხმა და იმავე წამს მისი ხელის შეხებაც იგრძნო.

”ამ ძალად მაცხონეს რაღა უნდა?” _ გაიფიქრა ალი ბეიმ.

წელი 1773

ეგვიპტე

მურისტანის სარდაფი

აჯო ...

- ძია, ხმა გამეცი! ძია, გეხვეწები, დამელაპარაკე! შენი სუნთქვა მესმის! თუ გძინავს, გაიღვიძე! მეშინია, ძია! აქ სულ მკვდრები კიდია! გაიღვიძე! მხოლოდ შენ სუნთქავ! _ ყრუდ ჩაესმა სასოწარკვეთილი მუდარა.

ხმა ბავშვის იყო; ალი ბეიმ თვალი გაახილა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ბნელოდა. თავი სტკიოდა.

ყველაფერი გაახსენდა.

იგი მურისტანის ჰოსპიტლის სარდაფში შემოიტყუა აქაურმა ზედმეტად დაშაქრულად მოლაპარაკე ბრმამ; ერთი წამით არ გაინძრეო, უთხრა; ალი ბეიმ კოჭთან თოკის მოჭერა იგრძნო; მოულოდნელად რკინის ჩხაკუნის ხმა გაისმა, იატაკის ის ნაწილი, რომელზედაც იდგა ჩავარდა და ალი ბეიც თან ჩაიყოლა. ვარდნისას ჯოხი გვერდზე მოისროლა,

სცადა ნახვრეტის კიდეებს ჩასჭიდებოდა, მაგრამ სიმძიმემ დასძლია და ხელები დაუცურდა; ერთ წამში მარჯვენა ფეხზე უცებ რაღაცამ მკვეთრად დაქაჩა და წონასწორობა დააკარგვინა; ჰაერში გადატრიალდა, თავით გაექანა ჯურღმულისკენ; ფსკერს ჯერ მარცხენა ხელით შეეხო, შემდეგ შუბლით და გონება დაკარგა.

ახლა მთელი სისხლი სახეზე აწვებოდა. სხეული უცნაურ მდგომარეობაში იყო: თავით და მკლავებით მიწას ეყრდნობოდა, მარცხენა ფეხი ჰაერში ეკიდა, მარჯვენა დაჭიმვოდა და კოჭს ქვემოთ ვერაფერს გრძნობდა.

”კოჭს ქვემოთ კი არა, არამედ კოჭს ზემოთ”. _ გაიფიქრა ალი ბეიმ და გააცნობიერა, რომ ცალ ფეხზე თავდაყირა ეკიდა; შექმნილ სიტუაციაში ზემოთ და ქვემოთ პირიქით იყო. _ ”უტვინო იხვივით გავები მახეში.”

იმ ხერხს ბავშვობაში, მის შორეულ სამშობლოში, მდინარე კოდორის დელტაში გაბნეულ ტბებში ფრინველებზე სანადიროდ იყენებდნენ. წყლის ზედაპირზე მოტივტივე იხვები თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ და ნებივრობდნენ. ნაპირზე ჩასაფრებული, ცხენის ძუისგან დაგრეხილი თოკით შეიარაღებული, მონადირე კი ჩაყვინთავდა, წყალქვეშ მიეპარებოდა და რამდენიმე მათგანს ფეხზე ნასკვებს გაუკეთებდა. ორიოდე წუთში

ტყავის საკიდზე ასხმული ფრინველები მონადირის ქამარზე ეკიდნენ, ჭყვიტინებდნენ და ფართხალებდნენ. შემდეგ უკვე აქ, ეგვიპტეში, ამ მეთოდით ტბაზე ერთდროულად ხუთი იხვი დაიჭირა. მთელი მასრის მონადირეებმა მშვილდები გვერდზე გადადეს და ყვინთვაში ვარჯიში დაიწყეს.

- ძია, ხმა გამეცი! ვერ მომატყუებ, შენი სუნთქვა მესმის! _ ახლა უკვე მკაფიოდ გაიგონა ცრემლით დანამული ხმა.

ალი ბეიმ პირიდან მიწა გადმოაფურთხა და დალაპარაკება შეძლო:

- ვინ ხარ? აქ საიდან მოხვდი?

- ხომ გეუბნებოდი, ცოცხალი ხარ-მეთქი? რა კარგია, მართლა ცოცხალი ხარ, ძია! _ სიხარულისაგან ხმა აუკანკალდა ბავშვს.

- რა გქვია, შვილო?

- აჯო, აქაური ცუდი კაცის გარდა, ყველა აჯოს მეძახის.

ალი ბეიმ თითები მხრებზე შეიწმინდა და ცხვრის ნაწლავის ნაჭერი ჯერ მარცხენა თვალის კაკლიდან მოიშორა, შემდეგ _ მარჯვენის.

მაინც არაფერი გამოჩნდა. მიწისქვეშეთი კარგად იყო დაგმანული. არადა, სარდაფში, შმორის ნაცვლად, სასიამოვნო სურნელი იდგა.

ალი ბეიმ მარჯვენა ხელი გაითავისუფლა, სარტყელზე გადმობრუნებული კაბის ქვედატოტის ქვეშ შეაცურა, ქამარზე დამაგრებული ქისა იპოვა, მაგრად დაქაჩა და ჩამოწყვიტა.

- აჯო, მაპატიე, რომ აქამდე არ ვიცოდი შენი სახელი. ახლოს მოდი, ნუ გეშინია. ნასკვის გახსნა ხომ იცი?

- ვიცი.

- ჰოდა, აი ამ ქისაში ბურთულა მოძებნე, პატარა მრგვალი ბურთი.

- ვიპოვე!

- ყოჩაღ! ახლა ეგ ბურთი ცერა და საჩვენებელი თითებით დაიჭირე და, რაც შეიძლება, მაღლა ასწიე.

ალქიმიკოსის მიერ შარდის დუღილის შედეგად მიღებულმა თეთრი ფერის მრგვალმა მანათობელმა ცვილმა თავის ირგვლივ მცირე სივრცე მკრთალად გაანათა, ალი ბეი დარწმუნდა, რომ ყელის გამოსაჭრელად გამზადებულ თხასავით თოკზე ცალი ფეხით ეკიდა.

- ძია. რაღაც ლურჯად ანათებს. ხომ დამიცავ. ძია? _ ახლა უკვე შიშისგან აუკანკალდა აჯოს ხმა.

- ნუ ღელავ, პატარავ! თუ ნათება დაინახე, ესე იგი, ბრმა არა ხარ! ხომ მართალია?

- ადრე ყველაფერი ლამაზი იყო: პალმები, დედა, მამა. ჩემი ძმა, მზე, ცა. მერე ჩვენს სახლში ცეცხლი მოვიდა, ძალიან ცხელოდა; თვალები მეტკინა, დავხუჭე და ვერ გავახილე. ახლა არ მტკივა, მაგრამ მაინც ვერ ვხედავ. ზოგჯერ ლურჯ ფერის ჩრდილები მეჩვენება; ეგ არის და ეგ.

ალი ბეიმ ახლა ქამარზე შიგნიდან მიკერებული ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო და კბილებით დაიჭირა; ძალ-ღონე მოიკრიბა, სწრაფი მოძრაობით წელში მოიხარა და ორივე ხელით თავის მარჯვენა ფეხს მუხლთან ჩაეჭიდა; ცოცვა-ცოცვით ზემოთ აიწია; მარცხენა ხელი კოჭს კაუჭივით გამოსდო; გამოთავისუფლებული მარჯვენით კბილებში გაჩრილი დანა აიტაცა და თოკს ტერფს ზემოთ დაუსვა.

ალი ბეი ჯურღმულის ფსკერზე ზურგით დაეცა.

პატარა ბიჭს თეთრი ცვილი ცერა და საჩვენებელი თითებით მაღლა ეჭირა და იატაკზე გაშხლართულ ალი ბეის თავზე ადგა.

- რა ყოჩაღი ყოფილხარ, აჯო! ახლა ხომ არაფრის გეშინია?

- არ მეშინია! მხოლოდ მშია! აჰა, ამ ტიკჭორაში წყალია. დალიე!

- გმადლობ, არ მწყურია. მაგარი კაცი ყოფილხარ! სიკვდილს გადამარჩინე; შენი სიკეთე არასოდეს დამავიწყდება; მინდა ეს ამბავი მუდამ გახსოვდეს და გეამაყებოდეს. საჭმელს კი ახლავე მოგცემ. _ ალი ბეიმ კაბის ჯიბიდან პაპირუსში შეფუთული საგანგებოდ გაბრტყელებული ბანანის ჩირის ფილა ამოიღო, გახსნა, სამი ნაჭერი ააფცქვნა; წამოდგა, თავის ახალ მეგობარს ბურთულა გამოართვა და გამოთავისუფლებულ მუჭში საკვები ჩაუდო.

პატარამ ჩირს ფრთხილად გაუსინჯა გემო და უცებ გადასანსლა:

- კიდევ მინდა!

- რამდენი ხანია, არაფერი გიჭამია?

- რაც აქ ვარ, არ მიჭამია, მხოლოდ წყალს მაძლევდა ის ცუდი კაცი.

- მერედა, რამდენი დღეა, აქ ხარ?

- არ ვიცი. არ მახსოვს, ბევრჯერ კი დავიძინე და გავიღვიძე.

- ჰოდა, ნახე, რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ? ახლა ცოტაც გაუძელი და სულ მალე ინდისხურმასაც მოგცემ. ხომ გიყვარს ინდისხურმა? _ იცოდა ალი

ბეიმ ნაშიმშილები ადამიანისთვის ბევრი საკვების ერთბაშად მიღება არ შეიძლებოდა. _ ახლა, შენი ნებართვით, აქაურობას დავათვალიერებ. რაო, რას მეუბნებოდი, აქ მხოლოდ მკვდრები კიდიაო?!

ალი ბეიმ ცვილის ბურთულა მოიმარჯვა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა.

ჯერ თვალებს არ უჯერებდა, იფიქრა, რომ ცუდი განათების გამო ეს ყველაფერი ეჩვენებოდა.

მერე ტვინზე და მთელ სხეულზე ცივად დაბურძგლა; გონებამ უარი განაცხადა ნანახის აღქმაზე.

რაც შეეხება სინდისს? იგი ნიშნისმოგებით მოუბრუნდა: ახია! მორწმუნე ადამიანი სწორედ ამგვარ მძიმე წუთებში პოულობს ღვთისგან ბოძებულ გამოსავალს, შენ, ჭეშმარიტ სარწმუნოებაში ეჭვშეტანილ კაცს, ალაჰის იმედი ნუ გექნება.

***

ალი ბეიმ ზუსტად იცოდა, პირველად როდის შეუდგა წყალი მუჰამედისადმი მის ერთგულებას.

ეს იმ ჯადოსნურ ღამეს მოხდა.

მაშინ წმინდა თვე რამადანის მეთვრამეტე დღე დადგა. ციდან ჰორიზონტსჩაცილებული მზის მიერ დატოვებული სიწითლეც გაქრა და შავი ფერი გაბატონდა. ალი ბეიმ მაღრიბის ნამაზი გვიან დაასრულა.

ახლა ამქვეყნიური საქმეებისთვისაც მოიცალა. ბოლო დროს საბაჟოდან ცუდი ხმები მოდიოდა; ამ სფეროს ხაზინადარი იუსუფი ზედამხედველობდა და მასთან მოულოდნელი სტუმრობა გადაწყვიტა. თანაც მთელი დღის ნამარხულებს მასპინძლის მზარეულის კერძებიც არ აწყენდა.

ორსართულიანი თეთრი ქვის სახლის ყველა ფანჯრიდან ჩირაღდნის შუქი გამოდიოდა. ეზოში მოახლეები ფაციფუცობდნენ. მოხალული თხილის და თაფლის სურნელი იფრქვეოდა.

შუა რამადანის მარხვაში იუსუფ ბეის კარმიდამოში საზეიმო სამზადისი სუფევდა.

მასპინძელი ხელგაშლილი მიეგება ალი ბეის და მისი სახე გულწრფელ სიხარულს უფრო გამოხატავდა, ვიდრე მოულოდნელი სტუმრობით გაკვირვებას:

- ისე გაიხარონ ჩემმა შვილებმა, როგორც შენი სტუმრობით გამახარე, ბეგთაბეგო! _ თავისი შორეული სამშობლოდან გამოყოლილ საუბრის

განსაკუთრებულ ხიბლს არც ახლა უღალატა მასპინძელმა.

- გაუფრთხილებლად გესტუმრე, იუსუფ!

- აქეთ, ფანჩატურში მობრძანდი, ჩემო მბრძანებელო! თუ გვიკადრებ, ახლავე მოგვართმევენ სარაცინული ფეტვის ტკბილ ფლავს და ყავას.

- მაღრიბის ნამაზის შემდეგ პირდაპირ შენთან მოვედი. ასე რომ, დღეს ლუკმა არ ჩამსვლია პირში.

ალი ბეიმ და იუსუფმა ფანჩატურში ხალიჩაზე დალაგებულ ბალიშებზე მოიკალათეს; ორიოდე წუთში ხელის ბიჭებმა მათ წინ კერძებით და ხილით სავსე დიდი თეფშები დაალაგეს.

- ევროპელი ვაჭრები შენს ბაჟის ამკრეფებს უჩივიან, იუსუფ.

- ვიცი, ჩემო მბრძანებელო!

- რა იცი?

- მებაჟეები ზედმეტ თანხებს ახდევინებენ სოვდაგრებს.

- მერე?

- საბაჟოს ებრაელი იაკობ ლევი ხელმძღვანელობს. გამართულად მუშაობენ. ხაზინას არაფერს აკლებენ.

შემოსავლები თვიდან თვემდე იზრდება. ვერ უსაყვედურებ. იმავე დროს საკუთარ ჯიბეზეც ზრუნავენ და ვაჭრებს სხვადსხვა საქონელის შემოტანაზე დამატებით მცირე ღალა დაუწესეს.

- ესე იგი ქრთამს იღებენ.

- იაკობ ლევი იმ ღალას მომსახურების მოსაკრებელს ეძახის და, პირიქით, ამტკიცებს, რომ ამგვარად სწორედ მექრთამეობას ებრძვის.

- თავხედი ყოფილა. რამადანი დასრულდება თუ არა, იაკობ ლევის თავი მოჰკვეთე; საბაჟოზე ისეთი ადამიანი დანიშნე, რომელიც ევროპელ ვაჭრებს ფულს არ გამოსძალავს.

- მეგულება ეგეთი კაცი. იგი ბერძენი ქრისტიანი მიქაელ ფარჰაა.

ალი ბეიმ ტკბილი ფლავი თითებით პირში ჩაიყარა და დააგემოვნა;

- ჩემი მზარეული უნდა გამოგიგზავნო. იქნებ იმანაც ისწავლოს კერძების ასე გემრიელად მომზადება. _ დაასრულა წინადადება ალი ბეიმ და საუბრის გასაგრძელებლად პირი გააღო თუ არა, თითქოს ზეცა გაიპო და იქიდან გაისმა საოცარი ხმა:

”ოც-და-ხუთსა ...

ოც-და-ხუთსა დე-კე-მბერსა

ქრისტე იშვა ბეთლემსაო, და ...

ანგელოზები გალობენ,

დიდება მაღალთა შინა!

ალილო!

ეს რომ...

ეს რომ მწყემსებმა გაიგეს,

მივიდნენ და თაყვანი სცეს!

ალილო!”

ალი ბეი გაშეშდა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მერე გონებაში დაითვალა. ოცდაათ წელზე მეტი გასულა, რაც ეს საგალობელი არ სმენია. არადა, დედა ხშირად ღიღინებდა ამ სიმღერას. გაახსენდა, მამა ღიმილით გასძახებდა: ასმა ძვირფასო! შენთვის ყოველი ცისმარე დილა ქრისტეშობა როგორაააო?

- ვინ გაბედა? არა, ვინ გაბედა რა შუაშია? _ ალი ბეი ასე არასოდეს დაბნეულა. _ ვინაა? იუსუფ, მიპასუხე, აქ საიდან გაჩნდა?

- ჩემს ძმას ველოდებოდი. ის არის. მისი ხმაა. ქრისტეშობა ღამეს უნდა გესტუმრო, შე ურჯულოო, შემომითვალა. _ იუსუფი ჭიშკრის ზღურბლზე

ფეხშემოდგმული, ზეცისკენ ხელებაღმართული მომღერლისკენ გაიქცა და ხმა აუწყო:

”ალილო და აქა ალილო,

ალილო და აქა შობა.

ოცდახუთსა ამთვესაო

ქრისტე იშვა ბეთლემსაო ...”

ძმები ერთმანეთს ჩაეხუტნენ, დადუმდნენ და ასე ერთხორცადქცეულები იდგნენ გაუნძრევლად.

ალი ბეიმ ათი დღის წინ რუს გრაფ ორლოვს წერილი მისწერა და იგი მაალიმ რისკიმ ისლამური კალენდრის მიხედვით 1184 წლის 8 რამადანით, ხოლო რუსების პატივსაცემად იულიუსის კალენდერით 1770 წლის 15 დეკემბრით დაათარიღა. 15 დეკემბერს პლიუს 10 დღე უდრის 25 დეკემბერს; გამოდის რომ, ეს ღამე 25 ქრისტე-შობისაა.

იუსუფის ძმა სიტყვის კაცი ყოფილა.

აი თურმე რის შესახვედრად ემზადებოდნენ ამ სახლში. ალი ბეის წამიერმა სისუსტემ გაუარა; გაახსენდა, რომ მუსლიმანური ეგვიპტის მთავარი მამლუქია, მუჰამედის წესების დაცვა მისი უპირველესი მოვალეობაა, მაგრამ იუსუფის განსჯა არ ისურვა;

გაცლა ამჯობინა;

ერთმანეთსმონატრებული ადამიანების შეწუხება არ უნდოდა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა ხაზინადრის ჭიშკრისკენ; უხმოდ ჩაუარა გვერდი ძმებს;

დიდი კაცების ჩუმი ზლუქუნის ხმა ყურს მაინც მისწვდა.

ალი ბეი იმ ღამეს კიდევ დიდხანს დადიოდა დიდი კაიროს ქუჩებში წელში გამართული და ეამაყებოდა, რომ ბრწყინვალე პორტას კავკასიაში მდებარე შორეულ სამთავროში, ქრისტიანი მღვდლის ოჯახში დაბადებული ბიჭი ახლა ეგვიპტის მბრძანებელია.

უკვე მესამე წელი დაიწყო, რაც მთელი ეგვიპტე კონსტანტინოპოლს არ ემორჩილებოდა და ალი ბეის სამფლობელო იყო.

გამთენიისას დაბრუნდა სასახლეში, ტახტზე წამოწვა; ჩაეძინა. სახეგაბრწყინებული დედა ესიზმრა და მკაფიოდ გაიგონა მისი გალობა:

”ოც-და-ხუთსა ...

ოც-და-ხუთსა დე-კე-მბერსა

ქრისტე იშვა ბეთლემსაო, და ...

ანგელოზები გალობენ,

დიდება მაღალთა შინა!

ალილო!

ეს რომ ...

ეს რომ მწყემსებმა გაიგეს,

მივიდნენ და თაყვანი სცეს!

ალილო!”

ალი ბეიმ გაიღვიძა და იმწამსვე გაიფიქრა, რომ ეს ამბავი დიდი კაიროდან იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზე მოხდა. წმინდა ქალაქში ერთხელ თითქმის ორი თვე სტუმრობდა; აი, ბეთლემში კი არასოდეს შეჩერებულა!

”რამდენი ხანია დედა არ დამსიზმრებია?! რას უნდა ნიშნავდეს მის გამოჩენა?! დედა! ის მაინც ვიცოდე, სად დალიე სული ან სად არის შენი საფლავი?! ცოცხალი მეგულებოდი. მამამ მითხრა, ჩემი გატაცების შემდეგ მოსვენება დაგიკარგავს და ყველგან დამეძებდი. ჯერ სოხუმ-კალეს ვერ მოგაშორეს თურმე; იქ მომდგარი ოსმალური გემების მეზღვაურებს ეკითხებოდი ჩემს შესახებ. მერე სახლიდან გაპარულხარ და ბოლოს მეთევზეებს უნახიხარ კოდორის პირას. ასე უთქვამთ მამაჩემისთვის: იმ ქალმა ადიდებულ მდინარეზე გადაყვანა გვთხოვა, ანაკლიის ციხეში მიმეჩქარება, იქაურ კაცებს ჩემი დაკარგული

შვილის ამბები სცოდნიათო. კოდორი ადიდებული იყო, ჩვენი ნავით ვერ გავბედეთ გადაცურვა; ქალი ნაპირზე დავტოვეთ. მას მერე კი არ შეგვხვედრიაო.” _ დედასთან სიზმარში დაწყებული შეხვედრა ფიქრების ჯადოსნურ სამყაროში გაიხანგრძლივა ალი ბეიმ. ძალიან მოუნდა მისი ნახვა; ეს კი მხოლოდ იქაურ, მარადიულ სოფელში იქნება შესაძლებელი და თანაც იმ პირობით, თუ ალი ბეის სულიც იმ ღმერთს შეერწყმება, რომელთანაც დედა ეგულებოდა.

წელი 1773

ეგვიპტე

მურისტანის ჰოსპიტლის სარდაფი

ალი ბეი და იუსუფი და, პირიქით, იუსუფი და ალი ბეი

ჭერიდან თოკი ეშვებოდა მისი ბოლო ჰაერში ირხეოდა. ამ საბელზე ცოტა ხნის წინ ალი ბეი ცალი ფეხით თვითონ კონწიალობდა. ჯურღმულის კედელზე სამი გვამი თავდაღმა ეკიდა. კიდევ უფრო დამთრგუნველი იყო ის გარემოება, რომ, სიდიდის მიხედვით, მუმიები რვა, მაქსიმუმ, ცხრა, წლის ბავშვების იყო.

- აჯო, შვილო! _ ალი ბეის, როგორც იქნა, აღუდგა აზროვნების და მოქმედების უნარი. _ ვინ არის ის ცუდი კაცი და რა უნდა? აქ რატომ დაგამწყვდია?

- არ ვიცი, ძია. ეზოში გამაჩერა, თავზე ხელი გადამისვა, გულში ჩამიხუტა; ჩემი უმცროსი ჯუჯა ძმის სუნი აგდისო, მითხრა და შაქარყინულს დამპირდა. გავყევი. მერე აქ ჩამომიტყუა. _

სხაპასხუპით მიაყარა პატარამ; წამით შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო. _ ამ სარდაფში ფიქრისთვის ბევრი დრო გექნება; მანდ იჯექი და ყველა გაიხსენე, ვინც გიწამებია, თორემ მაგ სამი მკვდრის ბედს გაიზიარებო, ჩამომძახა. _ აჯოს ჰაერი არ ეყო და აქლოშინდა.

- შენ ვინ უნდა გეწამებინა, შვილო?

- ადრე, როდესაც ყველაფერს ვხედავდი, ბავშვები გუბეებში ბაყაყებს ვიჭერდით, ბალახის წვრილ მილაკს უკანალში ვარჭობდით, სულს ვუბერავდით და ვბერავდით. ის საცოდავები წყალში ველარ ყვინთავდნენ; ისეთი სასაცილოები იყვნენ! ეს ამბავი ერთხელ დედას მოვუყევი; ასე კარგი ბიჭები არ იქცევიანო, მითხრა. ბაყაყიც ალაჰის შექმნილია და მისი წამება ცოდვააო.

- კიდევ რამე ხომ არ უთქვამს იმ ცუდ კაცს?

- კიდევ? ჰო! _ ახალი ენერგიით დაიწყო ბიჭმა. _ ეგ როგორ დამავიწყდა?! ვიღაც ყადიზე ლაპარაკობდა; გინდა თუ არა, ის კაცი შენ ხარ და ვერ მომატყუებო. ძია, რა გქვია?

- ჩიზიზი. _ პასუხისთის ალი ბეი მზად იყო. _ ჩიზიზი ძია დამიძახე. აჯო, შვილო, რამდენი წლის ხარ?

- ასე მითხრა, თუ გკითხოს, ცხრა წლის ვარ, უპასუხეო.

- ვინ გითხრა?

- იმან.

- ვინ თუ გკითხოსო?

- იმან.

- ვინ იმან?

აჯო რამდენიმე წამით გაიტრუნა და უცებ:

- ვაიმე, მეტკინა, ძია!

- რა გეტკინა, შვილო?

- ტუჩი მეტკინა. ტუჩზე ვიკბინე და მეტკინა, ძია … უკვე გამიარა.

”ჯერ პატარაა; ჩემს ჰაჯიტეზე ერთი წლით უფროსი ყოფილა: ძალიან შეშინებული და დაბნეულია. კიდევ კარგ ჭკუაზეა საწყალი. მეც რას ჩავაცივდი: რა გქვია და რამდენი წლის ხარ?” _ გაიფიქრა ალი ბეიმ და მოულოდნელად ისეთი რამ გაიგონა, რომ შეცბუნებული კინაღამ ადგილზე შეხტა:

- ძია ჩიზიზი! საიდუმლოდ უნდა გკითხო. _ ჩურჩულით და მხოლოდ ბავშვებისთვის დამახასიათებელი იდუმალი ინტონაციით დაიწყო აჯომ. შემდეგ ხმას კიდევ უფრო დაუწია. _ ალი ბეის იცნობ?

***

მურისტანის საიდუმლოს მცველი იუსუფი ბნელი ოთახის იატაკზე გრძელი მისადგმელი ხის კიბის გვერდით მუცელზე იწვა; მარცხნივ მიბრუნებული თავი სარდაფის ხუფზე ედო; მარჯვენა ყურით საგანგებოდ გაკეთებულ ნახვრეტს მიკვროდა და დაძაბული უსმენდა მიწისქვეშეთში მიმდინარე ალი ბეისა და აჯოს დიალოგს.

იუსუფმა მურისტანის ჰოსპიტალში თავისი პირველი ჯუჯა ყადი ხმაზე იცნო; ჯურღმულში ჩაიტყუა და ცალი ფეხით ჩამოჰკიდა; ის კაცი არაფრით გამოტყდა: ერთი კვირის თავზე კი მოკვდა. ჯერ იფიქრა, რომ ყადის რაღაც ავადმყოფობა სჭირდა და ამიტომაც დალია ასე მალე სული, მაგრამ მერე მურისტანის ექიმთან გაარკვია: თურმე ადამიანი უწყლოდ დიდხანს ვერ ძლებს.

იმ ყადის ცხედარი სარდაფში საგანგებოდ ამოთხრილ ორმოში ჩაასვენა და ზემოდან უდაბნოს ქვიშაში შერეული ქოქოსის ჩენჩოს ნახშირი მიაყარა. რამდენიმე თვე დაელოდა: ამოთხარა; კარგად გამომშრალი მუმია გამოუვიდა. გადაწყვიტა, რომ ეგ მუჰამედის მიწაში წოლის ღირსი არ იყო და ჯურღმულის კედელში ჩარჭობილ კაუჭზე თავდაყირა ჩამოჰკიდა.

რამდენიმე თვის შემდეგ მურისტანის ეზოში მოსეირნე იუსუფმა ყურებს არ დაუჯერა.

მისი დამღუპველი ჯუჯა ყადი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

მიუახლოვდა, დაუყვავა, მოეფერა; როგორც კი დარწმუნდა, რომ ის არსება ქოსა იყო, მაშინვე სარდაფში მიაბრძანა და პირველი ყადის გვერდით მიუჩინა ადგილი; ოღონდ ამ ჯერზე წყლის ტიკჭორა მიაჩეჩა. თითქმის ორი კვირა კონწიალობდა მეორე ყადი თოკზე. თავიდან: ქონდრისკაცი კი არა, პატარა ბიჭი ვარო, გაიძახოდა, მაგრამ ბოლოს გატყდა: ”კი, ბატონო, ჯუჯაც ვარ, ქოსაც და ყადიცო.”

ამის შემდეგ ორი დღეც არ უცოცხლია.

მუმია მისგანაც მშრალი და მკვრივი გამოვიდა და იუსუფი მიხვდა, რომ არც ის იყო მუჰამედის მიწაში დამარხვის ღირსი.

მერე ალი ბეის ელოდა მოთმინებით. იგი კი არა და არ ეახლა. ან როგორ მოვიდოდა, მთელ ეგვიპტეს მართავდა და მურისტანის ბრმები მის სამართლიანობზე ზღაპრებს ჰყვებოდნენ. ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ყადის ხმა გაიგონა. ამჯერად არ იჩქარა. ერთ კვირაზე მეტხანს აკვირდებოდა ჰოსპიტლის კედლებში გამწესებულ ბრმას, რომელიც ჯუჯაც აღმოჩნდა, ქოსაც და, რაც

მთავარია, ერთ დროს თურმე ყადადაც მუშაობდა დიდ კაიროში. ის კაცი წინა ორზე ლაჩარი გამოდგა. როგორც კი ჯურღმულში ჩასავარდნ ხაფანგში გაება და ცალ ფეხზე დაეკიდა, მაშინვე ბევრი ცოდვა გაიხსენა; მათ შორის _ იუსუფის და ხორცის ამბავიც. სამი დღე ტიროდა და იხვეწებოდა: ნუ მომკლავ, ხომ ხედავ ალაჰმა უკვე დამსაჯა, დამაბრმავაო; მეოთხე დღეს კი გაქვავებული დახვდა იუსუფს. გვამი თავიდანვე ყარდა; ზოგან ხორცი ვერ გამოშრა, დალპა, აეტკეცა და მუმიაც მთლად სრულყოფილი ვერ გამოვიდა.

მესამე ყადის აღსარების მოსმენის შემდეგ იუსუფი მიხვდა, რომ მანამდე დასჯილებს არასწორად მოექცა. არადა, ხომ სამართლიანობის აღსადგენად სურდა შურისძიება?! ერთ დროს ცილისმწამებლის მიერ ბოძზე გაკრულმა კი, უნებლიეთ ორი ადამიანი იმსხვერპლა ანუ თვითონაც ცუდად მოიქცა. ეს ამბავი შიგადაშიგ აწუხებდა და გადაწყვეტა, ალი ბეის ამოცნობისას ასევე არ შემცდარიყო. თან ისიც იცოდა, რომ ალი ბეი ვაჟკაცი იყო და ადვილად არ გატყდებოდა. მასთან ძალა არ გაჭრიდა, ხერხი უნდა ეხმარა.

წლები გადიოდა; ალი ბეი ჯანმრთელად მართავდა ეგვიპტეს. იუსუფი მის შეპყრობასა და წამებაზე მთელი ამ ხნის განმავლობაში ოცნებობდა; ჩანაფიქრის განსახორციელებლად ნელ-ნელა დახვეწილი გეგმაც შეადგინა.

ახლა სწორედ იმ გეგმის მიხედვით მოქმედებდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა დარწმუნებულიყო, რომ ხაფანგში გაბმული კაცი ნამდვილად ალი ბეი ბრძანდებოდა. ხალხი იძახდა, მოკვდაო და მხოლოდ ოთხთითობის და მსგავსი ხმის ტემბრის გამო ხომ არ დასჯიდა ადამიანს?!

ახლა სარდაფში ჩატყუებული და საგანგებო ჯურღმულში ცალი ფეხით ჩაკიდებული ეჭვმიტანილი თავიდან დიდხანს დუმდა; მერე არეულად ამეტყველდა. რაღაც ქისას და ბურთულას ახსენებდა. ალბათ მაგრად დაარტყა თავი. ბიჭიც სუსულელეებს ბოდავდა, მაგრამ, რაც მთავარია, საბოლოოდ სასურველ თემაზე ალაპარაკდნენ. საუბარში კი ადამიანებს აუცილებლად წამოსცდებათ ისეთი რამ, რითაც თავის საიდუმლოს გაამჟღავნებენ. იუსუფს არსად ეჩქარებოდა. იგი მზად იყო მოთმინებით მოესმინა ყოველგვარი სისულელე; იცოდა, ადრე თუ გვიან, ალი ბეი თავის თავს გასცემდა და ვერავითარი ჩიზიზობა ვერ უშველიდა.

სარდაფში დატყვევებულები საუბრობდნენ. ყველაფერი თითქოს კარგად იყო, მაგრამ უცებ ბიჭმა ხმას დაუწია; მისი ნათქვამი იუსუფმა ვერ გაიგონა და აღელდა. შეეშინდა, ვიღაც ტუტუცი ბავშვის გამო, ამდენი ხნის ნაშრომ-ნაჯაფი წყალში არ ჩაყროდა.

***

- ვინ ალი ბეის უნდა ვიცნობდე, აჯო? _ კითხვაზე პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ალი ბეიმ.

- არ ვიცი. ვიღაც ალი ბეის, ძია ჩიზიზი. _ კვლავ ჩურჩულებდა ბიჭი.

- რატომ მეკითხები?

- ის კაცი ამბობდა, ალი ბეიმ დამღუპაო.

- ერთი ალი ბეი ვიცოდი, მაგრამ იგი მოკვდა, შვილო. მოდი, ახლა გავჩუმდეთ. ცოტა ხანს მაცალე და მოვიფიქრებ, აქაურობას როგორ დავაღწიოთ თავი.

წელში მოხრილმა ალი ბეიმ მანათობელი ცვილით ჯურღმულის მიწის იატაკი დაათვალიერა. კუთხეში ბალავრის ლოდის ნატეხი დალანდა; ნაბიჯი გადადგა; ჩაიმუხლა, აიღო, ხელი გადაუსვა, გლუვი ზედაპირი ჰქონდა. პირაღმა წამოწვა, ნაპოვნი ქვა თავქვეშ ამოიდო.

გონება მოიკრიბა, მურისტანის ჰოსპიტალში ამ დილით დატრიალებული ამბების დეტალები გაიხსენა. კაცი, რომელიც დაშაქრულად მეტყველებდა, თავიდანვე არ მოეწონა, მაგრამ რას იფიქრებდა, თუ ბავშვების მკვლელთან ჰქონდა საქმე?! გრძნობები ჰკარნახობდა, რომ ეს არსება ადამიანი კი არა, ჯოჯოხეთის ცხრამეტი სასტიკი

ანგელოზიდან ერთ-ერთია. ალი ბეი ემოციებს არასოდეს ენდობოდა და არც ცუდი მოჩვენებების სჯეროდა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ გამოგონილი ურჩხულებისთვის დაბრალებული ბოროტი საქმეები მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმისა, რისი ჩადენაც უბრალო მოკვდავებს აქამდე თავად მოესწროთ. ანუ პირველი, რაც სავსებით ნათელია; ის ცუდი კაცი ხორციელია და არ არის ჯოჯოხეთის მოციქული. ეს ზოგადად. ახლა უნდა დაედგინა, კონკრეტულად, ვინ ოხერია. მეორე დასკვნა: იგი შურისმაძიებელია, რომელსაც ოდესღაც ცუდად მოექცნენ. ასეთები კი ალი ბეის ცხოვრებაში ბლომად იყვნენ.

მოგონებებს მოუხმო.

1758 წელს მისი გამზრდელი და მფარველი ეგვიპტის მმართველი იბრაჰიმ გურჯი იბრაჰიმ ჩერქეზმა იმსხვერპლა. ხუთი წლის შემდეგ, შეიხ ბელედად არჩეულმა ალი ბეიმ შური იძია; იბრაჰიმ ჩერქეზი სიცოცხლეს გამოასალმა. მაშინ გამოუცდელი იყო და მოკლულის თანამეინახეებს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ისინი კი არ ისვენებდნენ, სხვადასხვა ხრიკებით ცდილობდნენ ალი ბეისთვის წყლის შეყენებას. ხან ბრწყინვალე პორტას ვეზირთან დააბეზღეს, ხან სულთანთან ენის მისატანად იპოვეს კაცი. ალი ბეის სამი წლის მანძილზე, თავის მართლება და ზოგჯერ იერუსალიმსა და სენ-ჟან დ'აკრში დევნილობაში

ცხოვრება მოუხდა. მხოლოდ 1766 წელს დააყრევინა თავები იბრაჰიმ ჩერქეზის თანამებრძოლ ოთხ ბეგს და შვებით ამოისუნთქა; უმტკივნეულოდ შეუდგა ქვეყნის სრულყოფილად მართვას. ჭკუაც ისწავლა. მას შემდეგ მტრებს დედაბუდიანად ანადგურებდა. ასე რომ, ალი ბეიზე შურისმაძიებელი ცოცხალი არავინ იყო. ბოროტი ადამიანები უსისინებდნენ: იბრაჰიმ ჩერქეზის რამდენიმე თანატომელი ახლაც საფაშოს დივნის წევრია და, საქმე საქმეზე თუ მიდგა, გიღალატებენო. ალი ბეი კი მაშინ ასე ფიქრობდა: ”თუ ალაჰისთვის ყველა ადამიანი ერთია, განურჩევლად: წარმოშობისა, კანის ფერისა, ტომისა, გვარისა და ასე შემდეგ, მე რა უფლება მაქვს, ჩერქეზებს არ ვენდო?! ჩემთვის ჩერქეზი, აბაზა, მეგრელი, გურჯი ყველა თანასწორია. ტომი რა შუაშია, ჩვენ ხომ რწმენა გვაკავშირებს.”

გაახსენდა, 1766 წელს დიდ კაიროში შორეული სამშობლოდან მამა ესტუმრა. დავითი დრანდის ტაძრის განათლებული, ლათინური ენის მცოდნე ქრისტიანი მღვდელი იყო და ბევრი ისეთი რამ უამბო, რის შესახებაც ალი ბეის მანამდე არავისგან სმენია. თურმე: ქართებს, კახებს, მეგრელ-ლაზებს, იმერლებს, გურულებს, აბაზებს, ჯიქებს, ალანებს, ხაზარებს და ჩერქეზებს _ ერთ დროს წმინდა გეორგის მიმდევრობა აერთიანებდათ. მათ ევროპელები გეორგიანელებს ეძახდნენ და იერუსალიმში ქრისტეს საფლავის მომლოცველ ქრისტიანთა შორის იერარქიაში მეხუთე ადგილი

ეკავათ. ამის გამგონე ალი ბეიმ ამაყად განუცხადა მამას:

- ხომ ხედავ? შორეულ ეგვიპტეში იმ ტომების შვილების ერთობა აღვადგინე და ახლა ამ დიდ ქვეყანას შეხმატკბილებულად ვმართავთ აქაური მამლუქები: გურჯისტანიდან, ოდიშიდან, აბაზადან და ჩერქეზეთიდან!

- შეიძლება მართლაც ასეა, შვილო! მიუგო მამამ. _ მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი თქვენგანი უკვე გეორგიანელი აღარ არის. ეგ კი არა, იქაც, შორეულ კავკასიაში, ძალიან ცოტანი დარჩნენ ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრები. ოსმალოთა იმპერიაში ყოფნის შედეგად ჯერ ჩერქეზების დიდმა ნაწილმა მიიღო ისლამი, შემდეგ ნელ-ნელა ჯიქეთის, აფხაზეთის სამთავროებში მცხოვრებმა გეორგიანელებმა …

- ჩვენს დრანდაში რა ხდება, მამა? _ რწმენაზე ლაპარაკისთვის თავის არიდება სცადა ალი ბეიმ, საუბარი შეაწყვეტინა და თავისი ბავშვობის სოფლის ამბებით დაინტერესდა. _ ხალხი როგორ ცხოვრობს?

- უბედურება ბიჭვინთის მონასტრის გაპარტახებით და აფხაზ-იმერთა საეპისკოპოსოს გელათში გადატანით დაიწყო; გემახსოვრება, შენს ბავშვობაში არც დრანდაში იყო ეპისკოპოსი და მხოლოდ მღვდლები აღვავლენდით წირვა-ლოცვას. ახლა

კიდევ უფრო გაგვიჭირდა. მართალია, მრევლი ჯერ გვყავს, მაგრამ მალულად ვიცავთ ჩვენს ყოველდღიურ წესს. მთელ სამთავროში ისლამი იკიდებს ფეხს. ვერ გაძღა ბრწყინვალე პორტას იმპერია ქრისტიანი გოგო-ბიჭებით. მარშანიებს ყმა გლეხები დააკლდათ და შეავსეს კავკასიონს გადაღმა მცხოვრები ადამიანებით; ისინი აფხაზურის მსგავს ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ქრისტიანობას დიდი ხნის წინ განუდგნენ და ახლა უმეტესად კერპთაყვანისმცემლები არიან. რადგანაც პორტას დაქვემდებარებაში მყოფ მიწებზე მცხოვრები მუსლიმები არც ფულად ხარკს იხდიან და არც შვილებს აგზავნიან კონსტანტინოპოლში, ჩამოსულებმა ხერხი იხმარეს და მუჰამედი აღიარეს. მე შენ გეტყვი და, რთული რიტუალის ჩატარება სჭირდება ამ საქმეს. უბრალოდ იტყვი, ერთადერთი ღმერთია ალაჰი, მუჰამედი კი ჭეშმარიტი მოციქულია მისიო და მორჩა, მაგათებურად მონათლული ხარ. არც მღვდელი გჭირდება, არც ზეთის ცხება, არც აღსარება და არც ზიარება. მერე ისლამმიღებულ წარმართებს გული მიეცათ, ჩვენ ალაჰმა თავისუფალ ადამიანებად გვაქციაო; ზემოდან დაგვიწყეს ყურება და მონებს გვეძახიან. კერპთაყვანისმცემლებს აფხაზი და მეგრელ-ლაზი ტომების ქრისტიანებმაც მიბაძეს; ზოგიერთმა ოსმალოთა მოსატყუებლად მიიღო ისლამი. სულზე უფრო ტკბილია შვილი და მის იანიჩრად ან ხასად პორტაში გაგზავნას წაწყმედა

არჩიეს. ახლა კი თანდათან ეგუებიან მუსლიმურ ჩვეულებებს. სხვა რა გზა აქვთ? ისლამისგან განდგომა პორტას იმპერიაში სიკვდილით ისჯება. ჩამოსულთა ნაკადმა კიდევ უფრო იმატა მას შემდეგ, რაც დონის კაზაკებმა ყუბანში და კავკასიაში მცხოვრები ტომების აწიოკება დაიწყეს, დევნილმა ისლამის მიმდევრებმა ოსმალეთის უახლოეს სამთავროებს: ყირიმს, ჩერქეზეთს, ჯიქეთს, აფხაზეთს _ შემოაფარეს თავი; პორტას მორჩილებაში მყოფმა შერვაშიძეებმა იანიჩრების დახმარებით აფხაზეთის სამთავროს საზღვარი ჯერ კელასურამდე, შემდეგ კოდორამდე გადაიტანეს. შერვაშიძეები ღალიძგამდე ტერიტორიასაც ეპოტინებიან; იქაც ცდილობენ ხარკის აკრეფას. მათი სამთავრო ფართოვდება, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ქრისტიანი მოსახლეობის დაკარგვა-გადაგვარების და წმინდა გეორგის ერთგული ოდიშის მიწების ხარჯზე. ხალხში ამბობენ, მალე ოსმალეთ-რუსეთის ახალი ომი დაიწყებაო. თუ რუსებმა იმარჯვეს და ყირიმი, აზოვისპირეთი, ჩერქეზეთი, ყუბანი წაართვეს პორტას, იქაური მუსლიმების დიდი ნაწილი ისევ ჩვენ მხარეს შემოაფარებს თავს და ქრისტიანებს იგივე მოუვათ, რაც წმინდა მიწაზე ლათინელებს დაემართათ შორეულ წარსულში. ისინი ჯერ იერუსალიმიდან გააძევეს, მერე სენ-ჟან დ'აკრიდან; ბოლოს იყო სიდონის და შატო პელერენის ტრაგედიები.

- მამა, ხომ არ დაგავიწყდა, რომ მეც მუსლიმი ვარ და წარმატებებს ამ რწმენით მივაღწიე?

- სწორედ შენს გასაგონად ვლაპარაკობ. აბა, ეს ყველაფერი მე ისედაც ვიცი. ადამიანის ამქვეყნიური წარმატება, თუ მას მარადიულ სოფელში ღმერთთან შერწყმა არ მოჰყვა, ფუჭი გამოდგება.

- ხო, კარგი; ნუ ვიკამათებთ. ერთი ეს მითხარი, ვინ არის ახლა აბაზას ვილაიეთის მელიქი? იქნებ კონსტანტინოპოლში შევხვდე სულთნის კარზე და შენი მხარდაჭერა ვთხოვო.

- მელიქი კი არა მთავარი, ხოლო რასაც ოსმალურ ყაიდაზე აბაზას ვილაიეთს ეძახი, ჩვენებურად აფხაზეთის სამთავრო ეწოდება. იქ ქრისტიანების უბედურების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მთავრების გამუსულმანებაა. შენი დაბადების დროს დროს აფხაზეთს ქრისტიანი ჯიგეში შერვაშიძე თავობდა. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა. როდესაც გაგიტაცეს, მისი უფროსი ვაჟი ჰამიდ ბეი იყო. ამისი შვილები მანჩა და ლევანტი კი ქრისტიანულ წესს იცავდნენ; სწორედ ამ მიზეზით წაასხა ისინი კონსტანტინოპოლს სულთანმა და ძალით მიაღებინა მუსულმანობა. მანჩას მანუჩარ ბეი უწოდეს; 1757 წლამდე მართა მხარე. ახლა აფხაზეთს თავადი მანჩა მეორე შერვაშიძე განაგებს; ხალხი მამამისივით მასაც მანუჩარ ბეის ეძახის.

მოდის ხოლმე დრანდის ტაძარში და ჩუმად ლოცულობს.

- მაგ კაცს არა, მაგრამ, მგონი, მის შვილს ვიცნობ. წითური, სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილია; ორიოდე თვის წინ კონსტანტინოპოლში დიდმა ვეზირმა აბაზას პრინც ქელეშ-აჰმად ბეად წარმომიდგინა; განვმარტოვდით, ქართულად დამელაპარაკა, აფხაზურად ვუპასუხე და სიხარულით კინაღამ გაგიჟდა, ჩვენებური ყოფილხარო. სულთნის კარზე ზრდიან და კარგ განათლებასაც იღებს. წერილს მივწერ, მამასთან გიშუამდგომლოს.

- ეჰ, შვილო! კონსტანტინოპოლში აღზრდილი კაცი რაში გვარგია? ბრწყინვალე პორტას იმპერიაში, ვინც ისლამს აღიარებს და ქრისტიანების შევიწროებას შეეცდება, სწორედ ისაა პატივცემული. ასე რომ, თავს ნუ მოიტყუებ. რაც შეეხება ქართულს! შერვაშიძეები ოჯახში მასზეც საუბრობენ და ოდიშ-იმერეთის მთავრებს წერილებსაც ამ ენაზე სწერენ. ხალხში კი, რწმენასთან ერთად, საეკლესიო ენაც სულს ღაფავს, ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი წიგნების წამკითხავი ცოტა რჩება; სხვა რელიგიას სხვა კულტურა მოჰყვება და მოვსწყდებით სწორ გზას.

- ხოდა, თუ იქ ქვეყანა იქცევა, გადმოსახლდი ჩემთან ეგვიპტეში. ცივ ნიავს არ მოგაკარებ. ხომ

ნახე, რა ქონების პატრონი ვარ? ჩემი საქმეთა მმართველი, სხვათაშორის, ქრისტიანი კოპტი მაალიმ რისკი მეუბნება, რომ ეს ყველაფერი ექვსი მილიონი დუკატის ღირებულებისაა. კი, ბატონო, რადგანაც მაინცადამაინც შენი ღმერთის სამსახური გინდა, აქაც არის ეკლესიები. ცოტა მოშორებით სინას მთაზე დიდი მონასტერია. ამბობენ, იქ მიღვაწე გეორგიანელებისთვის ალაჰის ჭეშმარიტ მოციქულ მუჰამედს თავისი ხელის მტევნის ანაბეჭდით დამტკიცებული ფირმანი გაუგზავნია. _ შეაპარა მამას ალი ბეიმ.

- შენ ამბობ, ექვსი მილიონი დუკატის ქონებას ვფლობო და ეს თანხა ალბათ ძალიან დიდია, მაგრამ არ იცი, რომ კოდორის მარცხენა ნაპირზე, ბაბუაშენის მიერ გაშენებულ ხეხილის ბაღში არსებულ ფარულ ფიცრულ სალოცავში დაფლული რელიკვია მილიონჯერ და უფრო მეტჯერ ძვირი ღირს. იგი ტამპლიერმა რაინდებმა თავისი საგანძურიდან გეორგიანელებს სენ-ჟან დ'აკრის დაცემის შემდეგ უწილადეს; დრანდის ტაძრისთვის სიწმინდე ძმა შოთას შემოუწირავს. მისი ევროპაში დასაბრუნებლად მეფეები და თვით რომის პაპი ყველაფერს გაიღებენ. დიახ, ჩემო კარგო, ის საიდუმლო განძი შეუფასებელი სიმდიდრეა. დრო დადგება, იგი გააძლიერებს და გააერთიანებს მთელს საქრისტიანოს. არ დაგავიწყდეს, შენი ნათლობის სახელია იოსები. მართალია, ისლამის მიღებით, ცოდვაში ჩადგი ფეხი, მაგრამ ეკლესიის

კარი ღიაა ყველა ადამიანისთვის და მონანიების შემდეგ ღმერთთან ზიარებით შერწყმას არავინ დაგიშლის. ერთი რამ გახსოვდეს:. თუ უფალი ინებებს და ქრისტიანობას დაუბრუნები, იმ საგანძურის კანონიერი მემკვიდრე შენ გახდები. ხომ გახსოვს ბაბუაშენის ბაღი?

- დრანდის ტაძრის ეზოდან კარგად ჩანდა კოდორს გაღმა მდებარე ის ვაკე ადგილი. ტყისგან რიგებად ჩამწკრივებული: ბლის, ატმის და მსხლის _ ხეებით გამოირჩეოდა. ბაღის ბოლოში დიდი მუხაც იდგა განმარტოებით; ქარიან ამინდში მისი ფოთლების ტალღებად შრიალის ყურება მიყვარდა. ხავსმოდებული ყავრით გადახურული ფიცრულიც გამახსენდა. ზოგჯერ სიზმარში ქამარში წალდგაჩრილ ბაბუასაც ვნახულობ; ხელში ყოველთვის წითელი ღვინით სავსე ხის ფიალა უჭირავს და თავის ქოხში მეპატიჟება. ესე იგი, განძი იქაა დაფლული?

რელიკვიის გახსენებამ ალი ბეი შორეული მოგონებების ტყვეობიდან მურისტანის ბრმის ტყვეობაში დააბრუნა. იგი ხომ საღამოს მასრიდან კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ ქარავანს უნდა გაჰყოლოდა, იქიდან კი, სწორედ იმ საიდუმლო საგანძურის სანახავად, გემით წასულიყო წინაპართა კავკასიაში.

რადგანაც მისი პირადი მტრებიდან ცოცხალთა შორის ნამდვილად არავინ დაუტოვებია, ახლა სცადა სხვაგან ეძებნა უცნობი შურისმაძიებელი; პატარა აჯოზე დაფიქრდა.

იქნებ სწორედ იგია მურისტანის საიდუმლოს გასაღები?

ამ ბიჭს აქაური ბავშვთა მკვლელი ინფორმაციის გადასაცემად იყენებს. პატარა შეშინებულია და გაზეპირებულ წინადადებებზეც ეტყობა, რომ სხვის დავალებას ასრულებს. მის მიერ ალი ბეის ხსენებაც არ იყო ბუნებრივი. უცებ გონება გაუნათდა და მიხვდა, რომ ბიჭის მეშვეობით დადგმულ სცენას ერთადერთ შემთხვევაში ჰქონდა აზრი: ესე იგი, მკვლელი მოყურადებულია და დიალოგს უსმენს.

ალი ბეი წამოჯდა; ქამრიდან გერმანული ჯიბის საათი ამოიღო; გახსნა; მარცხენა ხელით ცვილი მიანათა; თორმეტს ცხრა წუთი აკლდა.

”დღეს კვირის მეხუთე დღეა. _ გაიფიქრა ალი ბეიმ. _ მზე ზენიტს რამდენიმე წუთში გადასცდება და ჯამეებში დაიწყება კოლექტიური ჯუმა-ნამაზი, რომელსაც ყველა მაჰმადიანი უნდა დაესწროს. ვინც ნამაზზე არ გამოცხადდება, მას მოისაკლისებენ და შემდეგ აუცილებლად მიადგებიან მიზეზის საკითხავად. მურისტანის მკვლელი, წესით, ფრთხილი უნდა იყოს და ზედმეტ ყურადღებას არ იქცევდეს. ამიტომ აუცილებლად დაესწრება

კოლექტიურ ლოცვას. მოდი, ნამაზის დაწყებას დაველოდები და შემდეგ ვცდი თოკზე აძრომას. იქნებ ხაფანგის მექანიზმში გავერკვიო. რა უნდა იყოს ბრმის მიერ გაკეთებული, რასაც თვალ-ხილული ვერ მიხვდება?”

- აჯო, შვილო! _ მიმართა ალი ბეიმ. _ ზუსტ დროს აბა როგორღა მივხვდებით, მაგრამ გუმანი მკარნახობს, რომ ჯუმა-ნამაზის შესასრულებლად უნდა მოვემზადოთ. ალაჰს ხომ არ ვაწყენინებთ? _ თან მოყურადებულ ბავშვების მკვლელთან საპასუხო თამაში დაიწყო; მიანიშნა: თუ ჯუმანამაზის დრო მოახლოვდა, ესე იგი ჯამეში წირვა უკვე მიმდინარეობს და იჩქარეო.

- ძია, მექა საითკენაა?

- საითკენაც გული გიკარნახებს, შვილო! მოემზადე და მეც შენ მოგბაძავ.

რამდენიმე წუთში ალ ბეის ყურამდე ჭერიდან ჯერ შრაშუნის და შემდეგ ქვის ქვაზე მირტყმის ძალიან სუსტმა ხმამ მოაღწია. ცოტა ხანს კიდევ დაელოდა და თოკს ხელებით ჩაეჭიდა. თავიდან გაუჭირდა, მაგრამ როგორც კი მუხლების მიშველება შეძლო, უფრო სწრაფად განაგრძო ცოცვა. ჭერს მიუახლოვდა თუ არა, მხოლოდ მარჯვენა ხელზე და-ეკიდა, მარცხენით თოკის გამოთავისუფლებული ნაწილი მოხრილი მარჯვენა ფეხის ბარძაყზე საზარდულთან დაიხვია და

გაკვანძა. ახლა ცალი ხელის ფათურით დაიწყო ხაფანგის შესწავლა. ხუფი ფიცრებით შეჭედილი აღმოჩნდა. შუა ნაწილში საკმაოდ მოზრდილ ნახვრეტს მიაგნო: ლამის სამი თითი შეეტია. ”ალბათ აქედან გვისმენს”. _ გაიფიქრა ალი ბეიმ. შემდეგ თოკის ჩამოშვების ადგილი მოსინჯა და რამდენიმე სანტიმეტრში რკინის ანჯამა იგრძნო. შესაბამისად, ჩამკეტი საპირისპირო მხარეს უნდა ყოფილიყო; თითებით მანათობელი ცვილის ბურთულა დაიჭირა, ხუფის ბოლოს მიანათა, სახე მაქსიმალურად ახლოს მიიტანა; ჩარჩოსა და ხუფს შორის ჭრილი შეამჩნია.

საქმის ძირითადი ნაწილი გაკეთებული იყო. ახლა ამ ჭრილში დანის პირი უნდა შეეცურებინა და ურდულის ენა თანდათან გამოეჩოჩებინა.

- ნებისმიერი საქმის გასაკეთებლად აუცილებელია მოქმედების დაწყება და შედეგსაც მიაღწევ, ჩემო აჯო. _ თქვა ალი ბეიმ, როდესაც ურდულმა ნანატრი ჩხაკუნის ხმა გამოსცა. იმავე წამს ხუფი ჩამოვარდა და ანჯამაზე დაეკიდა.

ზემოთ აძრომა ადვილად მოახერხა, აქაც ბნელოდა. იატაკზე რაღაცას წამოედო. ხის კიბე აღმოჩნდა. დაიხარა აიღო და სარდაფში ჩააცურა.

აჯო ოსტატურად ამოუყვა საფეხურებს.

ალი ბეიმ მანათობელი ცვილი მოიმარჯვა და ზედა სარდაფის დათვალიერებას შეუდგა. ოთხი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ლოდებით აშენებულ კედელს მიადგა. ხელის ფათურით მარცხნივ დაუყვა: კარს ეძებდა. სამი ნაბიჯში კუთხეში აღმოჩნდა, კვლავ მარცხნივ მოუხვია, პირით კედლისკენ მდგარმა გვერდულად გადადგა რვა ნაბიჯი; ისევ მოუხვია. ექვსი ნაბიჯი და კუთხეში იყო. კვლავ რვა ნაბიჯი _ ისევ კუთხე და გვერდზე სამი გაჩოჩების შემდეგ წრე შეიკრა.

ოთახს გასასვლელი არ ჰქონდა.

***

იუსუფმა წირვის დასასრულს მიუსწრო, ჯუმანამაზიც აღასრულა, ჯამეში მის გვერდით მლოცველი ბრმებიც მოიკითხა, სხვა ჯგუფებშიც გაერია; ყველას მიესალმა, სიტყვა ყველგან და-ასველა და რაც მთავარია, ალი ბეის ამბებიც და-აზუსტა. ”ამდენი ადამიანი ერთდროულად როგორ უნდა ცდებოდესო?!” _ გაიფიქრა.

ეგვიპტის მმართველის სიკვდილს წყალი არ გაუვიდოდა.

იუსუფი დაიბნა. არ იცოდა, უნდა სწყენოდა თუ გახარებოდა. ისიც გასარკვევი იყო, რა ექნა ჯურღმულში ჩაგდებული კაცისა და ბავშვისთვის. სინდისმა უკარნახა: გაუშვიო, მაგრამ გონება მტკიცედ იდგა.

იუსუფი უფრო გონების მხარეს იყო.

იმათი გათავისუფლება, აბა, როგორ იქნებოდა?! მთელ მურისტანს მოსდებდნენ იქ ნანახს და იუსუფი ხელის ცოდვების გამო შარიათის სასჯელს ვერ გადაურჩებოდა. არადა, მერე ვინ დაიცავდა ყოველ გაზაფხულზე აქაურობას გუბეებში დამპალი თევზის სიმყრალისგან? ეს დიდი საქმე კი, რა თქმა უნდა, ორი ადამიანის სიცოცხლეზე მეტი ღირდა.

იუსუფმა ყველაფერი გადაწყვიტა. სწრაფად გაემართა თავისი ოთახისკენ. იქ ანუბისა უნდა ენახა და ერთად წავიდოდნენ მიწისქვეშეთში მოწყობილი სამალავისკენ.

ჯურღმულში ყოფნა ორივეს უყვარდა. ანუბისა იუსუფის მიერ მოშინაურებული გველგესლა იყო.

აბანოს სარდაფში, ქოქოსის ჩენჩოს გამოსაწვავი ღუმლის გვერდზე, საიდუმლო ოთახში შესასვლელ ხის კარს უკანა მხრიდან თხელი ქვის ფილები ჰქონდა მიმაგრებული, წინიდან კი თიხით ისევე იყო შელესილი, როგორც მთელი კედელი. ბრმა კი არა, თვალხილული ადამიანი ვერ შეამჩნევდა მის არსებობას, გინდ გარედან შეეხედა და გინდა შიგნიდან. ამ საგანგებო სამალავს იუსუფმა ღუმლის შენების დროს შემთხვევით მიაგნო. მერე გაიკითხ-გამოიკითხა; თურმე ამგვარი ჯურღმულები მთელ მურისტანში ბლომად ყოფილა და ისინი ამ

ადგილზე ადრე არსებული ქალაქის დროიდან შემორჩენილა.

იუსუფმა ხელჯოხი კედელს მიაყუდა; დაიხარა; ფრთხილად ამოიღო იატაკში ჩარჭობილი სოლი, რომელიც ურდულის ფუნქციას ასრულებდა და კარი გამოაღო. ფრთხილი, ჩუმი ნაბიჯით გაემართა ხუფისკენ; ჩაიმუხლა, ხელის ფათურით ხვრელი იპოვა, მარჯვენის ცერა და საჩვენებელი თითებით ანუბისა უბიდან ამოიყვანა და თავი ნახვრეტში ჩააყოფინა.

ბავშვის განწირული ხმა მოულოდნელად გაისმა:

- ძია იუსუფ! ფრთხილად, ჩვენ აქ ვართ!

შეცბუნებულმა გველს ხელი სასწრაფოდ გაუშვა, შეტორტმანდა, წინ წაიხარა. უცებ ჩხაკუნის ხმა გაისმა, ხუფი ჩავარდა და იუსუფი თავით გადაეშვა ჯურღმულში.

ალი ბეიმ აჯო გააფრთხილა, როგორც კი კარის გაღების ხმას გაიგონებდა, სუნთქვა უნდა შეეკრა.

ახლა სარდაფის კუთხეში იყვნენ მიყუჟულები; არაფერი ისე არ აერთიანებს ადამიანებს, როგორც საერთო განსაცდელი. პატარა აჯოს თითოეული კუნთის გატოკებას ალი ბეი საკუთარი სხეულივით გრძნობდა. ნანატრი კარის გაღების წრიპინი ყრუდ გაისმა; პატარას გული აუჩქარდა და ბაგაბუგით უცემდა. ალი ბეის შეეშინდა, ეს ხმა მურისტანის მკვლელის არ გაეგონა. ხუფის ურდულზე მიბმული თოკი ხელში დაჭიმული ეჭირა. ტანსაცმლის შრიალი გაისმა, სავარაუდოდ, შემოსული დაიხარა; ორიოდე წამში ყურს მოსასმენ ხვრელს დაადებდა. სწორედ მაშინ უნდა დაექაჩა საბელი, ურდული გამოეწია, ხუფი ჩაეგდო და გაოგნებულ მოწინააღმდეგეს თავს დასხმოდა.

ღალატი ალი ბეის არ უკვირდა, ისიც იცოდა, რომ ტყვედ ჩავარდნილი ადამიანი ადვილად ემორჩილება მოძალადეს და მისი ერთგული ხდება, მაგრამ იმას, რაც მოხდა, ნამდვილად არ მოელოდა:

- ძია იუსუფ! ფრთხილად, ჩვენ აქ ვართ! _ გაისმა პატარა გამცემის ხმა.

ხუფის ჭრიალის შემდეგ შრაშუნ-შრიალი გაისმა და ყველაფერი ბრაგუნით დასრულდა.

ალი ბეიმ აჯოს ხელი ჰკრა, ხვრელთან მივიდა და ჩასძახა:

- ახლა შენ მოემზადე სიკვდილისთვის!

მურისტანის მკვლელი ხმას არ იღებდა. ალი ბეიმ მანათობელი ცვილი ჯიბიდან ამოიღო და ჯურღმულში ჩააგდო. ბურთულა პირაღმა გაუნძრევლად მწოლი არსების წვერში გაიბლანდა. გადაწყვეტილება იმწამსვე მიიღო; იატაკზე დადებული ხის კიბის ჩაშვების დრო არ იყო, თოკი ჯურღმულში ისროლა და მისი მეშვეობით ქვევით ჩასრიალდა.

მიწაზე ფეხი დადგა; მერე დაიხარა, ცვილი აიღო და სახეზე მიანათა. მურისტანის მკვლელს საფეთქელი სწორედ იმ ბალავრის ქვისთვის დაერტყა, რომელიც ალი ბეიმ ჯურღმულის კუთხეში იპოვა და აქ თავქვეშ ამოიდო. კარგად დააკვირდა;

მისთვის ეს მკვდარი სრულიად უცნობი ადამიანი იყო.

ახლა უპასუხო კითხვებზე მხოლოდ ზემოთ დარჩენილ გველის წიწილს შეეძლო პასუხის

გაცემა. ალი ბეი თოკს მისწვდა და პატარა აჯოსკენ გაემართა; ჭერს მიუახლოვდა, ცალი ხელით ხუფის ჩარჩოს ჩაეჭიდა, როდესაც გაისმა:

- ვაიმე, დედა, მეტკინა! ძია, მეტკინა! ჩიზიზი ძია, მტკივა!

- რაო, მამაძაღლო? ისევ ტუჩზე იკბინე, არა? პატარა ბავშვივით არ გამაცუცურაკა ამ ტუტუცმა?! _ ალი ბეი უკვე ხუფის თავზე იჯდა.

- მტკივა ძია, სახე მტკი … უცნაურად დადუმდა აჯო და ერთი სუსტად ამოიხვნეშა.

ალი ბეი ფეხზე წამოდგა, აჯოსკენ გაიწია, უნდოდა ყურში ჩაევლო ხელი. უცებ იმ მხრიდან, სადაც კარი ეგულებოდა ტვინის გამყინავი სისინი გაისმა.

ცვილის ბურთულა ბიჭს მიანათა, აჯო აღარ სუნთქავდა. მის ლოყაზე ორი ნაჩხვლეტიდან ერთი ციცქნა სისხლის წვეთებს გამოეჟონა.

- ეს საცოდავი ბრმები თურმე თვალდახუჭულები კვდებიან. _ თავისთვის ჩაილაპარაკა ალი ბეიმ.

***

ღამით, როდესაც დიდი კაიროს ქუჩები დაცარიელდა, მურისტანის ჰოსპიტლის ჩრდილოეთის კარიბჭიდან გამოვიდა ალი ბეი და

ინ-სტაკ-სელაჰის ქარვასლისკენ სწრაფი ნაბიჯით დაიძრა.

იგი ვერასოდეს გაიგებს, რომ ოდესღაც ცამეტი წლის აწოწილი იუსუფის გადარჩენა შეეძლო. მას ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი საქმეები იზიდავდა.

ალი ბეი ახლა კონსტანტინოპოლისკენ მიმავალ ქარავანს უნდა გაჰყოლოდა; იმ საოცარი ქალაქიდან კი ადვილად მოხვდებოდა კავკასიაში, მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე, სადაც ტამპლიერთა ორდენის მიერ სენ-ჟან დ'აკრის დაცემის წინ გეორგიანელებისთვის ნაწილადევი იდუმალი რელიკვია ეგულებოდა.

1773 წელი

ეგვიპტე

მარიამი ...

დიდი კაიროს ინ-სტაკ-სელაჰის ქარვასლაში სოვდაგრებმა უკანასკნელი სამზადისი დაასრულეს, ალაჰს შეწევნა სთხოვეს და ქარავანი დინჯად დაძრეს.

წინ ფათერაკებით აღსავსე ორმოცდღიანი მოგ-ზაურობა ელოდათ. სწორედ ეს დრო იყო საჭირო დიდი კაიროდან კონსტანტინოპოლში ჩასასვლელად.

ქარავნის კუდში მიმავალი ჯორის უკანალი სიბნელეში გაუჩინარდა. მოედანზე დარჩენილ ნაგავს ქარი დააფრიალებდა; თბილი ნეხვი ყარდა. აქ ახლა ერთი მონა ეულად იდგა და მსუბუქად დატვირთული ორკუზიანი აქლემი საბელით ეჭირა. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ტვირთი წითელმოსასხამიანი პატრონისთვის უნდა გადაეცა, იდუმალი ვაჭარი კი არ მოვიდა; დაბნეული ბიჭი საწყლად აცეცებდა თვალებს.

მოსჭამა ჭირი გასამრჯელომ.

ალი ბეიმ ინ-სტაკ-სელაჰის ქარვასლამდე ვერ მიაღწია. იგი გზაში მიხვდა, რომ, მდინარე კოდოროს მარცხენა ნაპირზე, ბაბუამისის ფიცრულ სალოცავში დამალული იდუმალი საგანძურის ძებნაში, ნამდვილი სიმდიდრის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა.

მართალია, ეგვიპტეში ვაჟკაცის ასეთი საქციელი სირცხვილი იყო, მაგრამ თავს ვერ მოერია, მაალიმ რისკისთან და აბუდაჰაბთან დადებული პირობა დაარღვია; ქარვასლის ნაცვლად სულ სხვა მიმართულებით წავიდა. დიდი კაიროს მიხვეულ-მოხვეული ლაბირინთებით მთავარ გზაზე გავიდა და სასახლე დაინახა თუ არა, ნაბიჯს აუჩქარა.

პაროსის თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული თაღებიანი ნაგებობა ნახევარმთვარის მკრთალ შუქზე ნაცრისფრად მოჩანდა. ყველა სარკმელი ჩაბნელებული იყო.

ოცნების სახლში უკუნი და დუმილი სუფევდა.

ალი ბეის ჰარამხანა პატრონს მუსულმანური წესით: მოთმინებით, ტირილისა და მოთქმის გარეშე _ გლოვობდა.

შენობის მარცხენა ბოლოში, ქალებისთვის გამოყოფილ ნაწილში შესასვლელთან, საჭურისი

მუხლმორთხმული იჯდა, ზურგით კედელს მიყრდნობოდა და ეძინა.

ალი ბეიმ მზერა ჰარამხანის მარჯვენა ფრთაზე გადაიტანა. სახლის პატრონს ამ სასახლეში უკვე აღარ ელოდნენ. სადარბაზოს არავინ დარაჯობდა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ჩარჩოში შენიღბული სამალავიდან გასაღები ამოიღო, ჭუჭრუტანაში გაუყარა, ორჯერ გადაატრიალა.

დერეფანში დიდი ხნის მონატრებული სურნელი იდგა; ბნელოდა; ფეხზე გაიხადა; დარბაზისკენ ფრთხილად წავიდა; ტახტს მიუახლოვდა, დაიხარა, ხელი დაადო; დარწმუნდა, რომ სწორად მოძრაობდა. ათიოდე ნაბიჯი და ქალების მხარეზე გადასასვლელთან იყო; ფათურით ურდულს მიაგნო, გამოსწია, კარი შეაღო. ნელსაცხებლების და საპნის არომატი ეცა. დერეფნის გასწვრივ, მარცხენა მხარეს ხუთი საძინებელი იყო განლაგებული. ხელით ჯერ პირველ კარს შეეხო, შემდეგ _ მეორეს; ამ ოთახებში არავინ ეგულებოდა. მესამეს მიუახლოვდა თუ არა, გულმა ბაგაბუგი დაიწყო. მარიამთან შეხვედრის პირველი დღიდან მოყოლებული, სულ ასე ემართებოდა.

***

ეს ამბავი 1764 წელს დაიწყო.

იმჟამად ალი ბეი ოცდათექვსმეტი წლის მამაკაცი იყო; მის ჰარამხანაში ნამყოფი ქალების ანგარიში დიდი ხნის წინ აერია.

ივახშმა, ბალიშებზე წამოგორდა და საჭურისს მოუხმო:

- რას ინებებ, მბრძანებელო? _ წვრილი ხმით მიმართა ოციოდე წლის მონამ.

- რამე ისეთი მინდა, რძის სუნი ასდიოდეს.

- რძის სუნის რა მოგახსენო, შესახედავად კი გასაფურჩქნად გამზადებულ ვარდის კოკორს არ ჩამოუვარდება! ამ დილით მუსტაფა ტრაბიზონოღლუმ ახალი თეთრი მონაქალი მოგართვათ და თან წუწუნით ტვინი შემიჭამა; ალბათ ძვირად გაყიდის.

- აჰა! იცის მაგ მსუნაგმა ჩემი გემოვნება. მე და ეგ წუწკი ვაჭარი ერთი სისხლის ვართ; წადი, გოგო გაამზადე და აუზიან დარბაზში დამახვედრე.

მარმარილოს იატაკზე დადგმული საკმევლიდან მსუბუქი თეთრი კვამლი ამოდიოდა და კანაფის მათრობელა სურნელს აფრქვევდა. კაპიტელებიანი სვეტების წინ გაშლილი ჭრელი ხალიჩის შუაში იდგა შიშველი ყმაწვილი ქალი; წაბლისფერი ნაწნავები უკან გადაეყარა, თავი ოდნავ დაეხარა, ჩამოშვებული ხელებიდან მარცხენაში სიფრიფანა წითელი თავსაბურავი ეჭირა და მის სანახავად

მისულ უცხო მამაკაცს თაფლისფერი თვალებით ისე უყურებდა, თითქოს დიდი ხნის უნახავი ადამიანის ამოცნობას ცდილობდა. ამ მზერას ალი ბეიმ მხოლოდ რამდენიმე წამს გაუძლო, შემდეგ ყველაფერი ბურუსში გაეხვია. ახლა მშვენიერი არსების ირგვლივ მანათობელი სხივებისგან შემდგარ ციურ სხეულს ხედავდა; ეს უნარი თურმე ჰქონია, მაგრამ აქამდე არ იცოდა. ალი ბეი გაშეშდა; მის წინ არა მხოლოდ სასურველი ქალი იდგა, არამედ ზღაპრული სამყაროდან: სათნოების, სისპეტაკის, სიკეთის, კეთილშობილების _ მომნუსხველი იდუმალება გამოეცხადა.

დიდი დრო გავიდა, ვიდრე ალი ბეი ჯადოსნური გარემოდან ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა და ახლა კიდევ უფრო გაოცდა; ტიტლიკანა ქალი, იმის ნაცვლად რომ მყიდველისთვის მოეწონებინა თავი, პირიქით, თავად აფასებდა და ცდილობდა ალი ბეის ავ-კარგის დანახვას. მონის ამგვარი საქციელი შეურაცხ-მყოფელი იყო; ეგვიპტის შეიხ-ბელედმა გაბრაზება სცადა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ გაახსენდა, რომ მის წინ მხოლოდ და მხოლოდ გასაყიდად გამზადებული უბრალო მონა იდგა; ნებისყოფას მოუხმო, ეშხიანი სხეული ერთხელაც შეათვალიერა და მიხვდა, რომ მისი ნამდვილი სიტკბოს შესაგრძნობად ფული, ძალაუფლება და სურვილი არ კმაროდა.

ალი ბეი უსიტყვოდ შეტრიალდა და გასასვლელისკენ წავიდა.

კარებთან გულგახეთქილი მუსტაფა ტრაბი-ზონოღლუ იდგა:

- ეტყობა ცუდი თვალით შეხედე, მბრძანებელო. დაიტოვე, სხვა დროსაც ნახე, იქნებ მოგეწონოს. ფასსაც დავუკლებ ...

- რამდენს ითხოვ? _ მუსტაფას სიტყვა გააწყვეტინა ალი ბეიმ.

- ას ვერცხლად დაგითმობ, ჩემო მბრძანებელო! _ წელში მოიხარა და ფასი გაანახევრა დამფრთხალმა ვაჭარმა.

- მიეცით ამას ასი ოქრო!

ცოტა ხანში საჭურისმა სათითაოდ მიუთვალა ბედნიერ მუსტაფას ბრჭყვიალა მაჰბუბები. ბოლო, მეასე მონეტა მარჯვენა მტევნის ცერა თითის ფრჩხილზე დაიდო, ჰაერში შეაბზრიალა, ხელისგულით დაიჭირა და მოხდენილი მოძ-რაობით შარვლის ჯიბეში ჩაიცურა.

- ფეშქეში იყოს! _ სევდიანი თვალი გააყოლა გაუჩინარებულ ფულს მუსტაფა ტრაბიზონოღლუმ.

***

მარიამი პატარა იყო, როდესაც გაიგო, რომ მისი უფროსი დაიკო ცოლიანი კაცისგან დაორსულებულა და ამის გამო ხვალ დილით თმებით სოფლის ეკლესიის კარზე გააკრავდნენ. შეძ-რწუნებულ დედ-მამას დანა პირს არ უხსნიდა, მარიამს კი ერთი სული ჰქონდა, როდის იხილავდა ნაწნავებით მიბმული გოგოს აცრემლებულ თვალებს. ”ახია, მასზე! აბა, კარგია, მე რომ კიკინებზე მქაჩავს ხოლმე?” _ ნიშნისმოგებით თქვა და მაშინათვე ტუჩებზე დედის მწარე ხელი მოხვდა.

მთელი დღე იყო ეკლესიის კარზე თმებით მილურსმნული საცოდავი გოგო; შემსვლელ-გამომსვლელი სახეში აფურთხებდა და უშვერად ლანძღავდა; განსაკუთრებით გათხოვილი ქალები აქტიურობდნენ.

მხოლოდ მესამე დღეს მიხვდა მარიამი, რომ დედამ სამართლიანად წაუტყლაშუნა.

იმ დილით მდინარემ მისი დის ცხედარი გამორიყა.

გოგოს თავი დაეხრჩო.

მიცვალებული ეკლესიის ეზოში არ დაასაფლავებინეს.

მარიამი გაიზარდა და კაზაკებს სათოფეზეც არ იკარებდა. გადაწყვიტა, მხოლოდ უცხო ტომის კაცს გაჰყოლოდა ცოლად.

დიდხანს მოუწია ლოდინი.

ტყიდან ბრუნდებოდა, როდესაც ყაჩაღები დაესხნენ, თავზე ტომარა ჩამოაცვეს, ნავში ჩააგდეს; კარგახანს იცურეს, ვიდრე ზღვასთან არ აღმოჩნდნენ. მერე უშველებელ გემზე აიყვანეს. იქ რამდენიმე დღე სიბნელეში ჰყავდათ. ერთ დილით კი სახე დაბანეს, გემბანზე სხვა ტყვეებთან ერთად დააყენეს და ოსმალურ ტანსაცმელში გამოწყობილ ვაჭარს აჩვენეს. იმ კაცმა ყაჩაღებს ფული გადაუხადა, მარიამს მიუახლოვდა, ნიკაპი საჩვენებელი თითით ნაზად აუწია და გაუგებარ ენაზე რაღაც თქვა.

ერთ-ერთი ყაჩაღი მარიამს მიუბრუნდა:

- აი, ხომ ხედავ, რა ბედში ჩაგაგდე? ამ თათარმა ბრძანა, ეს გოგო ერთ ძალიან დიდ კაცს მოეწონებაო! იმ დღესაც მოვესწრები, ჩემზე ილოცებ! მადლი არ დამივიწყო, იცოდე!

უცხოტომელზე გათხოვებას კი აპირებდა, მაგრამ სარწმუნოების ღალატი გულში არც გაუვლია. მარიამმა ზუსტად იცოდა, რჯულს არასოდეს გამოიცვლიდა და ქრისტიანად სიკვდილისთვის მოემზადა. ოღონდ სულიწმინდის გმობას ვერ გაბედავდა და თავს არ მოიკლავდა.

ძალიან დიდხანს იცურეს ზღვაში; მარიამს ბევრი სმენოდა ოსმალოთა მოძალადე ბუნების შესახებ;

დღე და ღამე ერთმანეთს ცვლიდა, ცუდის მოლოდინში გაითანგა;

მასთან არავინ მოსულა.

გემი უზარმაზარ ქალაქს მიადგა.

ეს კონსტანტინოპოლი იყო.

შორიდან გამოჩნდა იქაური ეკლესიების სილუეტები; მარიამმა გადაწყვიტა, რომ მოგზაურობა დასრულდა. ამ უმშვენიერესი ტაძრების ქალაქში სიკვდილი მისთვის ბედნიერება იქნებოდა.

ყველა ტყვე ჩაიყვანეს, მხოლოდ მარიამი დატოვეს გემზე.

სამი დღის შემდეგ ახალი მოგზაურობა დაიწყო.

ალექსანდრიაც ძალიან ლამაზი ქალაქი იყო. მერე აქლემზე შესვეს და უდაბნოში ატარეს. მარიამს პირამიდები მეზღაპრეების მოგონილი ეგონა, არადა, მათ სიდიადეს საკუთარი თვალით ხედავდა; ამისთვის ღირდა ამდენი წვალება. აწი სიკვდილი კიდევ უფრო ეადვილებოდა.

დიდ კაიროში ერთ-ერთ საუკეთესო სასახლეში მიიყვანეს; იქ მისთვის გასაგებ ენაზე მოლაპარაკე ქალმა აუხსნა ქცევის წესები და არწმუნებდა, რომ ჯიუტობას აზრი არ ჰქონდა.

- ბედს შეეგუე და ვიდრე ახალგაზრდა ხარ, ცხოვრებით დატკბი. სამშობლოში სიღატაკეში ყოფნა და მთვრალი ქმრის მუშტების ქნევას, აქაურ კაცებთან სიამტკბილობა გერჩიოს! _ დაარიგა გამოცდილმა ადამიანმა.

მარიამი კი მზად იყო ნებისმიერი ძალადობა ღვთის მოვლენილ განსაცდელად მიეღო და უდრტვინველად გადაეტანა; ამიტომ, როდესაც გახადეს, აბანავეს, სურნელოვანი ზეთები წაუცხეს, ხელში წითელი თავშალი მისცეს და ასე დედიშობილა ხალიჩის შუაში დააყენეს, ხმა არ ამოუღია. იდგა და ელოდა, შემდეგ რა მოხდებოდა. წარმოიდგინა, როგორ მოვა მოახლეებით გარშემორტყმული მსუქანი, ღიპიანი კაცი; გასაყიდი ცხენივით გაუსინჯავს კბილებს, პირიდან მყრალ ჰაერს შემოაფრქვევს, აქვე ხალიჩაზე დააგდებს და ყველას თანდასწრებით გააუპატიურებს.

წრიპინახმიანი ყმაწვილი ფეთიანივით შემოვარდა, საქმიანად შეათვალიერა შიშველი მარიამი; მარცხენა ხელი სასირცხვოდან ნაზად მოაშორებინა და წითელი სიფრიფანა თავშალი ახლა ისე დააჭერინა, რომ მხოლოდ ცალი ბარძაყის ნაწილს და მუხლსქვემოთ ფეხს უფარავდა. მერე გვერდზე გადგა, თავის ნახელავს თვალი შეავლო, მოეწონა და მარიამს მარჯვენა ხელისგულიდან ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა.

დარბაზში ახოვანმა მამაკაცმა დინჯად შემოაბიჯა და გაშლილი მხრებით შემოიტანა: სიმამაცე, გულუხვობა, თავაზიანობა, დიდსულოვნება, სიკეთე. მარიამს ჯერ მოეჩვენა, რომ დიდი ხნის უნახავ ადამიანს უყურებდა, მაგრამ მალე მიხვდა: სიმამაცე, გულუხვობა, თავაზიანობა, დიდსულოვნება, სიკეთე _ ადამის მოდგმის ზოგადი თვისებებია და მათი მეშვეობით კონკრეტული ადამიანის გახსენება შეუძლებელია.

მარიამი იდუმალი უცნობის სულს ხედავდა.

როგორც კი ეს გააცნობიერა, გადაწყვიტა, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება _ ვიდრე შეურაცხყოფდნენ, გული გაუსკდა, გარდაიცვალა და ახლა ანგელოზების სამყაროში იმყოფებოდა.

ის კაცი კი ხორციელი აღმოჩნდა, მოულოდნელად შეტრიალდა და დარბაზიდან გავიდა;

მარიამი ამქვეყნიურობას დაუბრუნდა. მან ზუსტად იცოდა, ამიერიდან მხოლოდ იმ მამაკაცის თვალწინ გაშიშვლდებოდა და არ შერცხვებოდა.

ქალი კუთხეში მიყრილი ტანსაცმლისკენ გაიქცა.

***

დილით უთხრეს, რომ ალი ბეი გუშინ გარდაიცვალა.

არ გაკვირვებია. მარიამს ქმრის არაფერი უკვირდა.

მათი უცნაური გაცნობის მეორე დღეს ალი ბეი მოულოდნელად გამოეცხადა და მხოლოდ მაშინ დაინახა მისი: ოვალური სახე, ფართო თვალები, წაბლისფერი თმა.

ეს კაცი ფიზიკურადაც ისეთივე მშვენიერი აღმოჩნდა, როგორიც მისი სული იყო.

მთელი თვე ყოველ საღამოს მოდიოდა და არაბულს ასწავლიდა. ერთ დღეს კი ეგვიპტის მმართველმა საკუთარ მონაქალს ცოლობა სთხოვა.

მარიამმა უარით უპასუხა.

მიზეზი მარტივი იყო. ქალს სახელის და სარწმუნოების გამოცვლა არ შეეძლო.

ალი ბეი ერთი კვირა არ გამოჩენილა. მარიამს მისი ნახვის იმედი გადაეწურა; ცხოვრებამ აზრი დაჰკარგა; უკვე მზად იყო სახელიც შეეცვალა, სარწმუნოებაც და სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთშიც მოხვედრილიყო.

ყველაფერი სხვაგვარად მოხდა.

ალი ბეი ყვავილების უზარმაზარი თაიგულით მობრძანდა და სახელის და სარწმუნოების

გამოცვლა მხოლოდ სხვების საჩვენებლად შესთავაზა. მეორე დღიდან ეგვიპტელებისთვის მარიამი მუსლიმი ქალი ნაფისა გახდა, ხოლო სინამდვილეში არც სახელზე უთქვამს უარი და არც ქრისტეს რჯულზე. უფრო მეტიც, ალი ბეის ქრისტიანული ნათლობის სახელი გაიგო და, განმარტოვდებოდნენ თუ არა, იოსებს ეძახდა.

მალე ულამაზესი ასული შეეძინათ.

ჰაჯიტე ახლა რვა წლის დიდი გოგო იყო; მამის სიკვდილი მწარედ განიცადა. მთელი საღამო ტიროდა და მისავათებულს რამდენიმე წუთის წინ ჩაეძინა.

მარიამი ფეხაკრეფით გავიდა თავის საძინებელში; უკვე საკუთარი გრძნობებისთვის მოიცალა.

ერთხელ, სიტყვამ მოიტანა და. ქმარს უამბო, გატაცების შემდეგ როგორ გაატარა მთელი გზა სიკვდილზე ფიქრში. მაშინ თქვა ალი ბეიმ:

- უკვდავი არავინ შეუქმნია ღმერთს და გარდაცვალების გემოს ყველანი გავიგებთ, სიკვდილი ამქვეყნიურ ყოფაში უკანასკნელად შესაცნობი შეგრძნებაა. მანამდე კი ჩვენი ყოველდღიური საქმეა სიცოცხლე.

”მანამდე კი ჩვენი ყოველდღიური საქმეა სიცოცხლე”. _ გონებაში გაიმეორა მარიამმა, მერე მიწაში მწოლი სუდარაში გახვეული ალი ბეი

წარმოიდგინა, თვალებზე ცრემლი მოადგა, სიმწრის მწარე ნერწყვი გადაყლაპა, ცხვირზე ხელები აიფარა, მეტის მოთმენა ვეღარ შეძლო და ზლუქუნი წასკდა.

ოთახის კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა.

მარიამს იქითკენ არ გაუხედავს.

***

ალი ბეი მარიამის საძინებელთან იდგა და შესვლას ვერ ბედავდა. ცდილობდა, სათქმელისთვის მოეყარა თავი, მაგრამ ვერც ამას ახერხებდა. მდგომარეობა მეტად უჩვეულო იყო. მუდამ მართალი, გამარჯვებული, მომავლის რწმენით აღსავსე, ახლა: მატყუარა, დამარცხებული და ეფემერული იმედის ამარა დარჩენილი კაცი იყო. რაც ყველაზე მთავარია, იგი მარიამს მკვდარი ეგონა.

შეძლებდა კი ქალი ტყუილისა და უნდობლობის პატიებას?

ოთახიდან სლუკუნის ხმა მოესმა. ალი ბეი მიხვდა, კიდევ ცოტაც და სამარცხვინო ამბავი დაემართებოდა; დედკაცივით ცრემლი ერეოდა.

სწრაფი მოძრაობით შეაღო კარი და მეუღლის ოთახში შეაბიჯა.

იქაც ბნელოდა, მაგრამ სარკმლიდან შემოსული მთვარის შუქი საკმარისი აღმოჩნდა სილუეტების დასანახავად. მარიამი საწოლზე იჯდა, სახე ხელებში ჩაერგო და ტიროდა.

- არ შეგეშინდეს. ცოცხალი ვარ, მარიამ. _ ჩვეულებრივად, ემოციების გარეშე წარმოსთქვა ალი ბეიმ.

მარიამი წამოდგა, მიუახლოვდა, თავი მკერდზე მიადო და ხელებით წელზე შემოეხვია. ალი ბეი დამნაშავე ბავშვივით ხელჩამოშვებული იდგა და ჩახუტებას ვერ ბედავდა. რამდენიმე წამი იდგნენ ასე; მერე სიჩუმე მარიამმა დაარღვია:

- არ მეპატიება, იოსებ! შიში მომერია და ვერ ვიგრძენი, რომ ცოცხალი იყავი!

ალი ბეი მიხვდა: ყველაფერი დიდსულოვნად მიუტევეს.

ფრთხილად მოხვია მხრებზე ხელები, იგრძნო, რომ ჯერ მარიამმა დაკარგა ხორციელება და შემდეგ თვითონაც ჰაერივით მსუბუქი გახდა.

სხეულებს დაუბრუნდნენ თუ არა, ალი ბეიმ გაბედა:

- მარიამ, უნდა წავიდე. ჰაჯიტეს ვერ ვნახავ, მკვდართან შეხვედრა შეეშინდება პატარას. ნურაფერს ეტყვი. აუცილებლად დავბრუნდები. ხომ გჯერა? გამარჯვებული დავბრუნდები. ახლა კი საჯინიბოდან ჩემი შავა გამომიყვანე; ქუჩის გადაღმა დაგელოდები. კაცებს სიტყვა მივეცი და უნდა შევასრულო.

ქალი უხმოდ გავიდა ოთახიდან.

***

მარიამი შავ ბედაურს მოაჭენებდა. ალი ბეიმდე ორმოცდაათიოდე ნაბიჯი რჩებოდა, როდესაც ცხენმა პატრონის სუნი იყნოსა. შეჩერდა, უკანა ფეხებზე შედგა და ხმამაღლა დაიჭიხვინა. ალი ბეი აფორიაქდა; გულმა ცუდი უგრძნო. ”ოღონდ ეგ არა!”_ გაიფიქრა და უარესის მოლოდინში ადგილზე გაქვავდა.

მარიამმა აღვირი მოქაჩა; უზანგებზე წამოიმართა, შემდეგ მთელი ტანით დააწვა ცხენს.

პირუტყვი ქალის ნებას დაჰყვა და წინა ფეხებზე დაეშვა.

”ამ ჯადოქარმა მეც სწორედ ასე დამიმორჩილა”. _ გაიფიქრა ალი ბეიმ და მხედართან შესახვედრად გაიქცა.

მარიამის ბოლო სიტყვები იყო:

- იოსებ, ჩვენ უკვე გელოდებით!

***

ინ-სტაკ-სელაჰის ქარვასლის დაცარიელებულ ეზოში ჯიუტად იდგა მონა და საბელით მსუბუქად დატვირთული ორკუზიანი აქლემი ეჭირა.

სოვდაგარი არაბულ ცხენზე ამხედრებული მოიჭრა; ცხოველები გაცვალეს.

- ბედაურს ალი ბეის ქვრივს მიუყვან. _ უთხრა უცნაურმა ვაჭარმა და მონეტა ჩაუმუჭა.

ქარავანს ჩამორჩენილი აქლემი სწრაფი ნაბიჯით გაემართა მოძმეთა დასაწევად. ეგვიპტელების გადასარჩენად დამარცხებული მუსლიმი ალი ბეი თავის ბავშვობის სამშობლოში ქრისტიანთა წმინდა რელიკვიის მოსაპოვებლად ბრუნდებოდა.

ბიჭმა მუშტი გაშალა და ბრჭყვიალა მეტალის ნაჭერს დახედა.

მას ასეთი ფული აქამდე არ ენახა.

1773 წელი

კაირო-ბეთლემი-კონსტანტინოპოლი-

ფოთი-ანაკლია-ზუგდიდი

ხახუ ჩიჩუა, ჰუსეინ აღა,

კაცია დადიანი, სოლომონ მეფე ...

აქლემზე გადაკიდებულ ხურჯინში უამრავი საინტერესო წიგნი იდო. გათენდა თუ არა, ალი ბეი კითხვას შეუდგა.

კაცი, რომელსაც უდაბნოში მოგზაურობის დროს დილიდან ხელში წიგნი უჭირავს, სოვდაგრებისთვის არაბუნებრივი მოვლენა იყო. მათ წრეში მოარული ხმების მიხედვით, ადამიანი ბევრი კითხვის შედეგად რეალურ სამყაროს სწყდება და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გიჟდება.

წინ მიმავლები საგანგებოდ ჩერდებოდნენ, ალი ბეის სიბრალულით ახედ-დახედავდნენ და მის საქციელს ერთმანეთში ჩურჩულით განიხილავდნენ.

ქარავანი მიდიოდა ...

უცნობ მოგზაურზე ჭორაობა მალე ყველას მობეზრდა; ვაჭრებს თავისი ანგარიში ჰქონდათ და მოგება-ზარალზე ფიქრში ატარებდნენ დროს.

ბედუინები მოჩვენებასავით მოულოდნელად გაჩნდნენ და ქარავანს გზა გადაუჭრეს; ჰაერში, ისე რა, ყოველი შემთხვევისთვის, გაისროლეს. სახეზე ეწერათ, ყაჩაღობა მათი ყოველდღიური საქმე იყო, რომელიც ერთგვაროვნების გამო მოყირჭებოდათ კიდეც.

დამფრთხალმა გამცილებელთა რაზმის უფროსმა პირველმა მოიხსნა თოფი და გვერდზე გადააგდო. სხვები ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, როდესაც ზედიზედ ორჯერ იბუთქა და ორი ბედუინი ცალკუზიანი აქლემებიდან მიწაზე პირაღმა დაეცა.

ალი ბეიმ დაცლილი თოფები მოისროლა, ქამრიდან ფრანგული პისტოლეტები ამოიღო და ყიჟინა დასცხო.

ეს გამოწვევის მიღების ნიშანი იყო.

ბრძოლა დაიწყო.

ამგვარ საქციელს თავდამსხმელები ვაჭრების ქარავნისგან არ მოელოდნენ.

თორმეტივე ბედუინის გვამს უდაბნოს ცხელმა ქარმა ქვიშა მიაყარა.

იმ დღიდან წიგნების მკითხველ თანამგზავრს კეთილი ჯინი შეარქვეს და საუკეთესო კერძი ჯერ მას უნდა გაესინჯა.

ალი ბეიმ პატივისცემით ისარგებლა;

სურვილი აისრულა.

ქარავანმა, მისი ხათრით, ბეთლემში შეიარა.

იმ პატარა დასახლებაში ყველაზე მთავარი დიდი ხნის წინ მოხდა და იმ მნიშვნელოვანი მოვლენის კვალი ახლა არაფერს ეტყობოდა.

”ალბათ, მაშინაც ასე იყო”. _ გაიფიქრა ალი ბეიმ.

წიგნებში ძალიან ბევრი საინტერესო რამ ეწერა; დროც სწრაფად გარბოდა.

ალი ბეის კონსტანტინოპოლი კიდევ უფრო დამშვენებული დახვდა.

რუსეთის ფლოტის შიშით: ფოთის, ანაკლიის, სოხუმ კალეს და უფრო ჩრდილოეთით მდებარე პორტას პორტებისკენ _ სამგზავრო გემები ვერ ბედავდნენ გასვლას. ჯერ ბათუმში ჩასვლას და იქ ბედნიერი შემთხვევის ლოდინს სამხედრო ხომალდით გამგზავრება ამჯობინა.

საზღვაო მოხელემ მცირეოდე გასამრჯელოს ფასად აბეზარ ეგვიპტელ სოვდაგარს გაანდო მესამე რანგის სახაზო ხომალდ ”ანკაი ბაჰრის” ზღვაში გასვლის დრო და ბევრად უფრი მეტი თანხის დაცინცვლის შემდეგ იმ გემის ნაცნობ კაპიტანს ჰუსეინ აღას თავის ბიძაშვილად წარუდგინა.

დანარჩენიც ფულის საქმე იყო.

***

ფოთის ციხე შვიდასმეზღვაურიანი ”ანკაი ბაჰრის” გამოჩენას რკინის ზარბაზან ”ინგლისის შაჰიდან” სამი გასროლით მიეგება. საბრძოლო ხომალდმა ხმელეთზე მყოფი იანიჩრების აღტაცება და სიხარული გამოიწვია.

გემბანზე მდგომმა ალი ბეიმ აქაური მთების და ზღვის ჰაერის ნაზავი ღრმად ჩაისუნთქა, მისი სურნელი იგრძნო და მიხვდა, თუ მალე არ დადგამდა მიწაზე ფეხს, გული გაუსკდებოდა.

საღამოს კაპიტანთან ერთად ორნიჩბიანი ნავით მიადგნენ ნაპირს. ჰუსეინ აღას თავისი საქმეები ჰქონდა და მდიდარი თანამგზავრიც გაიყოლა.

ფოთის ციხის უფროსი თავადი ხახუ ჩიჩუა კონსტანტინოპოლიდან ჩამობრძანებულ საპატიო სტუმრებს ნავსადგურში მაღალი რანგის ოთხი იანიჩრის თანხლებით დახვდა და ქალაქის საუკეთესო დუქანში უმასპინძლა;

მოწნულ ფაცხაში სუფრას მიუსხდნენ. ხელის ბიჭმა ღომი გამურული კარდალით მოიტანა და ჩოგნით ტაბლაზე ჩამოარიგა; მეორე მოსამსახურემ თითოეულ ნაჭერს შუაში ღრმული გაუკეთა, შიგ პიტნაშერეული დაფხვნილი ჭყინტი ყველი ჩააზილა; მესამემ მოხარშული ცხვრის ხორცი ფიცრის ლანგრით ჩადგა და ფიალებში დოქიდან წითელი ღვინო ჩამოასხა თუ არა, ალი ბეი ბავშვობაში დაბრუნდა.

თანდათან შეზარხოშდნენ. ჰუსეინ აღამ წალენჯიხური გუდის ყველი მოითხოვა. ალი ბეი გაოცდა, როდესაც ბიჭმა ტიკჭორა მოიტანა და სტუმრებს ღომზე წითელი ფერის ადღვებილი სქელი მასა მოუსხა.

- ჩიზიზი აღა, გასინჯე, მკვდარს აცოცხლებს. _ შესთავაზა ალი ბეის ხახუ ჩიჩუამ.

სტუმარმა დააგემოვნა და პირი დაეწვა:

- ამას, ყველი კი არა, წიწაკა უნდა ერქვას!

- აქაურები ასე ებრძვიან მალარიას. ღვინო მიირთვი, დაგიამებს. _ განაგრძო ალი ბეიზე ზრუნვა ფოთის ციხესიმაგრის უფროსმა.

- მართალია! მაგ საქმეს ღვინო შველის, პატივცემულო ჩიზიზი აღა. _ მასპინძელს გემის კაპიტანი მიეშველა. _ ახლა საიდუმლო სამხედრო საქმეებზე უნდა დავილაპარაკოთ და გთხოვ, ნუ გეწყინება, თუ შენთვის გაუგებარ ენაზე ორიოდე სიტყვას ვეტყვით ერთმანეთს.

- რას ამბობ! დაგტოვებთ, ჩემთვისაც კარგია, სუფთა ჰაერზე გავისეირნებ.

- არ გამოვრიცხავ, თუ შევთანხმდებით, შენც ჩაგრთოთ ამ საქმეში და მინდა, გვერდით მყავდე. თანაც, აქაური წესით, სუფრიდან ადგომა უზრდელობად ითვლება და ვერ გაკადრებ. რას იტყვის ეს ხალხი?!

- გამახსენდა, მეც მსმენია ამის შესახებ. _ ალი ბეიმ სავსე თასი ტუჩებთან მიიტანა და ღვინოს დაეწაფა.

არც ენა აღმოჩნდა უცხო ალი ბეისთვის და არც ის იყო სამხედრო საიდუმლოება, რაც მოისმინა.

ოდიშის თავადი ხახუ ჩიჩუა, ოსმალეთის ფლოტის სახაზო ხომალდის კაპიტანი ჰუსეინ აღა და ოთხი მაღალი რანგის იანიჩარი მეგრულად ალაპარაკდნენ. ბოლო დროს ტყვეებით ვაჭრობა აუკრძალია იმერეთის მეფეს, მისთვის ოდიშის

მთავარ კაცია დადიანსაც აუბამს მხარი და საქმე გართულებულა;

საქონელი გაძვირებულა.

მიუხედავად ამისა, ათ-ათი ნარჩევი გოგო-ბიჭი მაინც შეუგროვებიათ.

ოსმალეთ-რუსეთის ომის გამო სავაჭრო გემების მიმოსვლა ამჟამად შეწყვეტილი იყო და ტყვეების კონსტანტინოპოლში უსაფრთხოდ გადასაყვანად ერთადერთ იმედად სამხედრო ხომალდი ”ანკაი ბაჰრი” რჩებოდა.

ალი ბეის არასოდეს დავიწყებია ცამეტი წლის ასაკში განცდილი ტყვეობის პირველი დღეების ტკივილი. ისიც ხომ კოდორის ნაპირიდან ჯერ აქ, ფოთში, მოიყვანეს და მხოლოდ შემდეგ გაამგზავრეს კონსტანტინოპოლში გემით. ახლა უნდა გადაეწყვიტა, ის ოცი ბავშვი ეხსნა ტყვეობიდან, თუ მშვიდად გაეგრძელებინა თავისი საგანძურისკენ მიმავალი გზა.

ალი ბეიმ რამდენიმე წამში იცოდა, რას გააკეთებდა. ის სწრაფი გადაწყვეტილებების ოსტატი იყო.

- ჰუსეინ აღა! ტაკიმასხარაობას ხომ არ დავიწყებ?! მეგრულ-ლაზური ენა ჩემთვის უცხო არაა. ყველაფერი გავიგე; მითხარი, მე რაში გამოგადგები.

გაოცებულმა ჰუსეინ აღამ პირი დააღო. ხახუ ჩიჩუა და ოთხი იანიჩარიც ყურადღებით ათვალიერებდნენ მდიდარ ეგვიპტელ ვაჭარს. დუმილი კაპიტანმა დაარღვია:

- პატივცემულო ჩიზიზი აღა, ამათ თან ტყვეთა გაყიდვა უნდათ, თან დიდი მოგების მიღება სურთ და თან, რაც მთავარია, ზარალის დასაზღვევად ფულის ნაწილის გირაოში ჩადება ენანებათ; იძახიან, შენი მოცემული თანხით მხოლოდ იმ ვალებს ვისტუმრებთ, რაც გოგო-ბიჭებში გადავიხადეთ და ხელზე არაფერი გვრჩებაო. მოგეხსებნება, ომი მიმდინარეობს, ჩვენი გემი ყირიმისკენ მიემართება: ხვალ რა მოხდება, არავინ იცის. მე რომ ეს ტყვეები დავკარგო, დიდ ზარალს ვნახავ. არ დაგიმალავ, რისკი დიდია, მაგრამ მოგებაც გვარიანი იქნება. თუ შემომიამხანაგდები, ზარალსაც და მოგებასაც გავიყოფთ. _ ისე სხაპასხუპით წააყარა ჰუსეინ აღამ, ეტყობოდა, ამის სათქმელად წინასწარ იყო მომზადებული.

ალი ბეი დადუმდა. შეგნებულად გაიყვანა დრო და დინჯად იკითხა:

- ჩემგან რა თანხაა საჭირო?

- აი ეგ მესმის! თანხის რაოდენობაზე მე და შენ ცალკე მოვილაპარაკოთ. აგერ, გვერდზე გავდგეთ.

***

მაგიდასთან მიბრუნდნენ თუ არა, ერთ-ერთმა იანიჩარმა მოკრძალებულად იკითხა:

- ხუთნი ვართ, კაცზე ათ-ათ ყურუში დაგვიმატეთ. ჩვენ რა დავაშავეთ, მოგება ხომ უნდა დაგვრჩეს?

პასუხად ჰუსეინ აღამ თვალები დაუბრიალა.

***

მეორე დღე თენდებოდა, როდესაც ანაკლიის ციხის პირდაპირ აფრები დაკეცა და ღუზა ჩაუშვა ოსმალეთის საბრძოლო გემმა "ანკაი ბაჰრიმ."

მის გამოჩენას ნაპირზე მყოფნი პომპეზურად არ მისალმებიან. თუ ფოთში ზარბაზანმა სამჯერ იქუხა, აქ სამოცდაექვსქვემეხიანი ხომალდის ეკიპაჟის ყურებამდე თოფის ერთი გასროლის ხმამ ძლივს მოაღწია.

"ომია, დენთს უფრთხილდებიან და სწორად იქცევიან". _ გაიფიქრა ჰუსეინ აღამ და თანაშემწეს უბრძანა:

- სამაშველო ჩაუშვით!

ოთხნიჩბიანი ნავი წყლის ზედაპირზე ატორტმანდა. მეზღვაურებმა თოკის კიბე გადაჰკიდეს და ჩასვლა დაიწყეს.

***

მისი სიდიდის გამო ”ანკაი ბაჰრი” ყურეში საკმაოდ შორს, ღრმა წყალში, იდგა; თანაც დილის ნისლი ჯერ არ გაფანტულიყო და ნაპირიდან ადამიანის მხოლოდ ბუნდოვანი გამოსახულების გარჩევა იყო შესაძლებელი. ნავში გადმოსხმულთა რაოდენობის დადგენა მაინც მოახერხეს და ანაკლიის ციხეში შთამბეჭდავი სამხედრო დესანტის მისაღებად ფაციფუცი დაიწყო.

ოთხ ყარაულს გარეცხილ-გაწკრიალებული იანიჩრების ფორმა ჩააცვეს და საპატიო სტუმრების დასახვედრად ნაპირზე ჩაამწკრივეს.

დილის მშვიდი ზღვის მონარნარე ზედაპირზე ნავი დინჯად მოსრიალებდა. ცოტა ხანში ნაპირზე მყოფებმა თვალებს არ დაუჯერეს და ერთმანეთს გადახედეს; ოთხი ნიჩბოსნის და ერთი სოვდაგრის გარდა, ნავში მხიარული ბავშვები ისხდნენ.

ოცი სული.

ალი ბეიმ ამ ტყვეების კონსტანტინოპოლური ფასი ”ანკაი ბაჰრის” კაპიტან ჰუსეინ აღას გადაუხადა და ახლა კმაყოფილი უახლოვდებოდა ანაკლიის ნაპირს. ბავშვებთან საუბარში გაარკვია, რომ ისინი ოდიშის მთავარ კაცია დადიანის გლეხების შვილები არიან.

ალი ბეის ჯიბეში სარეკომენდაციო წერილი ედო. გარიგებით კმაყოფილი გემის კაპიტანი ანაკლიის ციხის უფროს აბდულაჰ აღა სალიანეჯის სთხოვდა: საპატიო სტუმარი პატივით მიეღო, ბავშვების ზუგდიდში გადაყვანაში დახმარებოდა და თავად სოხუმ კალეში გალერით გაემგზავრებინა.

ნავი ნაპირამდე სამიოდე ნაბიჯში თავთხელში გაჩერდა; ორი მეზღვაური წელამდე წყალში ჩახტა; სოვდაგარი მხრებზე შეისვეს და ხმელეთზე ჩამოსვეს. ალი ბეიმ უკან მიიხედა; ბიჭები უკვე გადმომხტარიყვნენ, ჭყუმპალაობდნენ და გოგონებს აქეზებდნენ. ბავშვებს არ დაელოდა და საპატიო ყარაულისკენ გაემართა.

ლურჯ კაბასა და წითელ შარვალში გამოწყობილ იანიჩრებს მარჯვენა მხარზე ლულამიყრდნობილი თოფები კონდახებით ეჭირათ. ოთხივე გაყურსული იდგა და ზეცაში იყურებოდა.

მასპინძელთაგან დუმილი ციხის შესასვლელიდან გამოვარდნილმა კაცმა დაარღვია; იგი ხელს იქნევდა და მთელი ძალით ყვიროდა:

- აქეთ მობრძანდით, პატივცემულო! აქეთ!

ალი ბეიმ ქვიშიან სანაპიროზე ასიოდე ნაბიჯი გადადგა; ეზოში შესვლამდე მოიხედა. ბავშვები ნაპირზე ერთ ჯგუფად იდგნენ და გემისკენ დაძრულ ნავს ხელს უქნევდნენ.

მოტრიალდა, ჯიბიდან ჰუსეინ აღას წერილი ამოიღო და მის წინ მდგომს მიაწოდა:

- ციხის უფროს აბდულაჰ აღას გადაეცი!

- როგორც მიბრძანებთ, პატივცემულო! _ კონვერტი გამოართვა იმ კაცმა. _ აქეთ მობრძანდით!

ალი ბეიმ ციხის გალავნის თაღქვეშ შეაბიჯა; ორივე მხარეს თითო დარაჯი იდგა, მათ გასცდნენ თუ არა, ზურგიდან ფეხის ხმა მოესმა, შემოტრიალდა და სწორედ იმ წამს მოხვდა საფეთქელთან მუშტი.

***

თავის ტკივილმა გააღვიძა. თვალი გაახილა. პირაღმა იწვა და თვალცრემლიანი ანგელოზების გუნდი ზემოდან დაჰყურებდა.

- გაიღვიძა, კაცია ბატონო, გაიღვიძა! _ იკივლა ერთ-ერთმა მათგანმა.

ალი ბეი ტახტზე წამოჯდა. ანგელოზები მის მიერ გამოსყიდული გოგონები იყვნენ.

შუა ოთახში მაგიდასთან ულვაშებგაწკეპილი თეთჩოხიანი ორი კაცი იჯდა. კარებთან შავჩოხიანი გოლიათი ატუზულიყო. ”ალბათ მცველია”. _ გაიფიქრა ალი ბეიმ. ერთ-ერთი თეთრჩოხიანი წამოდგა და გაღიმებული წამოვიდა:

- უნდა გვაპატიო, ჩიზიზი აღა! უნდა გვაპატიო! ბავშვებმა გვიამბეს შენი ვაჟკაცობის ამბავი. თურმე პატივსაცემი ადამიანი ყოფილხარ, ჩვენ კი ძალიან ცუდად მოგექეცით. _ მიუახლოვდა და თავი დაუკრა. _ ოდიშის მთავარი კაცია დადიანი.

ალი ბეის გონება სხარტად ამუშავდა. ახლა მისთვის გასაგები გახდა, რატომ დახვდნენ საბრძოლო პატივის გარეშე ყურეში ”ანკაი ბაჰრის” შემოსვლას; რატომ იქცეოდნენ არაბუნებრივად და ხმას არ იღებდნენ საპატიო ყარაულში მდგომი იანიჩრები; რატომ მოხვდა მუტრუკის მუშტი. ესე იგი, ციხის უფროსი ოსმალეთის ქვეშევრდომი აბდულაჰ აღა სალიანეჯი კი არ იყო, არამედ ანაკლიას ოდიშელები დაპატრონებოდნენ და მათი მთავარი ახლა მის წინ იდგა.

ალი ბეი თავისი მტრების მტრებს ტყვედ ჩაუვარდა.

ტახტიდან წამოდგა. მერე უცებ ცალ მუხლზე ჩაიკეცა, მარჯვენა ხელი გულზე დაიდო და თავი დახარა.

მისალმების ეს წესი დედამ ასწავლა ბავშვობაში.

კაცია დადიანმა დაჩოქილ სტუმარს მხრებზე მოჰკიდა ხელი და წამოაყენა. ერთმანეთს თვალებში ჩახედეს.

- ეგვიპტის ბეგთაბეგი. _ ჩუმად თქვა ალი ბეიმ.

- რა ხელი აქვს იმ შეჩვენებულ კოჩიას? რა დაარტყა, ბიჭო, ასეთი? _ გაისმა მაგიდიდან.

ალი ბეიმ იმ კაცს შეხედა. მეორე მასპინძელი ფეხზე იდგა და გულიანად იცინოდა:

- ჩემო კაცია! ახლა მე რომ ვუთხრა იმერეთის მეფე სოლომონი ვარო, ნეტავი თვითონ ოსმალეთის სულთანი ხომ არ ეგონება თავი?! ეხ, კოჩია, კოჩია, გაგიხმა ეგ მარჯვენა! შეიძლება კაცის ასე გამეტება?!

- ბოდიშს გიხდი, მეფეო! _ მიმართა იმ კაცს დადიანმა და ალი ბეის მოუბრუნდა. _ ერთი წუთით, ჩიზიზი აღა! შენზე ბავშვებმა თქვეს, ლაზი სოვდაგარიაო, მაგრამ ლაზები ქართულად ამ კილოზე არ მეტყველებენ. სინამდვილეში ვინ ხარ, უცნობო?

- იოსები, დრანდის ტაძრის მღვდლის დავითის და მისი მეუღლის ასმას შვილი, შემდეგში ეგვიპტის ბეგთაბეგი ალი ბეი ალ-ქაბირი.

***

ოთხი დღის შემდეგ ნასადილევს ზუგდიდში დადიანების სასახლეში ანაკლიის ციხის მცველი გაოფლილი ცხენით მიიჭრა და კაცია დადიანს კარგი ამბავი მიუტანა.

- კაცია ბატონო! მისულა ჩვენი ნიშანი ლევანტი შერვაშიძემდე! აყუდან გამოგზავნილი გალერა ყურეში შემოვიდა.

სამიოდე საათში ალი ბეი გემბანზე იდგა და სოხუმ კალესკენ ანუ, როგორც ოდიშში ამბობდნენ, აყუს ციხისკენ მიემგზავრებოდა.

მალე დაღამდა; ნაპირზე რამის გარჩევა შეუძლებელი გახდა.

ალი ბეიმ თვალები მილულა.

ნიჩბების რიტმული ჭრიალი ოცნების ასრულებას აახლოებდა.

სულ ცოტაც და ალი ბეი სოხუმ კალედან ჯერ მამასთან შეივლიდა დრანდის ტაძრის ეზოში და მერე ორივენი კოდორს გადაღმა ბაბუის ფიცრულ სალოცავში წავიდოდნენ.

ასე ფიქრობდა კაცი ...

1773 წელი

შუა სოფელი

(ოსმალეთის საქვეშევრდომო)

ძმა ...

მზე ზენიტს უახლოვდებოდა, უკვე აუტანლად ცხელოდა. წაბლისფერ ბედაურზე ამხედრებული ალი ბეი გზაჯვარედინს მიუახლოვდა.

მარცხნივ გადაუხვია.

აღმართი დაიწყო. დრანდის ტაძრამდე სულ ცოტა მანძილი რჩებოდა გასავლელი. საურმე გზის გასწვრივ ეკლის ღობეები მოუვლელობით ისე გაზრდილიყო და გახშირებულიყო, რომ მათ მიღმა არაფერი ჩანდა. ლევანტი შერვაშიძემ გააფრთხილა, იქაურობა შეიძლება ვერც იცნო, ისეა გაუკაცრიელებულიო; ნანახი კი ბევრად უარესი

გამოდგა, ვიდრე წარმოედგინა და ახლა უფრო ცუდისთვის მოემზადა.

მთავარ გზას ათი წუთის სავალზე გამოსცდა,

აქ ადამიანი არ ჭაჭანებდა.

ჯერ გუმბათზე აღმართული ჯვარი დაინახა. მერე ეკალბარდებით დაფარული ტაძრის გალავნის ნარჩენებს გაუყვა და იქ, სადაც ჭიშკარი ეგულებოდა, სამ ახალგაზრდა მურყანს გაეშალა ტოტები. ირგვლივ გაუტკეპნავი ბალახი ბიბინებდა. გული აუჩქარდა. აღვირი მოქაჩა, გაჩერებული ცხენიდან ჩამოხტა; უნაგირზე ჩამოკიდებული თოკო მოხსნა, ერთი ბოლო ცხენს კისერზე შემოახვია, მეორე კი ხეზე განასკვა.

საგანგებოდ მოზომა და ტაძრის ეზოში მარჯვენა ფეხით შეაბიჯა; ბავშვობაშიც ასე აკეთებდა,

თავის აწევა და მარჯვნივ, საცხოვრებელი სახლისკენ გახედვა უკვე არ უნდოდა.

მაინც გაბედა.

სახურავისა და კარ-ფანჯრების გარეშე დარჩენილი ჩამოშლილი კედლების შიგნით მაყვლის ბუჩქნარი ხარობდა.

ახლა მარცხნივ გაიხედა. კარები არც ტაძარს ჰქონდა. სწრაფი ნაბიჯით იქითკენ გაემართა. შევიდა თუ არა, თავი ზევით ასწია.

გუმბათის თაღოვანი სარკმლებიდან ჩამოსულ წვიმას თავისი ცუდი საქმე გაეკეთებინა.

კედლებზე შემორჩენილ ფრესკების ფრაგმენტებს თანდათან ქვევით ჩამოყვა. ალი ბეიმ თვალებს არ დაუჯერა. ადამიანის ხელის წვდომის სიმაღლეზე ყველაფერი მოვლილ-გაწკრიალებული იყო.

სულში იმედის ნაპერწკალი გაკრთა.

ჩრდილოეთი კარისკენ წავიდა. აქედან ბილიკი ტაძრისა და მდინარე კოდორის დამაკავშირებელ საიდუმლო გვირაბში ჩასასვლელისკენ მიდიოდა; მიწისქვეშეთში მამათა სენაკებიც იყო.

სრულ სიჩუმეში ბზუილი გაისმა. ალი ბეიმ მწერს ხელი აუქნია.

გალავნის ძირას მიყუდებული გამხმარი ტოტების წნული შეირხა, გვერდზე გაიწია და გვირაბიდან გალეული, მოკუზული, ჭაღარაწვერიანი მოხუცი ამოლასლასდა.

მას თეთრი კვართი ემოსა; გულზე დიდი წითელი ხის ჯვარი ეკიდა.

იგი ალი ბეის მამა არ იყო.

- ქრისტიანი ხარ თუ ურჯულო? _ იკითხა უცნობმა.

- გამარჯობა, მოხუცო! ამ ტაძარში მომნათლეს; მერე ტყვეობაში მუჰამედის რჯული ვაღიარე. ახლა კი, მართალი გითხრა, თავად არ ვიცი, ვინ ვარ.

- გაგიმარჯოს, შვილო! ფარას აცდენილი ცხვარი, გინდ მგლების ხროვაში გაერიოს, მაინც ცხვარია.

- ნუთუ ასე მარტივადაა საქმე?

- სად ჰყავს ეკლესიას დასაკარგი შვილები?! ვერ ხედავ, რა დღეში ჩავვარდით? ტაძრის გარშემო მცხოვრებ ქრისტიანებს დაერივნენ უწმინდურები; ბევრი დახოცეს, ვინც ცოცხალი გადარჩა და ჯანი შესწევდა მონებად წაასხეს. ახლომახლო სოფლებში თითო-ოროლა მართლმორწმუნე ოჯახი შემორჩა, მაგრამ ვაი იმათ ყოფას.

- ნუთუ ოსმალომ ჩაიდინა ეს ცუდი საქმე? ვერ დავიჯერებ! ისლამი სხვა რწმენის ხალხს ხმლით არ ებრძვის.

- ომი იყო. ომში კი ჯარისკაცები სულის კანონებს არ იცავენ.

- გამოდის რომ, ომით ყველაფრის გამართლება შეიძლება.

- ეგრე გამოდის, შვილო. საკმაოდ დიდხანს ვიცოცხლე ამ ქვეყანაზე. ბევრი რამ ვისწავლე. შორი

გზიდან ომსა და მშვიდობაზე ჩემთან სასაუბროდ არ მოხვიდოდი. გატყობ, მთავარი სათქმელის გეშინია. გაბედე; გიპასუხებ. სიმართლე, რაც არ უნდა მწარე იყოს, ყოველთვის ჯობს უმეცრებას.

- მამა ცხოვრობდა აქ, მღვდელი იყო. მამა დავითი.

მოხუცმა თვალები შეანათა:

- გამოდის, დავითის და ასმას შვილი იოსები ხარ. ხომ სწორად მახსოვს შენი სახელი? ვიცოდი, დაბრუნდებოდი.

- კი, ნათლობის სახელია იოსები. ესე იგი, ჩემს მშობლებს იცნობდი, მოხუცო?

- ასმას _ არა. აი დავითი კი შარშანწინ დავკრძალე ტაძრის ეზოში, აგერ კარებთან. პატარა ბორცვი ჯერ კიდევ ეტყობა იმ ადგილს. წამო, ახლოს მივიდეთ. შვილს უხდება მშობლის საფლავთან დგომა. _ მოხუცმა ხელი ჩასჭიდა ალი ბეის და წინ გაუძღვა.

- რა მოუვიდა?

- ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ ომახიანად იყო. რაც ფული ჩამოიტანა, ტაძრის შეკეთებას მოახმარა. მერე ჩვენებურები ოსმალოებს აუჯანყდნენ. ისინი კი დიდი ჯარით მოვიდნენ და აქაურობა ააოხრეს. მე და დავითი მთელი დღე გვერდიგვერდ გაუნძრევლად ვიდექით და ყველაფერს ვუყურეთ. საღამოს ჯარისკაცები წავიდნენ. მამა დავითმა

მკითხა, ეკლესიის მრბეველთა შორის რამდენიმე ჩვენებური ვნახე და ხომ არ მომეჩვენაო? შერვაშიძეების და მარშანიების კაცები მეც შევამჩნიე-მეთქი, ვუპასუხე. თუ ჩვენი ხალხი უკვე ქრისტიანულ სიწმინდეებს ანგრევს, ნამდვილად დავღუპულვართო, მშვიდად თქვა და მუცელზე მოიკიდა ხელი. ამ კუჭის ტკივილმა, ხომ დამღალაო და ჩაიმუხლა. რამდენიმე წამში კი აღარ იყო ადამიანი. უხმოდ ჩააბარა სული უფალს. გვამი სახეზე რომ გაშავდა, მივხვდი, გული გასკდომია. აი, მისი საფლავიც; აქ მარხია.

ალი ბეი მუხლებზე დაეცა.

მოხუცმა მხარზე დაადო ხელი.

რამდენიმე წუთში ალი ბეი წამოდგა. არ ისურვა ცრემლიანი თვალები უცხო კაცისთვის ეჩვენებინა და ენერგიული ნაბიჯებით ეზოს უკანა მხარისკენ გაემართა.

იქ, თავდაღმართში ეგულებოდა უმოკლესი ბილიკი, რომლითაც ბავშვობაში კოდორზე ჩარბოდა. ახლა ცივ წყალში გაგრილება სხეულსაც მოუხდებოდა და სულსაც.

გალავნის ნანგრევებს გასცდა, შეჩერდა და მდინარისკენ ჩაიხედა.

ქვემოთ, ბობოქარი კოდორის ნაცვლად, ერთი ციცქნა ღელე დაინახა.

ბავშვობაში შექმნილი წარმოდგენები: მდინარეების, ხეების, შენობების შესახებ _ დიდობაში მათი ნახვისას გაკვირვებას იწვევს. ის, რაც უშველებელი გეგონა, სინამდვილეში ერთი ციცქნა აღმოჩნდება; ამის შესახებ ალი ბეის არაერთხელ სმენია, მაგრამ თვითონ შემოწმების შესაძლებლობა მხოლოდ ახლა მიეცა.

მაინც დაუჯერებელი იყო ამხელა ცთომილება.

მზერა რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარე ბაბუამისის ბაღის ბოლოში მდგარ ტოტებგაშლილ მუხას მისწვდა; იგი ამაყად იდგა, ფოთლებს ძველებურად ტალღებად აშრიალებდა, ხოლო მის ძირას, იქ, სადაც ხეხილის ბაღი და ხავსმოდებული ყავრით გადახურული ფიცრული უნდა ყოფილიყო, ფართო მდინარე სწრაფად მიედინებოდა.

კოდორს კალაპოტი შეუცვლია.

ალი ბეის სამშობლოში არც მამა დახვდა, არც ბაბუამისის ბაღი, არც საიდუმლო სალოცავი და, რა თქმა უნდა, არც იმ ფიცრულში დაფლული რელიკვია.

ზურგზე ხელის შეხება იგრძნო, შემოტრიალდა; თეთრკვართიანი მოხუცი იდგა, გულზე დიდი წითელი ჯვარი ეკიდა და სადღაც შორს იყურებოდა. ალი ბეიმ წარმოიდგინა, რა გაჭირვებით თხრიდა ეს უსუსური არსება მამამისის

საფლავს; მიხვდა, რომ თვითონ უმადური ადამიანია; ამ კაცისთვის ბოდიშის მოხდა და მადლობის გადახდა მოუნდა. წამით დაფიქრდა, ახლა კიდევ უფრო შერცხვა.

- მაპატიე, ჩემო ბატონო. ცუდად მოვიქეცი, სახელიც კი არ გკითხე,

- შოთა მქვია, ძმა შოთა!

1808 წელი

სოხუმ კალე

(ოსმალეთის საქვეშევრდომო)

ქელეშ ბეი, სალირუფუ ანჩაბაძე, ასლან ბეი, ურუს ლაკობა, რუსტამ ხანუმი...

მარშანიებთან ქეიფი გვიან დამთავრდა.

ორი ცხენოსანი ზღვის ნაპირს დინჯად მიუყვებოდა. ერთი მათგანი აფხაზეთის მთავარი ქელეშ-აჰმად ბეი შერვაშიძე იყო, მეორე კი თავადი სალირუფუ ანჩაბაძე.

ყურეში ღუზაზე მდგარ გალერის ანძის კენწეროში ლამპა კრთოდა.

მთვარის მეოთხედი სოხუმ კალესთვის სხივებს არ იშურებდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გამნათებელი იყო.

- შენ პატარა ხარ, სალირუფუ, არ გემახსოვრება. თავის დროზე აქ მხოლოდ ციხე იდგა, ახლა კი,

გახედე, მთელი ქალაქია. იმ დღეს ვიკითხე, ექვსი ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს თურმე.

- აბა, ქელეშ ბეი ბატონო, ხუმრობა საქმეა ექვსი ათასი ადამიანი?! _ ლუღლუღით დაუკრა კვერი მთვრალმა თანამგზავრმა.

- რა არის, სალირუფუ, ექვსი ათასი?! ამაზე ორჯერ მეტი მარტო ბრმა ცხოვრობს დიდ კაიროში.

- მართალია, რა არის ექვსი ათასი ... რაო, რა ბრძანე, ქელეშ ბეი ბატონო? ორჯერ მეტი ბრმა ანუ რამდენი გამოდის? თორმეტი ათასი? _ ორიოდე წამით გამოფხიზლდა ანჩაბაძე.

- უფრო მეტი, თოთხმეტი ათასი ბრმა ცხოვრობდა დიდი კაიროს მურისტანის ჯამეში. მაგრამ ეს როდის იყო?! მას შემდეგ წლები გავიდა. ეგ ამბავი ეგვიპტის მმართველმა ალი ბეი ალ-ქაბირმა მიამბო და მეც შენსავით გამიკვირდა. ჩვენებური კაცი იყო; ცხრამეტი წლის ვიყავი, სულთნის კარზე გავიცანი კონსტანტინოპოლში. მერე პორტას განუდგა, რუსებს დაუკავშირდა და აეწეწა ცხოვრება. მოკლესო, თქვეს; შვილივით გაზრდილმა აბუდაჰაბმა გამოასალმაო სიცოცხლეს, მაგრამ არ გამოდგა მართალი. ბიძაჩემმა ლევანტიმ მითხრა, ალი ბეი სამშობლოში დაბრუნდა, დრანდის ტაძარში ღმერთი იხილა და თეთრმოსასხამიანი სალოსი ბერი გახდაო. ვეძებე, მისი კვალი ბევრგან დამხვდა, თვითონ კი ვერ ვიპოვე. როდესაც

ლევანტი ბიძიამ ჩემი და ლეიბას ვაჟი საფარი ნახა, გამოხოხებული ალი ბეიაო, _ თქვა, _ ესეც დიდი კაცი გამოვაო. დიდი კაცობის რა მოგახსენო, სახელი ალი ბეი კი დღემდე შერჩა საფარს. ნეტავი, შენ რატომ გიყვები ამ ამბავს?! აბა, ჰე! ახლა ამაზე დამიქნიე თავი!

- მართალი ბრძანდები, ქელეშ ბეი ბატონო!

- რაში ვარ მართალი? წადი, კაცო, დამანებე თავი! წინ წადი, მარტო მინდა დარჩენა.

- როგორც იტყვი, ქელეშ ბეი ბატონო!

- მერე, დროზე, მოსცხე ცხენს მათრახი! ახლა მართლა არ გამაბრაზო! _ ქელეშ ბეიმ აღვირი მოქაჩა. _ ბრრ, ბრრ-მეთქი.

აფხაზეთის მთავრის ბედაური გაჩერდა, თავად სალირუფუ ანჩაბაძის ცხენმა კი პატრონივით თავიჩაქინდრულმა გააგრძელა გზა.

რას იფიქრებდა ზღვის ნაპირზე მარტო დარჩენილი ქელეშ-აჰმად ბეი შერვაშიძე, რომ რამდენიმე წუთში საშინელი ტრაგედიის მონაწილე გახდებოდა;

ის ღამე 1808 წლის ორი მაისის იყო _ მისი უკანასკნელი ღამე.

”არაფერი ყოფილა სამოცდაერთი წელი. გული პატარა ბიჭის მაქვს, ჯანიც მერჩის, მაგრამ თურმე

ბებერი ვარ ...” _ ვინ იცის, რამდენი ადამიანის ნაფიქრალს ფიქრობდა სახლისკენ და, თურმე, სიკვდილთან შესახვედრად მიმავალი ქელეშ-აჰმად ბეი?!

***

საფარ ალი ბეიმ იცოდა, ბრწყინვალე პორტა არ მოასვენებდა მამამის ქელეშ-აჰმად ბეის, არ აპატიებდა ღალატს, მაგრამ ასეთ შურისძიებას რას წარმოიდგენდა?!

ფანჯარაში გაიხედა; ცუდი ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდება და ეზოში უკვე იკრიბებოდნენ: თოფებით, პისტოლეტებით, წალდებით, ხმლებით, ნაჯახებით, ფიწლებით _ შეიარაღებული ადამიანები.

ახლა ამათ სწყუროდათ სისხლი.

ალი ბეი მაგიდასთან მიბრუნდა და დაწყებული საქმე გააგრძელა; რუს გენერალ რიკგოფთან მიწერილი უსტარი ხმამაღლა გადაიკითხა:

”გიგზავნით ამ წერილს, რომელსაც თქვენ მიიღებთ. ასლან ბეგმა რამდენიმე სოხუმელთან ერთად მოკლა მამაჩემი ქელეშ ბეი. თქვენთვის ცნობილია,

რომ გარდაცვლილმა ქელეშ ბეიმ სიცოცხლეში გადმოგცათ და ახლა, მისი სიკვდილის შემდეგ, თუ თქვენი სურვილი იქნება, გაძლევთ ამ მიწას, ოღონდ სასწრაფოდ ვიძიო შური ხსენებულ ასლან ბეგზე. მრავალი სოხუმელი თავადი და აზნაური ჩემს მხარესაა." _ დაასრულა და ბეჭედი დაარტყა. კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი. არ მოეწონა; მიაწერა:

"P.S. მოწყალეო, მამაო ჩემო, გენერალმა ასლან ბეგმა სოხუმელებთან და ბეჟან შერვაშიძესთან ერთად მოკლეს ქელეშ ბეი და ისინი შეთქმულები არიან. ამჟამად სოხუმის ციხეს და მთელს სამფლობელოს გადმოგცემთ თქვენ, ოღონდ ასლან ბეგი დაისაჯოს."

წერილი გასაშრობად გვერდზე გადადო და ახალი ფურცელი აიღო;

-*"მოწყალეო, დედოფალო ოდიშისა ნინო ..."* _ თავისთვის ჩურჩულებდა და თან წერდა ალი ბეი.

***

სალირუფუ ანჩაბაძეს ცხენის ფრუტუნზე გამოეღვიძა; თავი ასწია; ქელეშ ბეის ეზოს ჭიშკრამდე მოუღწევია.

- ურუს, ურუს ლაკობა! გახსენი კარები, ჩვენ მოვედით! _ ხმამაღლა დაიძახა. _ გვერდზე გაიხედა, მთავარი არ ჩანდა. გაახსენდა, ქელეშ ბეი ზღვის ნაპირზე დარჩა. კიდევ ერთხელ გასძახა კარისკაცს: _ ურუს! გამოდი! მე მოვედი!

სახლიდან ყმამ გამოყო თავი, ეზო გამოირბინა, ჭიშკარი გააღო, იქვე მდგარი ჯორკო აიტაცა და მხედარს ცხენის გვერდზე დაუდგა.

- ჩამობრძანდით, ბატონო!

სალირუფუმ მარჯვენა ფეხი ბედაურს ზურგზე გადააატარა, მარცხენა უზანგიდან გაითავისუფლა და ჯორკოზე წამოდგა; შებარბაცდა; ყმამ ხელი მიაშველა.

- ჰაიტ, შე მამაძაღლო! რა მჭირს შენი დასახმარებელი?! _ მიწაზე ჩამოხტა სალირუფუ.

ყმა მხარში ამოუდგა და ბარბაცით წავიდნენ სახლისკენ. გვერდზე პატარა ბიჭმა ჩაუქროლათ.

”ეს ალბათ ცხენს მიხედავს”. _ გაიფიქრა თავადმა.

სალირუფუ ანჩაბაძე დარბაზის ბოლოში მდგარ ტახტზე გაიშხლართა;

ყმამ ჩექმების ქვეშ ხბოს ტყავი შეუცურა.

***

ქელეშ ბეი სახლს უახლოვდებოდა, როდესაც სოხუმის ციხის კოშკზე მოლამ იკივლა. უკან მიიხედა; ცაზე ალიონის თეთრი ზოლი გამოჩნდა.

”ფაჯრის დროც მოსულა”. _ გაიფიქრა და იმავე წამს მისკენ სირბილით მომავალი კარისკაცი დაინახა. ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი ურუს ლაკობას გადაუგდო და ეზოში ფეხით შევიდა. სახლის კარი ღია იყო, ჭრაქით განათებული დარბაზის ზღურბლზე გადააბიჯა თუ არა, ხვრინვა შემოესმა. ორიოდე ნაბიჯიც გადადგა; მოულოდნელად მარჯვნივ მდებარე ოთახის კარი გაიღო და იქიდან ოთხი კაცი შემოვარდა; პირსახე აკრული ჰქონდათ, ხელში კი პისტოლეტები ეჭირათ.

- ისაა, ესროლეთ! _ გაისმა ნაცნობი ხმა.

ოთხი დამბაჩა ერთდროულად გავარდა.

***

სალირუფუ ანჩაბაძე გიჟივით წამოხტა ტახტიდან.

- ხმა, წკრუნი, დაჯექი და ჩუმად იყავი, თორემ მოვიდა ცხელი ტყვია შუბლში. _ ეს ქელეშ ბეის ყმის ურუს ლაკობას ხმა იყო.

რაც შემდეგ ნახა, მხოლოდ ღამის კოშმარში შეიძლება მომხდარიყო.

სალირუფუმ სცადა სიზმრის ტყვეობიდან თავის დაძვრენა, მაგარამ არაფერი გამოუვიდა. ხელ-ფეხი არ ემორჩილებოდა. დანებდა და ცივოფლდასხული, გაღვიძების ცრუ იმედის ამარა, მოთმინებით ადევნებდა მოვლენებს გაშეშებულ თვალებს.

აფხაზეთის მთავარი ქელეშ ბეი შუა დარბაზში იატაკზე ეგდო და სისხლისგან იცლებოდა. თავზე ოთხი კაცი ადგა; ისინი მონდომებით უკირკიტებდნენ პისტოლეტებს.

- ვინ ხართ და რა გინდათ? _ გაისმა ქელეშ ბეის ხმა, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა რიხი.

თავდამსხმელები დუმდნენ, დამბაჩების ლულებში დენთი და კარტეჩი უკვე ჩაეყარათ და ახლა მუყაოს ნაფლეთებს ტენიდნენ.

პასუხი გვერდითა ოთახიდან გაისმა.

- მოძულებული შვილი ვარ; შენი სიკვდილი მინდა, ალაჰის მოღალატევ! ვიდრე ჯოჯოხეთში გაემგზავრები, მემკვიდრედ უნდა გამომაცხადო და

ამ ქაღალდს მოაწერო ხელი! _ კარებში წითელ შარვალსა და ლურჯ კაბაში ჩაცმულმა მამაკაცმა შემოაბიჯა; ქამარზე ოსმალური ხმალი ეკიდა. მარჯვენა ხელში ფრანგული პისტოლეტი, ხოლო მარცხენაში ფურცელი ეჭირა.

”ასლან ბეი, ქელეშ ბეის შვილი”. _ გაუელვა სალირუფუ ანჩაბაძეს.

- ეს რა ჩაიდინე, სიკვდილი მრცხვენია. რა პირით მივიდე წინაპრებთან? როგორ ვუთხრა, თქვენთან საკუთარმა შვილმა გამომისტუმრაო? ან შენ როგორ აპირებ ცხოვრებას? როგორ ჩახედავ საკუთარ ძმებს თვალებში?

- რომელ ძმებს? ამათ? _ საფარ ბეიმ ღია კარისკენ გაიხედა და გასძახა. _ გამოიყვანეთ, უნდა ვანახო, როგორ შევხედავ მაგათ თვალებში.

დარბაზში ზურგსუკან ხელებგაკოჭილი ბათალ ბეი შემოვიდა, შემდეგ უმცროსი სულეიმანი გამოჩნდა; ბოლოს საკირ ბეის შვილი ციცქნა რუსტამ ხანუმი შემოცუნცულდა:

- ბაბუ, ბაბუ! ნახე, ბიძია საფარმა გემრიელი ლახათლუხუმი მომიტანა!

სალირუფუს სისხლი გაეყინა. ”ჰე, ქელეშ ბეი, მოუწერე ხელი, ნუ მაყურებინებ ამ ბავშვების ტანჯვას. ეშმაკს წაუღია ყველა ტახტი და

თანამდებობა”. _ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ შეძლო.

მეხის გავარდნასავით გაისმა ქელეშ ბეის სიტყვები:

- ყველამ მოისმინეთ და გაიგონეთ: ჩემს მემკვიდრედ ბათალ ბეის ვაცხადებ! რამდენიმე წუთში ის გახდება თქვენი მთავარი და მბრძანებელი.

ასლან ბეის დამბაჩა გავარდა; წამის წინ მემკვიდრედ გამოცხადებული მისი ძმა ბათალ ბეი ჩაიკეცა.

- მოუწერე ხელი, კაცი არა ხარ, ქელეშ ბეი ბატონო! _ იღრიალა სალირუფუ ანჩაბაძემ და თვითონვე გაუკვირდა თავისი ხმის გაგონება. რას იფიქრებდა, რომ ეს მის მიერ წარმოთქმული ბოლო სიტყვები იყო.

ასლან ბეიმ ოსმალური ხმალი ქარქაშიდან ამოაცურა, ქელეშ ბეის მიეჭრა და მოუქნია.

სალირუფუს არ დაუთვლია, რამდენ ნაკუწად აჩეხა შვილმა მამა. იატაკზე გვამის ნაცვლად ხორცის მასა იყო, როდესაც დორბლმორეული ასლან ბეი გაჩერდა; თავის ნახელავს დახედა, დააფურთხა და გასასვლელისკენ დაიძრა. დაჭრილ ბათალ ბეის გადააბიჯა, უმცროს ძმას სულეიმანს და პატარა ძმისშვილ რუსტამ ხანუმს გვერდზე ჩაუარა. მერე შემოტრიალდა; სისხლიანი ხმლის პირველი

მოქნევით სულეიმანს გააგდებინა თავი, მეორედ აღმართა იატაგანი და ამჯერად რუსტამ ხანუმი გააპო შუაზე.

- მმმ-მმმ. _ გაისმა დარბაზის ბოლოში.

სალირუფუ ანჩაბაძე დამუნჯდა.

1808 წელი

სამეგრელო

(რუსეთის საქვეშევრდომო)

ნინო ბაგრატიონი-დადიანისა,

ალი ბეი გეორგი შერვაშიძე ...

სოხუმ კალეში დატრიალებული ტრაგედია საქართველოს უკანასკნელი მეფის ქალიშვილს, სამეგრელოს დედოფალ ნინო ბაგრატიონი-დადიანისას თავისი საქმის სასიკეთოდ უნდა გამოეყენებინა. იგი ზუგდიდში დადიანების სასახლის სამუშაო ოთახში სეკრეტერთან იჯდა, პენსნე მარცხენა ხელით მოემარჯვებინა და გაშლილ ფურცელს კითხულობდა.

”რა უცნაურია. _ გაიფიქრა დედოფალმა. _ შესახედავად ალი ბეი და ქელეშ ბეი ერთმანეთისგან ისე განსხვავდებიან, რომ ვერავინ მიხვდება მათ მამაშვილობას, ხოლო ხმა და ხელწერა ერთი კაცის აქვთ.”

სეკრეტერის უჯრა გამოსწია, ფურცლებში კარგა ხან იქექა და ქელეშ ბეის მიერ ორი წლის წინ გამოგზავნილი უსტარი იპოვა; თვალი გადაავლო:

”ესე მტკიცე ხელის-წერილი მოგართვი თქვენ, ბატონს საქართველოს მეფის ასულს დედოფალს ნინოს და თქვენს ძეს დადიანს ლევანს, მე შერვაშიძე ქელეშ-აჰმად-ბეგმან, _ ასე რომ თქვენსა და ჩვენს შუა ცუდის კაცის ენით გულ-ძვირობა მოხდა და შეგულძვირებული ვიყავით და ისევ გარიგება ვინებეთ, ღენერალ-მაიორ რიქხოფისა და უფლის პოლკოვნიკის ტარასოვის შუამავლობით გავ-რიგდით, ასე რომ, თქვენ თუ ჩვენს დასამ-დაბლებელს საქმეშიდ არ შეხვიდეთ, ჩვენი შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელს საქმეშიდ არ შევიდე და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე. არის ამის მოწმე ღენერალ-მაიორი რიქხოფი, პოლკოვნიკი ტარასოვი, თავადი პრაპორჩიკი ადილ-ბეგ. თუ ამ წერილზედ გარდავხდე და გავმტყუნდე, ღენერალ-მაიორმან რიქხოფმა მო-იკითხოს როგორც რიგი არის და იმისი პასუხის გამცემი მე ვიყო. _ მაისის კ დღესა ჩყვ წელსა. _ ციხესა ანაკლიასა.”

”თელავსა და თბილისში შეშურდებოდათ ასეთი ქართული”. _ გაიფიქრა სამეგრელოს დედოფალმა, ასულმა საქართველოს უკანასკნელი მეფისა გიორგი მეთორმეტესი.

მისმა მამამ და პაპამ ქართლ-კახეთის ბედი განსაზღვრეს, ახლა ეს ქალბატონი და ალი ბეი

სწყვეტდნენ ოდიშის და აფხაზეთის მომავალს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ეგონათ ასე, თორემ ნინო ბაგრატიონი-დადიანისას და ალი ბეი გეორგი შერვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა რუსეთ-თურქეთის საბრძოლო დაპირისპირებაში გამარჯვებულ მხარეს მხოლოდ დიპლომატიური ფორმალობისა და დამარცხებული პორტას გულის დასამშვიდებლად სჭირდებოდა. ოსმალოები თავისი მოსახლეობის წინაშე თავს გაიმართლებდნენ _ ეს ვილაიეთები ქრისტიანული ყოფილა და ამიტომ დავთმეთო.

ზრუნავდნენ რუსები დამარცხებულ მტერზე, ნინა გეორგევნამ და გეორგი შერვაშიძე ალი ბეიმ კი არა უწყოდნენ რასა იქმნდნენ.

სამეგრელოს დედოფალი ნინო ბაგრატიონი-დადიანისა, აწ უკვე ნინა გეორგევნა, იმპერატორ ალექსანდრესთან გასაგზავნ წერილს ჩაუჯდა:

”ჟამსა ამას ყოვლად-უბადრუკმან ასლან-ბეგმან სიყვარულთა შინა მყოფი მამა თვისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ სოხუმისა ციხესა შინა მუხთლად მოკლა, ხოლო მსმენელმა ამისმან, უხუცესმან ძემან მისმან ამოვლო მოსწრაფებით ნიკოფსით და მოაოხრა ყოველი სამკვიდრებელი და გარეშემო სოფლები ასლან-ბეგისა და მოსწვა ცეცხლითა, და ესრედ შემამჭიდროებელმან ციხისა სოხუმისამან, სიძემან

ჩვენმან ალი ბეი საფარ-ბეგ მოვიდა ჩვენდა ყოვლითა თავადითა და კეთილშობილითა ავხაზეთისათა და ითხოვა ჩვენ მიერ ერთობა და სიმტკიცე მეზობლური, გარნა შევიყვანეთ ჩვენ მათდამი პატიოსანი სიტყვა და მოვიყვანეთ მონებათა ქვეშე უთვით-მპყობელესისა ტახტისა თქვენისა, რომელიცა დავაფიცეთ ერთგულებით მონებად საიმპერიოსა ტახტისა თქვენისა, და ესერა ვაძლევთ ჩვენ შეწევნასა ძალისა-მებრ ჩვენისა გამორთმევითა მძევლისათა, რომლისათვის გამოუცხადეთ ჩვენ ჰაზრი ჩვენი და ჰაზრი სიძისა ჩვენისა საქართველოისა უპირატეს მმართებელსა განსაცხადებლად უთვით-მპყრობელესისა ტახტისა თქვენისა.

და ესერა, უთვით-მპყობელესისო ჴელმწიფეო, მარჯვე ჟამი არს მიღებად საფარველთა თქვენთა ქვეშე, ვინადგან არს წევრი და მეზობელი ჩვენი და იყო უწინარესვე ხელთა ქვეშე სამთავროთა ჩვენთა მყოფი.

ესერა მოქმედებითა ჩვენითა მითვალულ იქმნეს მონებათა იმპერატორებისა თქვენისათა, რომელ მიემატების რუსეთისა საიმპერიოსა ჩვენთანა ავხაზეთი ვიდრე ჯიქეთამდე განვრცელებად, რომელიცა ემახლობელების ტავრიასა.

თუმცაღა ჟამმა ცვლილებისამან და მეზობლისა უთანხმოობამან განხადა მფლობელობისაგან

სამთავროჲსა ჩვენისა ესე ავხაზეთი, გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ქალაქი ნიკოპსისა, დადიანისა ლევანისა და წინაპართა მათთა და გარ-დაცვალებული კაცია დადიანი, მამა ახლადგარდაცვალებულისა გრიგოლ დადიანისა, ახდევინებდა ხარკსა და არს უკვე ჩევრი სამეგრელოჲსა, რომლისათვის მარჯვედ მისაღებელ არს მონარხობისა მიერ თქვენისა, რომლისთვისაც ვსასოებ, რომელ შეისმენ უშევრდომილესსა უმხურვალესსა ერთგულებასა ჩემსა ესე ვითარსა და სახსოვრად ჩვენისა ერთგულებისა მისცემ ტახტსა საგრილთა ქვეშე იმპერატორებისა თქვენისა, ყოვლად-უმოწყალესო ხელმწიფეო.

1808 წლის 8 ივნისი"

ბეჭედი დაარტყა და ხელი მოაწერა: "*მთავრინა ნინა".*

წამით დაფიქრდა თავის საქციელზე; არ ეკადრებოდა სიცრუე ნინო ბაგრატიონი-დადიანისას, ასულს საქართველოს უკანასკნელი მეფისა; არ იყო საფარ ალი ბეი ქელეშ-აჰმად ბეის უხუცესი ანუ უფროსი ვაჟი; იგი მხოლოდ მესამე იყო ძმებში, მაგარამ გარემოებამ მოითხოვა მისი მემკვიდრედ გამოცხადება. "რას იზამ, შეცდომა ვის არ მოსვლია? _ გაუელვა თავში. _ პატარა ტყუილი ქალს უხდება კიდეც. თანაც, განა უსამართლობა არ

არის, ტახტის ყოველთვის უფროსი ვაჟისთვის გადაცემა? რა დააშავეს დანარჩენმა ძმებმა?”

თავის მოტყუებას ვინ დაუშლიდა სამეგრელოს დედოფალს?!

1810 წელი

სოხუმ კალე

ალი ბეი გეორგი შერვაშიძე ...

თითქმის ორი წელი გაგრძელდა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის და, მეორე მხრივ, აფხაზეთის ბედით მოთამაშე საფარ ალი ბეის და მისი მოკავშირე ოდიშის დედოფალ ნინა გეორგევნას მიმოწერა. ბოლოს მობეზრდა პრანჭვა ალექსანდრ პავლოვიჩს და 1810 წლის 9 ივლისს თავისი უზენაესი გადაწყვეტილება სოხუმელებს საზღვაო ფლოტის პირით შეუთვალა.

ორი დღე და ღამე ბომბავდა ქალაქს რუსული საბრძოლო ხომალდი ”ვოინი” და ორი ფრეგატი.

ქვა ქვაზე არ დატოვეს.

სოხუმში შეჭრილ კაპიტან-ლეიტენანტ დოტის მეომრებს დანგრეულ-გადამწვარ ნაქალაქარში ადამიანის ხორცის ნაფლეთები, ოსმალოთა ჩამოძონძილი რვა დროშა და მეზარბაზნეთა გვამებშემოწყობილი სამოცდაორი ქვემეხი დახვდათ.

მამისმკვლელი ასლან ბეგი სასწაულით გადარჩენილ თანამებრძოლებთან ერთად გაიქცა.

მეზღვაურებმა ქალაქის დამცველთა სხეულის ნაწილები ზღვაში თევზებს მიართვეს.

რამდენიმე დღეში სოხუმ კალეში ასი რუსი მეომრის თანხლებით თეთრ ცხენზე მჯდომო ალი ბეი შევიდა. იგი უკვე არ მალავდა, რომ წლების წინ მღვდელმა სიმონ ასათიანმა გეორგი შერვაშიძედ მონათლა და მკერდზე მიბნეული წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენითაც ამაყობდა.

თითქმის თერთმეტი წელი ეძახდნენ რუსები გეორგი შერვაშიძეს აფხაზეთის მთავარს, ის კი სოხუმ კალეს ციხიდან დაცვის გარეშე ვერ ბედავდა გამოსვლას.

ფსხუელები, დალელები, წებელდელები არამუსლიმს ბატონად არ აღიარებდნენ.

ისინი ასლან ბეგს მიემხრნენ.

იქ ქრისტიანები უკვე აღარ ცხოვრობდნენ;

არც რუსებს გამოუდვიათ მაინცადამაინც თავი გეორგი შერვაშიძის გასაძლიერებლად.

კავკასიაში დიდი ომების და დიდი გადასახლებების დრო ბრუნდებოდა.

ვიღას ეცალა კალაპოტშეცვლილი კოდორის მიერ ფარული სალოცავიდან გატაცებული წმინდა გრაალისთვის.

წელი 1993

29 თებერვალი

აფხაზეთი

იღბალჩიკა, იოსები, ვალერა, მაროდიორი ...

”ბე-ტე-ერ”-ის კოშკურაზე შემოსკუპებულ ახალგაზრდა კაცს, მეტსახელად იღბალჩიკას, ზურტლიანი შინელი ეცვა, თავზე ხაკისფერი ბენდენა წაეკრა, თვალზე შავი სათვალე ეკეთა, კონდახმოხსნილი ”კალაშნიკოვი” მუხლებზე ედო და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ თხუთმეტ წუთში ცხოვრებაში პირველად მოკლავდა ადამიანს და თანაც სულით ავადმყოფს.

ისტორიის მასწავლებელმა მკაცრად გააფრთხილა, საშემოდგომო გამოცდაზე ერთი საკითხი მაინც თუ არ ჩამაბარე, კლასში დაგტოვებო. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოში ყველაზე პატარა თავი შეარჩია. ჯვაროსნებზე აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, მან ასე გაიგო იქ მოთხრობილი ამბები. თურმე იმ რაინდებამდე ქრისტიანებისთვის

კაცის კვლა ომშიც ცოდვად ითვლებოდა. განსაკუთრებით მოეწონა წმინდა მიწის არმიის ჯარისკაცების ჩაცმულობა. თავის თეთრ მაისურზე წითელი საღებავით ჯვარი დაახატა, დიდი ხის შუბი გამოთალა, ჯოხის ცხენზე უმცროსი ძმა შემოისვა და ასე გიჟებივით დარბოდნენ ქუჩაში.

რაინდობაზე, საგმირო საქმეებზე და განძზე ოცნებებში ბავშვობა გალია.

თბილისის ომის შესახებ გვიან გაიგო და ვერ ჩაუსწრო. ბედად აფხაზეთზე ჯვაროსნული ლაშქრობა გამოცხადდა. იღბალჩიკამ მარტივად იფიქრა და სხარტად გადაწყვიტა. თუ ქართველებისთვის ქართველების ხოცვა ნებადართულია, აფხაზები რა წითელი კვერცხები მყვანანო. შევარდნაძის არმიას გორთან დახვდა და მებრძოლებით სავსე პირველსავე სატვირთო მანქანას შეახტა.

რიკოთის უღელტეხილზე იარაღი და ფორმა მისცეს.

გვირაბს გასცდნენ თუ არა, ავტომატის ჯერი ზეცისკენ მიუშვა; საბრძოლო ნათლობა ეჩქარებოდა.

- ბიჭო, რად ისვრი? _ ჰკითხა ცალსამხრიანმა პოლკოვნიკმა.

- აფხაზებს შეეშინდებათ და გაიქცევიან. _ უპასუხა მოხალისემ, რომელსაც გულწრფელად ეგონა, რომ ქედს აქეთ აფხაზეთი დაიწყო.

შემდეგ ყოველ ხიდზე კითხულობდა: გაღმა აფხაზეთია თუ არაო?

არა და არ დაილია ხიდები და მდინარეები. ამასობაში ჩაეძინა.

გაიღვიძა, გზის პირას იდგნენ. დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელ ნიშანზე რუსული და აფხაზური ასოები ვიღაცას გულმოდგინედ გადაეფხიკა; მხოლოდ ქართულად ეწერა: კინდღი.

ზღვისპირას მდებარე პიონერთა ბანაკში დაბინავდნენ. ზაფხული მიიწურა და შემოდგომამაც სწრაფად გაირბინა. ზამთარი მხოლოდ ახალი წლის დადგომის შემდეგ იგრძნო და ისიც მზიანი გამოდგა. ღამე ბანაკში ეძინა, დღე გზატკეცილზე ბლოკ-პოსტს ბირჟაზე მიღებული გამოცდილებით ამაგრებდა. ერთი ორჯერ აფხაზური სოფლების დასალაშქრადაც წაიყვანეს. მისი პირველი დიდი საბრძოლო ნადავლი ლაბრაში საგანგებოდ დაფლული სკივრი იყო, რომელსაც სრულიად შემთხვევით მიაგნო.

მოსასაქმებლად თხილნარში შეძვრა, შარვალ-ნიფხავი ერთდროულად ჩაიხადა, ჩაიცუცქა; მის წინ ორიოდი მეტრში ნაღმტყორცნის ჭურვს მიწა

ამოეთხარა და სასწაულით გადარჩენილი სკივრის სპილენძის სალტეები მზის შუქზე ბრწყინავდა. იმწამსვე დაავიწყდა, რა საქმეზე იყო იქ მისული. გიჟივით წამოხტა. ყუთს ეცა, მიწა ხელით შემოაცალა, ბოქლომს კარგახანს ეჯაჯგურა, ბოლოს ავტომატის ტყვია დაახალა. აცახცახებულმა სახურავი ახადა და შიგ კოხტად ჩამწკრივებული რუსული არაყი "სტოლიჩნაია" დახვდა.

ორმოც ბოთლ სასმელს სადესანტო ბატალიონმა ერთ დღეში გამოუყვანა წირვა. პირველი ჭიქით, რა თქმა უნდა, იღბალჩიკა ადღეგრძელეს.

მთელი ომის განმავლობაში აფხაზი თვალითაც არ უნახავს, სამაგიეროდ იცოდა, თუ როგორ უნდა განესხვავებინა იგი ქართველისგან. აფხაზები თურმე ქართულად არ მეტყველებდნენ. მეომრები ამბობდნენ: იციან, მაგრამ არ ლაპარაკობენო.

თებერვლის იმ უკუღმართ საღამოს კი იღბალჩიკა ამაყად იჯდა "ბე-ტე-ერ"-ის კოშკურაზე და შავი სათვალის მიღმა უაზროდ აცეცებდა თვალებს;

ამ წუთისოფელში გასავლელ ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას რამდენიმე წუთში დაადგებოდა.

***

ბებია და ბაბუა უკვე დიდი ხანია, ტამიშის სასაფლაოზე განისვენებდნენ. ოცი წლის იოსებმა ეს ამბავი, რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ზოგჯერ არ ახსოვდა.

იმ დილით მისი გაპარვა ოჯახის წევრებმა ვერ გაიგეს. იოსები ძალიან ადრე ადგა, ჩაიცვა, ხელ-პირი დაიბანა, კბილები გაიხეხა, ჩაი და კარაქიანი პური მიირთვა, საკიდიდან, თეთრი ლაბადა ჩამოხსნა, ჩაიცვა; წამით დაფიქრდა, ოთახში შებრუნდა, ჭურჭლის კარადიდან ძველებური თასი გამოიღო და ლაბადის ჯიბეში ჩაიცურა. ეს საგვარეულო რელიკვია მის შორეულ წინაპარ ალი ბეის 1867 წელს უპოვია. მაშინ რუსებმა კოდორის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრები მოსახლეობა დედაბუდიანად აყარეს და ოსმალეთის გზას გაუყენეს. სოხუმ კალედან გასული გემი კოდორს გასცდა თუ არა, ალი ბეი მამას ხელიდან გასხლტომია და წყალში გადამხტარა. ხმელეთამდე შორი ყოფილა; პატარა ბიჭს ძალა გამოცლია და გონება დაუკარგავს. თვალი რომ გაუხელია, თურმე უკვე ნაპირზე იწვა და ცხვირწინ ქვიშით სავსე ეს თასი უნახავს; სამახსოვროდ წაუღია და მას შემდეგ მისი საქმე წაღმა დატრიალებულა. ილორში ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს უპატრონო ალი ბეი იოსებად მოუნათლავს და კაცად გაუზრდია. თასი მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. იოსებს გაახსენდა, რომ ტამიშში მყოფი ბაბუამისი მხოლოდ ამ ფიალით სვამდა

ღვინოს და ვინ იცის, როგორ ენატრებოდა?! ბინიდან გავიდა, კარი მიიხურა, გასაღები ორჯერ გადაატრიალა და სოხუმის ახალ რაიონში მდებარე სახლის მეშვიდე სართულიდან დინჯად დაუყვა კიბეს. უკვე ქუჩაში უნდა გასულიყო, როდესაც თვითმფრინავის ხმა გაიგონა, რომელსაც რამდენიმე წამში აფეთქების გრუხუნიც მოჰყვა. არ გაკვირვებია; ომი იყო და ასეთი რამ ზოგჯერ ხდებოდა. ვაგზლისკენ მიმავალ გზას გაუყვა. არაფერზე ფიქრობდა, არც გამვლელებს აქცევდა ყურადღებას. არც არაფერი ესმოდა.

რკინიგზის სადგურის დარბაზში ვერაფრით გაიხსენა, აქ რატომ მოვიდა. მიიხედ-მოიხედა, ყველა სალარო დაკეტილი იყო და ხალხიც არ ირეოდა. რაც მთავარია, აბსოლუტური სიჩუმე იყო. ბაქანზე გავიდა. მატარებელი არ ჩანდა; ქარი ლიანდაგებს შორის გამხმარ ჩალისფერ სარეველა ბალახებს ეფერებოდა. იოსები მიხვდა, რომ ყველაფერი დავიწყებოდა. ასე ადრეც დამართნია. ადგილზე გაქვავდა; ცას მიაშტერდა. კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად, წამწამებიც არ დაუხამხამებია; უცებ გონება გაუნათდა: მატარებლები აქედან, დიდი ხანია, არ გადიან და, რაც მთავარია, გაახსენდა, რომ ტამიშში ბებია და ბაბუა მოუთმენლად ელოდებიან. წარმოიდგინა ჭიშკარს მიპყრობილი მოხუცების ნაღვლიანი თვალები და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა მათთან შესახვედრად.

ომისგან გაღატაკებულ გზაზე მიმავალი თეთრლაბადიანი ახალგაზრდა კაცი არც არავის ყურადღებას იპყრობდა და თვითონაც ვერავის ამჩნევდა. სამაგიეროდ იცოდა, რომ მთავარი გზიდან არ უნდა გადაეხვია და მის ლოდინში დაქანცულ ბებიას და ბაბუას, ადრე თუ გვიან, სიხარულით ჩაეხუტებოდა. მერე ბებო ძროხას მოწველიდა, რძეს მოსადუღებლად ქვაბში ჩაასხამდა, ვედროს ძირზე ჩაღვენთილ თბილ ქაფს კი შვილიშვილს დაალევინებდა. სულ რამდენიმე ყლუპი იყო, მაგრამ იოსებს პურის და სხვა საკვების გემო რომ დაავიწყდებოდა, იმ ქაფქაფა რძის ეშხი მაშინაც ახსოვდა. ბაბუა კი თავის თასში წითელ ღვინოს ჩაასხამდა და შვილიშვილს დალოცავდა.

კოდორის ხიდთან მდგარმა სამხედრომ გააჩერა.

- სად მიდიხარ, თეთრპლაშიანო? _ სასხვათაშორისოდ იკითხა ჯარისკაცმა.

- კ დედუ ვ ტამიშ! (ტამიშში, ბაბუასთან!) _ რუსულად უპასუხა.

- ვალერა! მოდი, ნახე, ვინ ოხერია? რუსულად მელაპარაკება. _ გასძახა "მესტნებს" გუშაგმა.

"ჟიგულიდან" ჯუბაჩიანი ვალერა გამოიზლაზნა:

- ბრატ, ტი კუდა, ნანოჩ გლიადია? (ძმაო, სად მიდიხარ? მალე დაღამდება)

- კ დედუ, ვ ტამიშ! _ გაიმეორა თეთრლაბადიანმა.

ჯუბაჩიანისთვის ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა, რომ აქცენტით მიმხვდარიყო, მისიანთან ჰქონდა საქმე და ქართულზე გადავიდა. ახლა ეს ენა აქაურებში პოპულარული ხდებოდა და, მით უმეტეს, თუ გვერდით თბილისელებიც იყვნენ, ერთმანეთთან მეგრულად საუბარს ერიდებოდნენ:

- ღამდება, ძმა! გზაზე აფხაზები მძევლებზე ნადირობენ. შარში არ გაეხვიო.

- ია აბხაზცევ ნე ბოიუს. (აფხაზების არ მეშინია) _ კატეგორიული იყო იოსები.

- რა, დედაშენია აფხაზი? _ გაიკრიჭა ჯუბაჩიანი. _ შენნარი ბიჭები გამომისყიდია მერე მაგათგან?!

- ნეტ, მამა სერბკა! უ მენია დრუგ, ევო ვსე უვაჟაიუტ, ი გრუზინი ი აბხაზცი! (არა, დედა სერბია! მეგობარი მყავს მას ყველა პატივს სცემს, ქართველებიც და აფხაზებიც!)

მთელს ამ მხარეში ერთადერთი სერბი ქალბატონი ცხოვრობდა _ რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ვერა სერგეევნა. ვალერა იმ სკოლაში ერთი წელი სწავლობდა.

- დედაშენის მწარე ხელი კარგად მახსოვს. პრივეტ პერედაი. (მომიკითხე) აფხაზები ახლა მეგობრები

არ არიან. დარჩი ჩვენთან და თუ სამხედროები ჩამოივლიან, იმათ გაგაყოლებ.

- ია სპეშუ. მენია დედ ს ბაბკაი ჟდუტ! (მეჩქარება, ბებია და ბაბუა მელოდებიან). _ უკან არ დაიხია იოსებმა.

- ის მაინც მითხარი, ვინაა შენი მეგობარი? _ დაინტერესდა ჯუბაჩიანი.

- ალი ბეი აბხაზეც! სლიშალ პრო ტაკოვა? (ალი ბეი აფხაზი! გაგიგია?)

- ვინ ალი ბეი? რას ლაპარაკობ, ბიჭო? არ თქვა ახლა ის ალი ბეი, ვინც რომის პაპს წერილი მისწერაო!

- იმენნა ონ, კტოჟე ეშო? (სწორედ ის, აბა სხვა ვინ?) _ გაიკვირვა იოსებმა.

- არ მჯერა. შენ რამდენი წლის ხარ?

- მნე დვადცატ. ა შტო? (ოცის. რატომ მეკითხები?)

- ალი ბეი სხვა პაკალენიაა, ძმაო! აფხაზი უხუცესები მასთან შედარებით ბავშვები არიან; მისი ხნის ქვაც კი არ დაგორავს და შენთან რა საერთო უნდა ჰქონდეს? _ ანგლობის ხასიათზე მოვიდა ჯუბაჩიანი ვალერა.

- ია ევო ანკეტუ ვიდელ; ემუ ტოლკო სოროკპიაც. მი ვმესტე ლეჟალი ვ ბოლნიცე. (მისი ანკეტა ვნახე;

მხოლოდ ორმოცდახუთისაა. ერთად ვიწექით საავადმყოფოში) _ ამაყად განაცხადა იოსებმა.

- ოო! თუ საავადმყოფოში ერთად იწექით, მაშინ, ოჰო! პროხოდი, დოროგოი! (მიბრძანდი, ძვირფასო) _ თეატრალიზებული რევერანსით გზა დაუთმო უცნაურ მოგზაურს. გაახსენდა ვერა სერგეევნას უმცროს შვილზე მოსმენილი ჭორები.

თურმე მართალი ყოფილა, რასაც ამბობდნენ.

ალი ბეის კი ყველა იცნობდა. მოარული იყო მისი საყვარელი წინადადება: "ია რიმსკომუ პაპუ იოანუ დვადცატტრეწემუ პისმო ნაპისალ, ა ონ პროჩიტალ ი ნა რადოსტიახ უმერ!" (რომის პაპ იოანე ოცდამესამეს წერილი მივსწერე; მან კი წაიკითხა და სიხარულისგან მოკვდა) განათლებული დედ-მამა ჰყავდა. საწყლები 1963 წელს სახლიდან გავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. ათას რამეს ამბობდნენ მათ გაუჩინარებაზე. თხუთმეტი წლის შვილმა კი თავსდატეხილ განსაცდელს ვერ გაუძლო. თუმცა, უმრავლესობის აზრით, მისი ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი ბევრი წიგნები იყო. მეტსახელ "ალი ბეი აბხაზეცს" კი იმიტომ ეძახდნენ, რომ რომის პაპთან გაგზავნილ წერილს, თურმე სწორედ ასე მოაწერა ხელი და ხშირად ტრაბახობდა: კაგებეს ავურიე გზა-კვალიო. მართალია, იგი სოხუმელ მარადონას პოპულარობაში ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ერთი რამ საერთო ჰქონდათ: ორივენი

ყველასათვის საყვარელი, უწყინარი, კეთილშობილი, ზრდილი გიჟები იყვნენ.

- ვალერა, ვერაფერი გავიგე. რაო, რა მინდაო? რატომ გაუშვი? ვინ ოხერია? _ ჯუბაჩიანს მიუბრუნდა გუშაგი.

- ფსიხია, საწყალი!

- ფსიხი რას ნიშნავს?

- ნუ, არაა ნორმალური?

- მერე პატრონი არ ჰყავს, აქ რომ დაეხეტება?

- მე და შენ გვყავს პატრონი, აქ რომ ვაგდივართ?

- შენც მართალი ხარ, ძმაო! წამო, მოვწიოთ, ჩორტიკა უკვე შეაკეთებდა. ბიჭები მალე წამალსაც მოგვაშველებენ; მხედრიონელებს ჩამოუტანიათ, გვიპადაგრევებენ.

ორი საათის შემდეგ იოსები კიდევ ერთ ბლოკ-პოსტს მიადგა. ნელ-ნელა უახლოვდებოდა საბრძოლო მოქმედებების ზონას და საგუშაგოების რაოდენობაც იზრდებოდა.

- ვინ ხარ და სად მიდიხარ? _ გადაეღობა ტყაპუჭგაღეღილი წვეროსანი.

- კ დედუ, ვ ტამიშშ. (ბაბუასთან ტამიშში) _ აქაც ლაკონური იყო იოსები.

- ”კ დედუ ვ ტამიშ” არა _ ბებიაშენისა, ქართულად ილაპარაკე.

- ია ტებია ნე ოსკორბლიალ, ოტოიდი! (არ გამილანძღიხარ, გზა მომეცი) _ არ უყვარდა უზრდელები იოსებს და არც არასოდეს ეპუებოდა მათ. _ უიდი ს დოროგი, ბრატ! (გზიდან ჩამომეცალე, ძმაო!) _ უკვე ხმამაღლა მიმართა და მარჯვენა ხელის მოძრაობით ჩამოიშორა ჯარისკაცი, რომელიც ვინ იცის, საიდან მოვიდა და ახლა ბებიასთან და ბაბუასთან არ უშვებდა.

- გიჟია ოხერი! _ შესძახა შებარბაცებულმა გუშაგმა, მაგრამ გზა მაინც დაუთმო. აქ ყოფნამ კარგად ასწავლა, რომ თუ ვინმე ხმამაღლა ლაპარაკობს, ესე იგი, ამის ერთი ადგილიც აქვს და ჯობს გაეცალო.

ტყაპუჭიანს ომში თავისი კონკრეტული მიზანი ჰქონდა და მის მისაღწევად ყოყლოჩინობა არ გამოადგებოდა.

იოსები კმაყოფილი იყო; ამ ბლოკ-პოსტის გავლა უფრო ადვილად შესძლო, ვიდრე _ პირველის. დროც ნაკლები დაკარგა; ახლა, თუკი ნაბიჯს აუჩქარებდა, მზის ჩასვლამდე მიაღწევდა ტამიშს. ავტომატის ჯერის ხმა გაისმა. უკან არ მოუხედავს, რამდენიმე ნაბიჯი აუღელვებლად გადადგა; ომში სროლა რატომ უნდა გაკვირვებოდა?!

მკერდში სითბო იგრძნო. გულზე ხელი ინსტინქტურად მიიდო. ბლანტი და ცხელი სითხე თითებზე ჩამოეღვენთა. დახედა; ეს სისხლი იყო. იოსებს გაახსენდა, რომ ბებია და ბაბუა უკვე დიდი ხანია, ტამიშის სასაფლაოზე განისვენებდნენ. შემდეგ წამს კი მიხვდა, რომ დილიდან თურმე ნამდვილად მათთან მიდიოდა, ოღონდ ტამიშში არა;

უფრო შორს!

***

ტყაპუჭიანი ჯერ ყოყმანობდა, მერე გაბედა და სწრაფად გაირბინა რამდენიმე მეტრი; უსულო იოსები ასფალტზე პირაღმა იწვა. გულიდან გადმოღვრილ სისხლს თეთრ ლაბადაზე წითელი ჯვარი გამოესახა. ჯარისკაცი ჩაცუცქდა, მისი ხელი ოსტატურად ამუშავდა.

ტყაპუჭიანი მაროდიორი იყო.

- იღბალჩიკ, შიგ გულში გაგირტყამს, ფული ამას არა აქვს და ნათლობის ჯვარიც კი ვერცხლის უკეთია. _ გასძახა ”ბე-ტე-ერ”-ის კოშკურაზე შემომჯდარ ახალგაზრდა კაცს ტყაპუჭიანმა. _ აჰა, საბუთები თან ჰქონია. მოდი ვნახოთ, ვინ ოხერია?

ხელი როგორ მკრა, ხომ დაინახე? _ ფრთხილად გადაშალა სისხლიანი საბჭოთა კავშირის წითელი პასპორტი. აფხაზურენოვანი გვერდები თვალში მოხვდა და გულზე მოეშვა. აქაურ ქართველებს ეს ფურცლები ამოხეული ჰქონდათ. _ იღბალჩიკ, ბედი გქონია, მგონი, აფხაზი გააგორე! _ სახელით და გვარით რას მიხვდებოდა, ეროვნების გრაფაში ჩანაწერი აინტერესებდა; თამამად გადაშალა და ხმამაღლა დამარცვლით წაიკითხა:

- ქა-რთვე-ლი.

- რა ქართველი, შე ჩემა, ღადაობ? _ იღბალჩიკა კოშკურიდად მიწაზე ჩამოხტა და ტყაპუჭიანისკენ გაიქცა.

- დედას ვფიცავარ, მართლა ასე წერია, აჰა, შენ თვითონ ნახე. _ და გადაშლილი პასპორტი შეაჩეჩა. მერე სისხლიანი თითები მკვდარს მარცხენა მხარზე გაუსვ-გამოუსვა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ პროფესიულმა ალღომ უკარნახა მიცვალებულის ლაბადის გვერდითა ჯიბეებზე მოეთათუნებინა ხელი. მარჯვენაში რაღაც იდო. ხშირი ხმარებისგან გაშავებული ხის ფიალა აღმოჩნდა. რატომღაც ცხვირთან მიიტანა და დაყნოსა. ღვინის კასრის სუნი ასდიოდა. ასეთები სრულიად ახლები უკვე დუჟინი ჰქონდა თავის სამალავში მოყუჩებული. ერთი პირობა, გადაგდება გადაწყვიტა, მაგრამ გადაიფიქრა: ბიჭებს ხომ სულ ჭიქის პრობლემა

აქვთ, ვინმეს ვაჩუქებო და მოკლულის ნათლობის ვერცხლის ჯვართან ერთად ტყაპუჭის ჯიბეში ჩაიდო.

თეთრ ლაბადაში ჩაცმული, მარცხენა მხარსა და გულზე სისხლით ჯვარგამოსახული იოსების გვამი ბლოკ-პოსტიდან ასიოდე მეტრში ტყეში მიაგდეს.

იგი შემდეგ ღორებმა დაჯიჯგნეს.

რას იზამ! ომი იყო და კაცის დასამარხად ყველა კი ვერ იცლიდა.

აფხაზეთი

კიტა დგებუაძე, ალი ბეი აბხაზეცი, ისევ იოსები და კიდევ ერთხელ ალი ბეი

29 სექტემბრის შუადღე დგებოდა;

სოხუმი გუშინწინ დაეცა.

მოხალისეებმა თავს უშველეს.

აფხაზეთში დარჩნენ გამარჯვებულები და ისინიც, ვისაც ეგონა, რომ ომში მხოლოდ შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს კლავენ. ძარცვავენ და აუპატიურებენ.

სატვირთო ავტომობილის ძარაზე თექვსმეტი ადამიანი იყო. ოთხი ხანში შესული მამაკაცი ფეხზე იდგა და წინ იყურებოდა. ერთმანეთს მიყუჟული ქალები და ბავშვები კი ფსკერზე ისხდნენ.

მძღოლის გვერდით იჯდა ვეტერინარი კიტა დგებუაძე, ჭაღარა სიმპათიური მოხუცი; ესტონკის

თვალი და ჩინი. მას შემდეგ, რაც ცუდმა ხმებმა მის სოფლამდე მოაღწია, გადაწყვიტა დარჩენილი მოსახლეობის გახიზნვა. წაგებულ ომში ხალხზე ზრუნვა ხელისუფლებამ თავისდაუნებურად ძროხების ექიმს გადააბარა. კიტამ დანამდვილებით იცოდა, რომ მდინარე კოდორზე წუხელაც გადავიდნენ დევნილები.

მარჯვენა მხარეს მაღლობზე დრანდის ტაძარი გამოჩნდა; მარცხნივ მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოს უახლოვდებოდნენ; ორიოდე ასეულ მეტრში ცენტრალურ მაგისტრალზე გავიდოდნენ და კოდორის ხიდამდე რაღა რჩებოდა?! ბუჩქებიდან თეთრხალათმოსხმული კაცი გამოვარდა, მანქანას გადაუდგა და ხელები გაშალა,

- ვინ ოხერია? _ წამოიძახა ალიოშა მძღოლმა და სამუხრუჭე პედალს მთელი ძალით დააწვა; მანქანა ზედ იმ კაცთან გაჩერდა.

”ალი ბეი აბხაზეც! ექიმივით გამოპრანჭულა”. _ გაიფიქრა კიტამ.

- ალი ბეი, ალი ბეი! _ აყვირდნენ ძარაზე.

- ტი ჩტო, სოვსემ ს უმა სოშოლ? (შენ რა, სულ გაგიჟდი?) _ აღრიალდა მძღოლი.

- ია ალი ბეი, ვოზმიტე ს სობოი. მენია აბხაზცი უვაჟაიუტ ი პალცემ ვას ნე ტრონუტ! (ალი ბეი ვარ, თან წამიყვანეთ, მე აფხაზები პატივს მცემენ და

თითსაც არ დაგაკარებენ) _ მიაყარა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ცნობილმა პაციენტმა.

”ნეტავი, სხვა გიჟები სადღა გაიფანტნენ?” _ ამის გაფიქრებაღა მოასწრო კიტა დგებუაძემ.

თეთრ და ლურჯ ხალათებში გამოწყობილი ქალები და კაცები ბუჩქებიდან გამოცვივდნენ და მანქანას ალყა შემოარტყეს;

ალი ბეის რაზმში თერთმეტი სული იყო.

- ლადნო, ზალეზაიწე. (კარგი, ამოძვერით) _ გაეცინა მძღოლს.

გამამხნევებელი შეძახილები სეტყვასავით წამოვიდა:

- აქ მოდი, ალი ბეი!

- აჰა ხელი!

- ბორბალს დაადგი ფეხი!

- ნოგუ ნა კოლესო!

რამდენიმე წამში ძარაზე დიდი ჟივილ-ხივილი გაჩაღდა. მოწყენილი მანქანა გამხიარულდა.

მოღუშული ნორმალურები გიჟებმა კარგ ხასიათზე დააყენეს.

ალიოშამ პირველში ვერ ჩააგდო და ძლივს დაძრა მეორე სიჩქარით. ასი მეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, წინ "ბე-ტე-ერი" შემოეფეთათ და ცეცხლი გაუხსნათ.

დაჭრილმა მძღოლმა მანქანა გააჩერა, კაბინის კარი გამოაღო და მიწაზე უკვე უგონოდ დაეცა.

კიტა დგებუაძის ხორხიდან ჰაერს სისხლის შხეფებიც ამოჰყვა.

ძარადან პირველი ალი ბეი გადმოხტა და "ბე-ტე-ერისკენ" გაიქცა:

- ნე სტრელიაწე, ია ალი ბეი! ია ალი ბეი აბხაზეც! (არ მესროლოთ, ალი ბეი ვარ, ალი ბეი აბხაზი ვარ)

მკერდში ძლიერმა დარტყმამ უკან გადააგდო; გზის პირას დაეცა, გვერდზე ორჯერ გადაგორდა და თხრილში პირაღმა ჩავარდა. მზეს გახედა; იგი ზენიტში იყო.

***

მართალი ყოფილა, რომ ამბობდნენ: ადამიანს სიკვდილის წინ თავისი წარსული თვალწინ დაუდგებაო.

ალი ბეის პირველად გაახსენდა ის დრო, როდესაც ხან ხალიფა ალ-ჰაკიმი, ხან ტამპლიერი თიბო გოდინი, ხან სერჟანტი გი, ხან მარშალი პიერ დე სევრი, ხანაც ახალგაზრდა გეორგიანელი რაინდი შოთა იყო.

შემდეგ ეგვიპტეში გატარებულმა დღეებმა ჩაირბინეს. იქ ალი ბეი, იუსუფი, ყადი, აჯო და იოსები იყო.

ყველაზე სასიამოვნო მაინც ალი ბეად და მარიამად ყოფნა გამოდგა.

როგორც ჩანს, ალი ბეობა გაუტკბა და მერე სხვა ალი ბეების სიცოცხლითაც იცხოვრა.

შიგდაშიგ პატარა ბავშვიც იყო, ყაჩაღიც, მაროდიორიც, მკვლელიც, ტყვეებით მოვაჭრეც, მეფეც იყო და მონაც, ქალიც და კაციც; ქრისტიანიც იყო და მუსლიმიც; დედიკოს შვილიც იყო და მამისმკვლელიც;

უყვარდა და სძულდა, მწყალობელიც იყო და დაუნდობელიც, ჯიუტიც და დამყოლიც, კეთილიც და ბოროტიც, ჭკვიანიც და სულელიც, გულისხმიერიც და უყურადღებოც;

ყველაზე ხშირად იოსები ახსენებდა თავს. თუმცა არა, კი არა ახსენებდა, არამედ მთავარი მაინც იოსები იყო. მიხვდა, რომ ყველა დანარჩენს იოსები აერთიანებდა.

იგი ხომ მართლა იოსები იყო.

სწორედ პატარა იოსებმა ამოხსნა წმინდა გრაალის საიდუმლო.

წმინდა გრაალის და ტამპლიერი რაინდების შესახებ ჯერ ერთი თქმულება წაიკითხა, მერე სრულიად განსხვავებულ ვერსიებს მიაგნო. მიხვდა, დროთა განმავლობაში ბევრი ხავსი მოსდებოდა გრაალის საიდუმლოს და უცებ გონება გაუნათდა. ტამპლიერთა ორდენის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება ქრისტიანული საიდუმლოებების დაცვა იყო და არა ლეგენდების თხზვა. შვიდი ქრისტიანული საიდუმლოდან კი უმთავრესი ზიარების ლიტურგიაა. ზიარებას უფრო მეტი მადლი ახლავს, ვიდრე თვით ნათლობას. იქნებ სწორედ აქ იყო ძაღლის თავი დამარხული?

ლათინელების ცნობით, გეორგიანელები სენ-ჟან დ"აკრის დაცემის დროს არასრულფასოვნად, მხოლოდ ხორცით ეზიარებოდნენ ანუ, უდიდესი ქრისტიანული საიდუმლოს აღსრულებისას, პურის ქრისტეს ხორცად გარდასახვის რიტუალს ატარებდნენ. არადა, სახარების მიხედვით. პური ქრისტეს ხორცია, ხოლო ღვინო _ მისი სისხლი.

ჭეშმარიტი ლიტურგია პურის ქრისტეს ხორცად და ღვინის ქრისტეს სისხლად გარდასახვას გულისხმობს.

გეორგიანელთა ეკლესიას შეცდომა მეცამეტე საუკუნის ბოლოს უკვე გამოუსწორებია. იოსებმა წარმოიდგინა, თუ როგორ ჩამოვიდა დრანდაში ტამპლიერების გამოგზავნილი კაცი, თან სენ-ჟან დ'აკრის სალიტურგიო თასი ჩამოიტანა და ზიარების სწორი წესიც დაამკვიდრა.

მერე გაარკვია: ზიარების საიდუმლოს არა მარტო გეორგიანელები არღვევდნენ, არამედ თურმე კათოლოკები ახლაც კი სცოდავდნენ. პატარა იოსებმა გადაწყვიტა მათი დახმარება და რომის პაპ იოანე ოცდამესამეს მისწერა, რომ ზიარება არასრულყოფილია, თუ იგი ქრისტე სისხლის გარეშე ტარდება; წმინდა გრაალის საიდუმლოც სწორედ ამაზე მინიშნებაა და არა მოარულ ზღაპრებში აღწერილი ამქვეყნიურო უკვდავების ძიება. პაპი კი გარდაიცვალა. ახალი პაპის პავლე მეექვსის არჩევის შემდეგ მეორე ვატიკანის საეკლესიო კრებამ დაადგინა: თუკი აქამდე ქრისტეს სისხლით და ხორცით ერთდროულად ზიარება მხოლოდ ღვთისმსახურებს შეეძლოთ, ამიერიდან ეს უფლება მრევლსაც ენიჭება.

1963 წლის 4 დეკემბერს დამტკიცდა წმინდა ლიტურგიის კონსტიტუცია.

იოსები თხუტმეტი წლის იყო;

გადაწყვიტა, რომ მისმა წერილმა გაჭრა.

მხოლოდ ამისთვის ღირდა ცხოვრება. _ გაიფიქრა ორმოში პირაღმა მწოლმა იოსებმა.

- ტი კტო? _ თავზე ავტომატიანი კაცი ადგა.

- ია ალი ბეი აბხაზეც.

- ნე ალი ბეი, ა ნასტოიაში ხუი ბეი. ტი პადლა გრუზინსკაია! ჩტო აბხაზცემ რეშილ სტატ, ჩტობ ჟოპუ სვოიუ პოგანნუიუ სპასტი?

გაოცებულმა შეხედა კაცს, რომელიც აფხაზეთში ალი ბეის არ იცნობდა.

”ნეტავ, ვინ ოხერია ან საიდან მოვიდა?” _ გაიფიქრა ალი ბეიმ.

ეს მისი ყველა ცხოვრების უკანასკნელ წამს მოხდა.

არ ყოფილა იოსების საშველი აფხაზეთის მიწაზე, იგი მაინც ალი ბეად გარდაიცვალა.

ეპილოგი

ოჰაიოს შტატის ტყეში მდებარე ჰოსპიტლის ჭიშკართან ყვითელი ფერის ”ფორდის” მარკის ტაქსი იდგა და მგზავრს ელოდებოდა.

რუხ კოსტიუმში გამოწყობილი, თეთრჰალსტუხიანი, შავულვაშებიანი და გრძელთმიანი მამაკაცი მალე გამოჩნდა, უკანა კარი გააღო, სავარძელში მოკალათდა, მძღოლს მისამართი ესროლა და მერე მთელი გზა დუმდა.

მანქანიდანაც ჩუმად გადავიდა, მოუვლელი ეზო გაიარა, გასაღები კარს მოარგო, კარგა ხანს ეწვალა, ბოლოს, როგორც იქნა, ჩხაკუნის ხმა გაისმა.

ცამეტი წლის შემდეგ უილიამ სტენლი მილიგანი სახლში დაბრუნდა.

1991 წელს ამერიკის საუკეთესო ექიმების კონსილიუმმა ერთხმად გადაწყვიტა: უილიამ სტენლი მილიგანი საბოლოოდ განიკურნა შიზოფრენიის სენისგან ანუ მისი ალტერნატიული

ოცდაოთხი პიროვნებიდან დარჩა მხოლოდ ერთი _ ნამდვილი.

მილიგანი დიდ ოთახში მაგიდასთან მივიდა; თითი დაუსვა; ფეხაკრეფით სამზარეულოში გავიდა, უჯრიდან ნაჭერი ამოიღო, ონკანი მოუშვა; აცალა, სანამ წყალი დაიწმინდა; ტილო დაასველა; ოთახში დაბრუნდა და მაგიდა გადაწმინდა. მერე სკამებსაც ჩამოუარა. დასუფთავებას მორჩა თუ არა, მაგიდის თავში დაჯდა. კიდევ ცოტა ხანს იყო ჩუმად; უცებ წამოდგა, ჯერ შემოწყობილ სკამებს გადახედა, მერე ოთახის ყველა კუნჭულს მოავლო მზერა და ომახიანად დაიწყო:

- ბილი, არტურ, რეიჯენ, ალენ, ტომი, დენი, დევიდ, კრისტინ, კრისტოფერ, ადალანა, ფილ, კევინ, უოლტერ, ეიპრილ, სამუელ, მარკ, ლი, სტივ, ჯეისონ, ბობი, შონ, მარტინ, ტიმოთი და შენც, მასწავლებელო! ვინმე ხომ არ გამომრჩა? მოდი დავითვალო: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი, ოცდაორი, ოცდასამი და ოცდაოთხი. კი, ბატონო. ყველანი აქ ყოფილხართ. ახლა მინდა ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვროთ რასაც გეტყვით. თავისუფლებას მე უნდა მიმადლოდეთ, მე გამოგიყვანეთ საგიჟეთიდან და მიუხედავად იმისა, რომ ნაბოლარა გახლავართ, მე ვარ უფროსი!

ყველანი მე მემორჩილებით და ჩემს ბრძანებებს ასრულებთ. დიახ, მასწავლებელო, დამთავრდა შენი ბატონობა. ამიერიდან მე ვწყვეტ ყველაფერს. ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ:

ჩემი სახელია _ უილიამ სტენლი მილიგან ოცდამეხუთე.

***

ხუთი წლის შემდეგ, 1996 წელს, უილიამ სტენლი მილიგანი კალიფორნიაში დასახლდა; სტუდია Stormy Life Productions დააფუძნა და ფილმის გადაღებას აპირებდა;

ცნობილია, რომ ფილმი ეკრანებზე არ გამოსულა. თუმცა ვინ იცის, იქნებ გამოვიდა და ვნახეთ კიდეც;

ოღონდ სულ სხვა ავტორის სახელით.